976

33

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებათა კრებული

№ 4

ივლისი—აგვისტო

1976 წ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

1333

საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებათა კრებული

№ 4 ივლისი-აგვისტო 1976 წ.

შ ი ნ ა ა რ ს ი

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილება

47. საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1960 წლის 11 თებერვლის № 100 დადგენილების 1-ლი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის ნაწილობრივ შეცვლის შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს დადგენილებები

[illegible] ...ამომგონებლობისა და რაციონალიზაციის დარგში რესპუბლიკური სოციალისტური შეჯიბრების შესახებ.

[illegible] ...ბრეწველო საწარმოებში მუშა-მოსამსახურეთა საზოგადოებრივი კვების საუკეთესო ორგანიზაციისათვის რესპუბლიკური სადარგთაშორისო დათვალიერება-კონკურსის ჩატარების შესახებ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

50. მოქალაქეთა შინამრეწველურ-ხელოსნური რეწვის შეზღუდვის შესახებ.

51. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ფართო მოხმარების საქონლის ნორმებისა და ვაჭრობის საკითხთა კომისიისათვის სახელის შეცვლის შესახებ.

ქ. მარქსის სახ. საქ. სახელმწიფო რესპუბ[illegible]
ბიბლიოთეკა

№ 4
ეროვნული ბიბლიოთეკა

52. საქართველოს სს რესპუბლიკაში დაუმთავრებელი მშენებლობის მოცულობის შემცირების ღონისძიებათა შესახებ.

53. საქართველოს სსრ წყლის რესურსების კომპლექსური გამოყენებისა და დაცვის სააუზო და ტერიტორიული სქემების შემუშავებისა და დამტკიცების წესის შესახებ.

54. იმ დოკუმენტების ნუსხის დამტკიცების შესახებ, რომლებითაც დავალიანების გადახდევინება წარმოებს უდავო წესით სანოტარო ორგანოთა სააღსრულებო წარწერების საფუძველზე.

55. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1976 წლის 5 მაისის № 296 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებათა ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ.

56. საქართველოს სსრ განსაკუთრებული სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ან განსაკუთრებული სამეცნიერო თუ კულტურული ღირებულების წყლის ობიექტებით სარგებლობის ნაწილობრივ ან მთლიანად აკრძალვის წესის შესახებ.

57. რესპუბლიკის კოლმეურნეობებსა და საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს საბჭოთა მეურნეობების და საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტის საბჭოთა მეურნეობებისა და საწარმოების მიერ ხილისა და კენკრის სულფიდირებული წვენების გამოშვებისა და რეალიზაციის შესახებ.

58. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1949 წლის 26 მარტის № 290 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ.

59. ერთპიროვნული გლეხური მეურნეობის საყანე და საკარმიდამო მიწის ნაკვეთით სარგებლობის წესისა და ოდენობის განსაზღვრის შესახებ.

60. საქართველოს სსრ კოლმეურნეობებში შრომის ანაზღაურების რეკომენდაციების დამტკიცების შესახებ

61. მშრომელთა დეპუტატების საქალაქო, სადაბო და სასოფლო საბჭოების აღმასკომების მიერ სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე.

62. გუმისთის სახელმწიფო ნაკრძალის აღდგენის შესახებ.

63. რესპუბლიკური გაერთიანება „საქსოფლტექნიკის" რაიონული გაერთიანებების (განყოფილებების) მიერ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო მომსახურების დებულებისა და ამ გაერთიანების საწარმოო ქვედანაყოფების მიერ სასოფლო-სამეურნეო და სატრანსპორტო სამუშაოთა შესრულების ტიპობრივი ხელშეკრულების შესახებ.

64. საქართველოს სსრ საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამ[illegible] საწარმოების მეცხოველეობაში დასაქმებული მუშების წახალისების დამატებით ღონისძიებათა შესახებ.

65. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1970 წლის 3 სექტემბრის № 485 დადგენილებაში ნაწილობრივი ცვლილებების შეტანის შესახებ.

66. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის სასწავლებლების მოსწავლეთა ფორმის ტანსაცმლის შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილება

47 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1960 წლის 11 თებერვლის № 100 დადგენილების 1-ლი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის ნაწილობრივ შეცვლის შესახებ

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენენ:

„იმ სამხედრო მოსამსახურეთა შრომითი მოწყობისა და მატერიალურ-საყოფაცხოვრებო უზრუნველყოფის შესახებ, რომლებიც დათხოვნილი არიან სსრ კავშირის შეიარაღებული ძალებიდან სსრ კავშირის შეიარაღებულ ძალთა ახალი მნიშვნელოვანი შემცირების კანონის შესაბამისად“ საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1960 წლის 11 თებერვლის № 100 დადგენილების 1-ლი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ბ) უზრუნველყონ თადარიგში დათხოვნილი ან გადამდგარი ოფიცრები და ზევადიანი სამსახურის სამხედრო მოსამსახურეები საცხოვრებელი ფართობით (მიუხედავად მისი უწყებრივი კუთვნილებისა, სსრ კავშირის თავდაცვის სამინისტროსა და სასაზღვრო ჯარების გარდა) პირველ რიგში, მაგრამ არა უგვიანეს სამი თვის ვადისა იმ დღიდან, რაც ისინი მივლენ გაწერის არსებული წესის გათვალისწინებით არჩეულ საცხოვრებელ ადგილზე“.

საქართველოს კპ
ცენტრალური კომიტეტის მდივანი
ე. შევარდნაძე.

საქართველოს სსრ
მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე
ზ. პატარიძე.

ქ. თბილისი. 1976 წლის 27 ივლისი. № 553

ქ. ზარქუის სახ. საქ. სსრ

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს დადგენილებები

48 გამომგონებლობისა და რაციონალიზაციის დარგში რესპუბლიკური სოციალისტური შეჯიბრების შესახებ

იმ მიზნით, რომ წარმატებით განხორციელდეს სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებანი საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ამაღლების, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ტემპის დაჩქარების, შრომის ნაყოფიერების გადიდებისა და პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების საკითხებზე, აგრეთვე ტექნიკურ შემოქმედებაში ჩაბმულ იქნენ მუშათა, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და მოსამსახურეთა ფართო მასები, გამოვლინდეს და გამოყენებულ იქნეს წარმოების რეზერვები, დაიზოგოს ყველა სახეობის სათბობი, ნედლეული, ელექტროენერგია და მასალები, მკვეთრად ამაღლდეს საგამომგონებლო, რაციონალიზატორული და საპატენტო-სალიცენზიო მუშაობის დონე საქართველოს სსრ სამინისტროებსა და უწყებებში, გაერთიანებებში, სამმართველოებსა და ტრესტებში, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებში, და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს 1976 წლის 22 მარტის № 199 დადგენილების შესაბამისად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭო

ი დ გ ე ნ ე ნ:

1. მოეწყოს საქართველოს სსრ ტერიტორიაზე განლაგებული სამინისტროებისა და უწყებების, სამმართველოების, გაერთიანებებისა და ტრესტების, საწარმოებისა და ორგანიზაციების, უმაღლესი სასწავლებლების, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტებისა და საპროექტო-საკონსტრუქტორო ორგანიზაციების, კომპლექსური შემოქმედებითი ბრიგადების გამომგონებლებისა და რაციონალიზატორების (მათ შორის ახალგაზრდების) რესპუბლიკური სოციალისტური შეჯიბრება გამომგონებლობისა და რაციონალიზაციის დარგში.

2. დამტკიცდეს გამომგონებლობისა და რაციონალიზაციის დარგში რესპუბლიკის სოციალისტური შეჯიბრების პირობები.

3. რესპუბლიკურ სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულებისათვის, რომლებიც მაღალ ადგილებს დაიკავებენ, დაწესდეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს პირველი, მეორე და მესამე ხარისხის დიპლომები, რაც განაწილდეს № 1 დანართის თანახმად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

4. დაწესდეს, რომ ფულადი პრემიების ოდენობა:

ა) საქართველოს სსრ სამინისტროთა და უწყებათა სამმართველოებს, გაერთიანებებს (ტრესტებს), საწარმოებსა და ორგანიზაციებს, აგრეთვე რესპუბლიკურ სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებისათვის პირველი, მეორე და მესამე ხარისხის დიპლომებით დაჯილდოებულ ამ საწარმოთა და ორგანიზაციათა კომპლექსურ შემოქმედებითს ბრიგადებს, გამომგონებლებსა და რაციონალიზატორებს (მათ შორის ახალგაზრდებს) გაუდიდდებათ შესაბამისად შინასადარგო სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულებისათვის დაწესებული პირველი ადგილის პრემიების თანხის 25, 15 და 10 პროცენტით;

ბ) საკავშირო დაქვემდებარების გაერთიანებებსა და საწარმოებს, სამეცნიერო-კვლევითს ინსტიტუტებს, საპროექტო-საკონსტრუქტორო ორგანიზაციებსა და უმაღლეს სასწავლებლებს, რომლებიც განლაგებულია რესპუბლიკის ტერიტორიაზე, აგრეთვე აღნიშნულ ორგანიზაციათა კომპლექსურ შემოქმედებითს ბრიგადებს, გამომგონებლებსა და რაციონალიზატორებს (მათ შორის ახალგაზრდებს) განესაზღვრებათ № 2 დანართის თანახმად.

რესპუბლიკურ სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულთა პრემირების ხარჯები გაიღება საწარმოთა და ორგანიზაციათა გამომგონებლობისა და რაციონალიზაციის სახსრებიდან.

5. რესპუბლიკურ სოციალისტურ შეჯიბრებში გამარჯვებულ საკავშირო დაქვემდებარების გაერთიანებებს, საწარმოებს, სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებსა და საპროექტო-საკონსტრუქტორო ორგანიზაციებს ფულადი პრემიები მიეცემათ შესაბამის სამინისტროებთან, უწყებებთან, მთავარ სამმართველოებთან შეთანხმებით დაქვემდებარების მიხედვით.

6. სოციალისტური შეჯიბრების სახელმძღვანელოდ და მისი შედეგების შესაჯამებლად შეიქმნას რესპუბლიკური კომისია № 3 დანართის თანახმად გათვალისწინებული შემადგენლობით.

7. რესპუბლიკურმა კომისიამ მთლიანად რესპუბლიკის მასშტაბით შეჯიბრების შედეგები წარმოუდგინოს განსახილველად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკურ საბჭოს მათი შეჯიბრებიდან 15 დღის განმავლობაში.

8. საქართველოს სსრ სამინისტროებმა და უწყებებმა, მათმა საქვეუწყებო ორგანიზაციებმა, რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებულმა საკავშირო დაქვემდებარების საწარმოებმა და ორგანიზაციებმა შექმნან მიმდინარე წლის 1 სექტემბრამდე დარგობრივი და ადგილობრივი კომისიები შესაბამისი ხელმძღვანელების მოადგილეთა თავმჯდომარეობით სოციალისტური შეჯიბრების ორგანიზაციისათვის, მისი ხელმძღვანელობისა და შედეგების შეჯამებისათვის.

9. სამინისტროებმა, უწყებებმა, სამმართველოების, გაერთიანებების (ტრესტების), საწარმოებისა და ორგანიზაციების, უმაღლესი სასწავლებლების, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტებისა და საპროექტო-საკონსტრუქტორო ორგანიზაციების ხელმძღვანელებმა, პროფკავშირთა საოლქო, საქალაქო და რაიონულმა საბჭოებმა, რესპუბლიკურმა, საფაბრიკო-საქარხნო და ადგილობრივმა კომიტეტებმა, გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა სრულიად საკავში-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რო საზოგადოების საბჭოებმა ფართოდ გამოიყენონ გამომგონებლობისა და რაციონალიზაციის დარგში სოციალისტური შეჯიბრების გამარჯვებულთა მორალური და მატერიალური წახალისების სხვადასხვა ფორმები, პრაქტიკაში შემოიღონ მოწინავე გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა გაგზავნა შემოქმედებითი საქმიანობის გამოცდილების გასაზიარებლად და მნიშვნელოვან ტექნიკურ სიახლეთა შესაძენად საბჭოთა კავშირისა და სოციალისტური საელჩოფოების მოწინავე საწარმოებში.

10. დაევალოს საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს საწარმოო-მასობრივი მუშაობისა და ხელფასის განყოფილებას გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა სრულიად საკავშირო საზოგადოების საქართველოს რესპუბლიკურ საბჭოსთან ერთად მიმდინარე წლის 20 სექტემბრამდე შეიმუშაოს დიპლომების ნიმუშები და წარმოუდგინოს შესათანხმებლად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკურ საბჭოს.

11. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტმა. რესპუბლიკური გაზეთებისა და ჟურნალების რედაქციებმა სისტემატურად გამოაქვეყნონ, გააშუქონ რადიოთი და ტელევიზიით გამომგონებლობისა და რაციონალიზაციის დარგში რესპუბლიკური სოციალისტური შეჯიბრების მიმდინარეობა და შედეგები.

12. სამინისტროებისა და უწყებების, სამმართველოების, გაერთიანებებისა და ტრესტების, საწარმოებისა და ორგანიზაციების, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტებისა და საპროექტო-საკონსტრუქტორო ორგანიზაციების ხელმძღვანელებმა, პროფკავშირთა საოლქო, საქალაქო და რაიონულმა საბჭოებმა, რესპუბლიკურმა, საფაბრიკო-საქარხნო და ადგილობრივმა კომიტეტებმა, გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა სრულიად საკავშირო საზოგადოების საბჭოებმა:

— გააცნონ გამომგონებლობისა და რაციონალიზაციის დარგში რესპუბლიკური სოციალისტური შეჯიბრების პირობები თითოეული საწარმოსა და ორგანიზაციის კოლექტივებს, ყველა მუშას, მოსამსახურესა და ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკს;

— უზრუნველყონ საჭირო ღონისძიებათა განხორციელება რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის დარგებში, ყოველ საწარმოსა და ორგანიზაციაში გამომგონებლობისა და რაციონალიზაციის სოციალისტური შეჯიბრების მოსაწყობად, რომელიც მიზნად დაისახავს მშრომელთა მასობრივი ტექნიკური შემოქმედების შემდგომ განვითარებას, მნიშვნელოვან გამოგონებათა და რაციონალიზატორულ წინადადებათა ფართოდ და დროულად გამოყენებას სახალხო მეურნეობაში, ხელს შეუწყობს მეათე ხუთწლედის ეკონომიის რაციონალიზატორული ფონდის შექმნისათვის ნაკისრ სოციალისტურ ვალდებულებათა წარმატებით შესრულებას.

13. ამ დადგენილების შინაარსი გამოქვეყნდეს პრესაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

* *
*

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭო გამოთქვამენ მტკიცე რწმენას, რომ რესპუბლიკის გამომგონებლები და რაციონალიზატორები მთელ თავიანთ ძალ-ღონეს, ცოდნასა და შემოქმედებითს ძიებას მოახმარენ სახალხო მეურნეობის ყველა დარგში მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ტემპის დაჩქარების კეთილშობილურ ამოცანას, ღირსეულ წვლილს შეიტანენ სკკპ XXV ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა წარმატებით განხორციელების საქმეში.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **ზ. პატარიძე.**	საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარე **თ. მოსაშვილი.**

ქ. თბილისი, 1976 წლის 6 აგვისტო. № 544

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა
და საქართველოს პროფკავშირთა რეს-
პუბლიკური საბჭოს 1976 წლის 6 აგვის-
ტოს № 544 დადგენილებით

პ ი რ ო ბ ე ბ ი

გამომგონებლობისა და რაციონალიზაციის დარგში რესპუბლიკური სოციალისტური შეჯიბრების ჩატარებისა

იმ მიზნით, რომ შემდგომ განვითარდეს რესპუბლიკის მშრომელთა მასობრივი ტექნიკური შემოქმედება, გაიზარდოს მისი ეფექტიანობა, დაჩქარდეს გამოგონებათა და რაციონალიზატორულ წინადადებათა გამოყენება წარმოებაში, გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა შემოქმედებითი ღონისძიებანი მოხმარდეს მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის აქტუალური ამოცანების გადაწყვეტას, რომლებიც ხელს უწყობენ საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ამაღლებას, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებას, სახალხო მეურნეობის განვითარების გეგმისა და ნაკისრი სოციალისტური ვალდებულებების წარმატებით შესრულებას 1976 წელს და მთლიანად მეათე ხუთწლედში, სახალხო მეურნეობაში გამოგონებათა და რაციონალიზატორულ წინადადებათა დანერგვის დაჩქარებას, საქართველოს სს რესპუბლიკაში ეწყობა გამომგონებლობისა და რაციონალიზაციის დარგში სოციალისტური შეჯიბრება.

შეჯიბრება ეწყობა:

— საქართველოს სსრ სამინისტროებსა, უწყებებსა, საკავშირო დაქვემდებარების სამმართველოებსა, გაერთიანებებსა, ტრესტებსა და კომბინატებს შორის;

— საქართველოს სსრ სამინისტროთა და უწყებათა საქვეუწყებო სამმართველოებსა, გაერთიანებებსა და ტრესტებს შორის;

— საკავშირო და რესპუბლიკური დაქვემდებრების საწარმოებსა და ორგანიზაციებს შორის;

—საკავშირო და რესპუბლიკური დაქვემდებარების სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებსა, საპროექტო-საკონსტრუქტორო ორგანიზაციებსა და უმაღლეს სასწავლებლებს შორის;

— გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა კომპლექსურ შემოქმედებით ბრიგადებს შორის;

— გამომგონებლებსა და რაციონალიზატორებს შორის (30 წლამდე ახალგაზრდების ჩათვლით).

სოციალისტური შეჯიბრების სახელმძღვანელოდ და მისი შედეგების შესაჯამებლად შექმნილი რესპუბლიკური კომისია წარდგენილ მასალებს განიხილავს წელიწადში ორჯერ: წლის პირველი ნახევრისათვის — აგვისტოში და მთელი წლისათვის — საანგარიშო წლის მომდევნო წლის თებერვალში (1976 წელს პირველი ნახევრის შეჯიბრების შედეგები არ ჯამდება).

ეროვნული ბიბლიოთეკა

სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულნი დაჯილდოვდებიან საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს დიპლომებითა და ფულადი პრემიებით. ფულადი პრემიები გაიცემა შედეგების ყოველი შეჯამებისას — წლის პირველი ნახევრისათვის და მთელი წლისათვის.

I. საქართველოს სსრ სამინისტროებისა და უწყებების შეჯიბრების პირობები

შეჯიბრებაში გამარჯვებულებად ჩაითვლებიან სამინისტროები და უწყებები, რომლებმაც გამომგონებლობისა და რაციონალიზაციის დარგში ძირითადი საგეგმო მაჩვენებლების მიხედვით დავალებათა და სოციალისტურ ვალდებულებათა წარმატებით შესრულებასთან ერთად (წინა წელს ეკონომიის ფაქტიურად მიღწეული დონის გათვალისწინებით) უზრუნველყვეს წინა საანგარიშო პერიოდთან შედარებით შემდეგი ძირითადი მაჩვენებლების უდიდესი მატება 100 მომუშავეზე გაანგარიშებით (მაგრამ არა ნაკლებ საშუალოდ 15 პროცენტისა):

— წინადადებების შემტან ავტორთა რაოდენობა;

— გამოყენებულ რაციონალიზატორულ წინადადებათა და გამოგონებათა რაოდენობა;

— გამოგონებათა და რაციონალიზატორულ წინადადებათა გამოყენებით მიღებული ეკონომია.

გარდა ამისა, შეჯიბრების შედეგების შეჯამებისას გათვალისწინებული იქნება შემდეგი მაჩვენებლები:

— იმ წინადადებათა პროცენტის ზრდა, რომელთა მიხედვითაც გამოანგარიშებულია ეკონომია;

— განუხილველ წინადადებათა რაოდენობის შემცირება;

— მშრომელთა შემოქმედებითი გაერთიანებების რაციონალიზატორთა, (გამომგონებელთა) კომპლექსური შემოქმედებითი ბრიგადების, საზოგადოებრივი საკონსტრუქტორო და საპატენტო ბიუროების, ნოვატორთა საბჭოების არსებობა და საქმიანობის ეფექტიანობა;

— დარგის ახალი ტექნიკის დანერგვის გეგმებში (საორგანიზაციო-ტექნიკურ ღონისძიებათა გეგმებში და სხვ.) საავტორო მოწმობებით ღაცული მანქანების, კონსტრუქციების, ტექნოლოგიების, ხელსაწყოებისა და ა. შ. გამოყენების დავალებათა არსებობა.

შეჯიბრების შედეგების შეჯამებისას მხედველობაში მიიღება გამომგონებლობისა და რაციონალიზაციის ძირითადი მაჩვენებლების დონე საშუალო- საკავშირო დარგობრივ მაჩვენებლებთან შედარებით.

საბოლოო მაჩვენებლების მიხედვით რესპუბლიკური კომისია განსაზღვრავს იმ დიპლომის ხარისხს, რომლითაც ჯილდოვდება სამინისტრო, უწყება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

II. სამმართველოების, გაერთიანებების, ტრესტების, საწარმოებისა და ორგანიზაციების შეჯიბრების პირობები

შეჯიბრებაში გამარჯვებულებად ჩაითვლებიან სამმართველოები, გაერთიანებები, ტრესტები, საწარმოები და ორგანიზაციები, რომლებმაც გამომგონებლობისა და რაციონალიზაციის დარგში ძირითადი საგეგმო მაჩვენებლების მიხედვით დავალებათა და სოციალისტურ ვალდებულებათა წარმატებით შესრულებასთან ერთად (წინა წელს ეკონომიის ფაქტიურად მიღწეული დონის გათვალისწინებით) უზრუნველყვეს შესაბამის საანგარიშო პერიოდთან შედარებით 100 მომუშავეზე გაანგარიშებით შემდეგი ძირითადი მაჩვენებლების უდიდესი მატება:

— წინადადებების შემტან ავტორთა რაოდენობა;

— გამოყენებულ გამოგონებათა და რაციონალიზატორულ წინადადებათა რაოდენობა;

— გამოგონებათა და რაციონალიზატორულ წინადადებათა გამოყენებით მიღებული ეკონომია.

შენიშვნები:

1. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს 1976 წლის 6 აგვისტოს № 544 დადგენილების № 1 დანართის „ბ“ ცხრილში აღნიშნული საკავშირო დაქვემდებარების სამმართველოები, გაერთიანებები, ტრესტები და კომბინატები შეჯიბრებაში მონაწილეობენ საქართველოს სსრ სამინისტროებისა და უწყებებისათვის დაწესებული პირობების შესაბამისად.

2. საქართველოს სსრ სამინისტროები და უწყებები და მათთან გათანაბრებული საკავშირო დაქვემდებარების ორგანიზაციები, რომლებსაც საანგარიშო პერიოდში არც ერთი გამოგონება არ დაუნერგავთ წარმოებაში, არ შეიძლება წარმოადგენდნენ პრეტენდენტებს საქართველოს სსრ მინისტროა საბჭოსა და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს დიპლომების მისაკუთვნებლად.

გარდა ამისა, შეჯიბრების შედეგების შეჯამებისას გათვალისწინებული იქნება შემდეგი მაჩვენებლები:

— სასოფლო-სამეურნეო საწარმოებისათვის, საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობებისათვის საშეფო დახმარების გაწევა საგამომგონებლო და რაციონალიზატორული მუშაობის ორგანიზაციაში, წინადადებათა შემუშავებასა და გაფორმებაში, რაციონალიზატორულ საქმიანობაში სოფლის მეურნეობის მუშაკთა ჩაბმაში;

— იმ წინადადებათა პროცენტის ზრდა, რომელთა მიხედვითაც გამოანგარიშებულია ეკონომია;

— განუხილველ წინადადებათა რაოდენობის შემცირება;

— რაციონალიზატორთა და გამომგონებელთა კომპლექსური შემოქმედებითი ბრიგადების, საზოგადოებრივი საკონსტრუქტორო და საპატენტო ბიუროების, ნოვატორთა საბჭოების არსებობა და საქმიანობის ეფექტიანობა;

ეროვნული ბიბლიოთეკა

— საამქროებსა (განყოფილებებსა), უბნებსა, კომპლექსურ შემოქმედებით ბრიგადებსა, გამომგონებლებსა და რაციონალიზატორებს შორის გამომგონებლობისა და რაციონალიზაციის დარგში სოციალისტური შეჯიბრების მდგომარეობა და მისი ორგანიზაცია;

— გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა სრულიად საკავშირო საზოგადოების წევრთა რაოდენობის ზრდა.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს დიპლომების მიკუთვნების საკითხის განხილვისას უპირატესობა მიეცემათ იმ სამმართველოებს, გაერთიანებებს, ტრესტებს, საწარმოებსა და ორგანიზაციებს, რომლებმაც საანგარიშო პერიოდში ყველაზე მეტი გამოგონება დანერგეს წარმოებაში.

III. რესპუბლიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების, საპროექტო-საკონსტრუქტორო ორგანიზაციებისა და უმაღლესი სასწავლებლების შეჯიბრების პირობები

შეჯიბრებაში მონაწილეობენ რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებული როგორც საკავშირო, ისე რესპუბლიკური დაქვემდებარების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები, საპროექტო-საკონსტრუქტორო ორგანიზაციები და უმაღლესი სასწავლებლები.

სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულებად ჩაითვლებიან სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები, საპროექტო-საკონსტრუქტორო ორგანიზაციები და უმაღლესი სასწავლებლები, რომლებმაც შეასრულეს გეგმა სამეცნიერო, საწარმოო და სასწავლო-პედაგოგიური საქმიანობის ძირითადი მაჩვენებლების მიხედვით, საგამომგონებლო და საპატენტო-სალიცენზიო მუშაობის ხაზით ნაკისრი სოციალისტური ვალდებულებანი და მოიპოვეს საუკეთესო შედეგები შემდეგი ძირითადი მაჩვენებლების მიხედვით:

— გამოგონებათა და აღმოჩენათა დონეზე შესრულებული ნამუშევრების ხვედრითი წონა საანგარიშო პერიოდში დამთავრებული დაცვისუნარიანი თემების საერთო რაოდენობაში;

— სავარაუდო გამოგონებებზე შეტანილი განაცხადების რაოდენობა, მათ შორის 100 მეცნიერ და ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკზე გაანგარიშებით;

— საავტორო მოწმობების გაცემის შესახებ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს გამოგონებებისა და აღმოჩენების საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა რაოდენობა, მათ შორის 100 მეცნიერ და ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკზე გაანგარიშებით;

— ქვეყნის სახალხო მეურნეობაში, მათ შორის რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში გამოყენებულ გამოგონებათა რაოდენობა, მათ შორის 100 მეცნიერ და ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკზე გაანგარიშებით;

— სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს გამოგონებებისა და აღმოჩენების საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის მიერ დასაპატენტებლად მიღებულ გამოგონებათა რაოდენობა;

ეროვნული ბიბლიოთეკა

— საზღვარგარეთ დაპატენტებულ გამოგონებათა რაოდენობა;

— გაყიდული ლიცენზიების რაოდენობა.

გარდა ამისა, შეჯიბრების შედეგების შეჯამებისას გათვალისწინებული იქნება შემდეგი მაჩვენებლები:

— ქვეყნის სახალხო მეურნეობაში, მათ შორის რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში გამოგონებათა გამოყენებით მიღებული ეკონომიის თანხა, რაც დადასტურებულია გამოყენების ადგილიდან გაცემული შესაბამისი ოფიციალური დოკუმენტებით;

— წლის დამდეგიდან გასულ პერიოდში წინადადებების (მათ შორის სავარაუდო გამოგონებებზე განაცხადების) შემტან ავტორთა რაოდენობა, მათ შორის 100 მეცნიერ და ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკზე გაანგარიშებით;

— საზოგადოებრივი საპატენტო ბიუროების არსებობა და მათი საქმიანობის ეფექტიანობა;

— გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა სრულიად საკავშირო საზოგადოების წევრთა რაოდენობის ზრდა.

IV. კომპლექსური შემოქმედებითი ბრიგადების შეჯიბრების პირობები

შეჯიბრებაში გამარჯვებულებად ჩაითვლებიან გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა კომპლექსური შემოქმედებითი ბრიგადები, რომლებმაც საუკეთესო შედეგები მოიპოვეს შემდეგი ძირითადი მაჩვენებლების მიხედვით:

— შემუშავებულ და შეტანილ რაციონალიზატორულ წინადადებათა და სავარაუდო გამოგონებებზე წარდგენილი განაცხადების რაოდენობა, რომელთა ავტორებიც არიან ბრიგადის წევრები;

— ბრიგადის წევრების მიერ შემუშავებულ დანერგილ რაციონალიზატორულ წინადადებათა და გამოგონებათა რაოდენობა;

— საავტორო მოწმობების გაცემის თაობაზე დადებითი გადაწყვეტილებების ან თვით საავტორო მოწმობების რაოდენობა, რომლებიც ბრიგადის წევრებმა მიიღეს;

— რაციონალიზატორულ წინადადებათა და გამოგონებათა გამოყენებით მიღებული ეკონომიის ოდენობა.

გარდა ამისა, შეჯიბრების შედეგების შეჯამებისას გათვალისწინებული იქნება შემდეგი მაჩვენებლები:

— საწარმოს საგამომგონებლო და რაციონალიზატორული მუშაობის თემატიკური გეგმიდან შესრულებული თემების რაოდენობა;

— გამოგონებათა და რაციონალიზატორულ წინადადებათა გამოყენებით მიღებული ნედლეულის, მასალების, სათბობის, ელექტროენერგიისა და შრომითი დანახარჯების ეკონომიის ოდენობა;

— ბრიგადის მუშაობა ახალგაზრდობის ჩასაბმელად ტექნიკურ შემოქმედებაში;

ეროვნული ბიბლიოთეკა

— საგამომგონებლო და რაციონალიზატორული მუშაობის ზემოაღნიშნული მაჩვენებლების მიხედვით შემოქმედებითი გეგმის (ვალდებულებების) არსებობა და შესრულება ბრიგადის მიერ.

შეჯიბრების შედეგების შეჯამებისას ცალკე იქნება გათვალისწინებული ბრიგადის წევრთა მიერ შემუშავებული რაციონალიზატორული წინადადებანი (გამოგონებანი), რომელთა გამოყენებამ ხელი შეუწყო ნაკეთობათა ხარისხის გაუმჯობესებას ან ხარისხის სახელმწიფო ნიშნის მიკუთვნებას მათთვის.

V. გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა შეჯიბრების პირობები

შეჯიბრებაში გამარჯვებულებად ჩაითვლებიან გამომგონებლები და რაციონალიზატორები, რომლებმაც საუკეთესო შედეგები მოიპოვეს შემდეგი ძირითადი მაჩვენებლების მიხედვით:

— შეტანილ და გამოყენებულ რაციონალიზატორულ წინადადებათა რაოდენობა;

— სავარაუდო გამოგონებებზე შეტანილი განაცხადების და საავტორო მოწმობების გასაცემად მიღებული დადებითი გადაწყვეტილებების ან თვით საავტორო მოწმობების რაოდენობა;

— გამოგონებათა და რაციონალიზატორულ წინადადებათა გამოყენებით მიღებული ეკონომიის ოდენობა.

გარდა ამისა, შეჯიბრების შედეგების შეჯამებისას გათვალისწინებული იქნება შემდეგი მაჩვენებლები:

— საგამომგონებლო და რაციონალიზატორული მუშაობის თემატიკური გეგმიდან შესრულებული თემების რაოდენობა;

— ახალგაზრდობის ჩაბმა ტექნიკურ შემოქმედებაში;

— ზემოაღნიშნული მაჩვენებლების მიხედვით შემოქმედებითი გეგმის (ვალდებულებების) არსებობა და შესრულება.

შეჯიბრების შედეგების შეჯამებისას ცალკე იქნება გათვალისწინებული რაციონალიზატორთა (გამომგონებელთა) მიერ შემუშავებული რაციონალიზატორული წინადადებანი (გამოგონებანი), რომელთა გამოყენებამ ხელი შეუწყო ნაკეთობათა ხარისხის გაუმჯობესებას ან ხარისხის სახელმწიფო ნიშნის მიკუთვნებას მათთვის.

VI. ახალგაზრდა (30 წლამდე) გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა შეჯიბრების პირობები

შეჯიბრებაში გამარჯვებულებად ჩაითვლებიან ახალგაზრდა გამომგონებლები და რაციონალიზატორები, რომლებმაც საუკეთესო შედეგები მოიპოვეს შემოქმედებითს საქმიანობაში შემდეგი ძირითადი მაჩვენებლების მიხედვით:

— შეტანილ და დანერგილ რაციონალიზატორულ წინადადებათა რაოდენობა;

ეროვნული ბიბლიოთეკა

— სავარაუდო გამოგონებებზე შეტანილი განაცხადების და საავტორო მოწმობათა გასაცემად მიღებული დადებითი გადაწყვეტილებების ან თვით საავტორო მოწმობების რაოდენობა;

— გამოყენებულ გამოგონებათა რაოდენობა;

— გამოგონებათა და რაციონალიზატორულ წინადადებათა გამოყენებით მიღებული ეკონომიის ოდენობა.

VII. მასალების წარდგენისა და შეჯიბრების შედეგების შეჯამების წესი

შეჯიბრების შედეგებს მთლიანად რესპუბლიკის მასშტაბით შეაჯამებს რესპუბლიკური კომისია, ხოლო სამინისტროების, უწყებების, სამმართველოების, გაერთიანებების, ტრესტების, საწარმოების, ორგანიზაციების, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების, საპროექტო-საკონსტრუქტორო ორგანიზაციებისა და უმაღლესი სასწავლებლების მიხედვით — შესაბამისი დარგობრივი და ადგილობრივი კომისიები.

სამინისტროების, უწყებების, სამმართველოების, გაერთიანებების, ტრესტების, საწარმოებისა და ორგანიზაციების შეჯიბრების შედეგები შეჯამდება წლის პირველი ნახევრის და მთელი წლის მუშაობის შედეგების მიხედვით, ხოლო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების, საპროექტო-საკონსტრუქტორო ორგანიზაციებისა და უმაღლესი სასწავლებლების, შემოქმედებითი კომპლექსური ბრიგადების, გამომგონებლებისა და რაციონალიზატორების (მათ შორის ახალგაზრდების) შეჯიბრების შედეგები— წლის მუშაობის შედეგების მიხედვით.

შეჯიბრებაში გამარჯვებულთა გამოსავლინებლად რესპუბლიკურ კომისიას წარედგინება შემდეგი მასალები თანდართული № 1, 2, 3 და 4 ფორმების თანახმად:

1. მთლიანად ორგანიზაციის საგამომგონებლო და რაციონალიზატორული მუშაობის შედეგები საანგარიშო პერიოდში (ფორმა № 1), კრებსითი ანგარიში 4-ნტ და 4-ნტ-ნუსხა (ახსნა-განმარტებითი ბარათითურთ) ფორმების მიხედვით.

2. შინადარგობრივ შეჯიბრებაში გამარჯვებულის თითო კანდიდატურა*) შეჯიბრების ყოველ სახეობაში:

ა) სამმართველოებსა, გაერთიანებებსა ან ტრესტებს შორის (ფორმა № 1);

ბ) საწარმოებსა ან ორგანიზაციებს შორის (ფორმა № 1);

გ) გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა კომპლექსურ შემოქმედებით ბრიგადებს შორის (ფორმა № 2);

დ) გამომგონებელთა შორის (ფორმა № 3);

ე) რაციონალიზატორთა შორის (ფორმა № 3);

ვ) ახალგაზრდა გამომგონებელთა შორის (ფორმა № 4);

ზ) ახალგაზრდა რაციონალიზატორთა შორის (ფორმა № 4).

*) საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრო წარადგენს საუკეთესო გაერთიანების, ტრესტის ან სამმართველოს ერთ კანდიდატურას და სამამდე საუკეთესო კანდიდატურას შეჯიბრების დანარჩენ სახეობებში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რესპუბლიკის სამინისტროები და უწყებები მასალებს წარადგენენ პროფკავშირთა რესპუბლიკურ კომიტეტებთან ერთად, ხოლო საკავშირო დაქვემდებარების სამმართველოები, გაერთიანებები, ტრესტები, საწარმოები და ორგანიზაციები — პროფკავშირთა შესაბამის რესპუბლიკურ კომიტეტებთან შეთანხმებით.

ცნობები წარდგენილ იქნება წელიწადში ორჯერ: წლის პირველი ნახევრის მუშაობის შედეგების მიხედვით — 5 აგვისტოსათვის (საკავშირო დაქვემდებარების საწარმოები და ორგანიზაციები — 1 აგვისტოსათვის), ხოლო მთელი წლის მუშაობის შედეგების მიხედვით — საანგარიშო პერიოდის მომდევნო წლის 5 თებერვლისათვის (საკავშირო დაქვემდებარების საწარმოები და ორგანიზაციები — 1 თებერვლისათვის).

საკავშირო დაქვემდებარების საწარმოები და ორგანიზაციები ცნობებს მე-2 პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტების მიხედვით არ წარადგენენ.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმი შეაჯამებს მეცნიერებათა აკადემიის სისტემის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების შეჯიბრების შედეგებს და განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკურ კომიტეტთან შეთანხმებით ამ დადგენილების მე-2 დანართის შესაბამისად (ცხრილი „გ“) წარუდგენს 1 თებერვლამდე რესპუბლიკურ კომისიას (გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა სრულიად საკავშირო საზოგადოების საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს მეშვეობით) შესაბამის მასალებს, თანდართული № 5 ფორმის თანახმად, ანგარიშებს 4-ნტ და 4-ნტ-ნუსხა (ახსნა-განმარტებითი ბარათითურთ) ფორმების მიხედვით, კრებსით ანგარიშს აკადემიის საუკეთესო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების შესახებ, აგრეთვე საუკეთესო კომპლექსური შემოქმედებითი ბრიგადების, გამომგონებლებისა და რაციონალიზატორების (მათ შორის ახალგაზრდების) კანდიდატურებს, № 2, 3 და 4 ფორმების თანახმად.

რესპუბლიკური დაქვემდებარების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები, საპროექტო-საკონსტრუქტორო ორგანიზაციები და უმაღლესი სასწავლებლები დაქვემდებარების მიხედვით სამინისტროებთან და უწყებებთან შეთანხმებით, ხოლო საკავშირო დაქვემდებარების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები და საპროექტო-საკონსტრუქტორო ორგანიზაციები — პროფკავშირის რესპუბლიკურ კომიტეტებთან შეთანხმებით წარუდგენენ 1 თებერვლამდე რესპუბლიკურ კომისიას (გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა სრულიად საკავშირო საზოგადოების საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს მეშვეობით) შეჯამებულ მასალებს საანგარიშო წელს მუშაობის შედეგების მიხედვით № 5 ფორმის თანახმად, ანგარიშებს 4-ნტ-დან 4-ნტ-ნუსხა (ახსნა-განმარტებითი ბარათითურთ) ფორმების მიხედვით, აგრეთვე საუკეთესო კომპლექსური შემოქმედებითი ბრიგადების, გამომგონებლებისა და რაციონალიზატორების (მათ შორის ახალგაზრდების) თითო კანდიდატურას, № 2, 3 და 4 ფორმების თანახმად.

შეჯიბრებაში გამარჯვებული საწარმოები და ორგანიზაციები დაჯილდოვდებიან ფულადი პრემიებით საუკეთესო გამომგონებელთა და რაციონალიზა-

ტორთა, რაციონალიზაციისა და გამომგონებლობის ბიუროების, საპატენტო-სალიცენზიო სამსახურების მუშაკთა, საწარმოებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელთა, პროფკავშირის კომიტეტებისა და გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა სრულიად საკავშირო საზოგადოების საბჭოების თავმჯდომარეთა წასახალისებლად. საუკეთესო გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა პრემირებისათვის გათვალისწინებულია საპრემიო ფონდის 70 პროცენტი.

ზემოაღნიშნულ მუშაკთა პრემირება ხდება შეჯიბრების შედეგების მიხედვით პრემირებული საწარმოს, ორგანიზაციის, დაწესებულების ადმინისტრაციის, პროფკავშირის კომიტეტისა და გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა საზოგადოების საბჭოს ერთობლივი გადაწყვეტილებით. საწარმოთა ხელმძღვანელებს პრემიას უმტკიცებს ზემდგომი ორგანიზაცია.

საწარმოებსა და ორგანიზაციებს, რომლებმაც გამოგონებათა გამოყენებით მიიღეს ეკონომია არა ნაკლებ 500 ათასი მანეთის ოდენობით, პრემიის თანხა უდიდდებათ 20 პროცენტით.

თუ საანგარიშო პერიოდში ორგანიზაციის (სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის, საპროექტო-საკონსტრუქტორო ორგანიზაციისა და უმაღლესი სასწავლებლის) მიერ შექმნილი გამოგონებების გამოყენებით რესპუბლიკის საწარმოებში მიღებულია ეკონომია არანაკლებ 500 ათასი მანეთის ოდენობით, პრემიის თანხა გადიდდება 20 პროცენტით.

საანგარიშო პერიოდში გაყიდული ლიცენზიების არსებობისას პრემიების ოდენობა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტებისათვის, საპროექტო-საკონსტრუქტორო ორგანიზაციებისა და უმაღლესი სასწავლებლებისათვის გადიდდება 50 პროცენტით.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს დიპლომებს გადასცემენ პასუხისმგებელი მუშაკები საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს დავალებით. იმ შემთხვევაში, თუ საბოლოო მასალებ- წარდგენილია აღნიშნული ვადების ან ამ პირობების დარღვევით, რესპუბლიკური კომისია მათ არ განიხილავს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფორმა № 1

ცნობა

სამინისტროს, უწყების, სამმართველოს, გაერთიანების, ტრესტის, საწარმოს (ორგანიზაციის) საგამომგონებლო და რაციონალიზატორული მუშაობის შედეგების შესახებ

ორგანიზაციის დასახელება ——————————————————+——

იმ სამინისტროს დასახელება, რომელსაც ექვემდებარება საწარმო (ორგანიზაცია) ——————————————————

მისამართი: ——————————————————

Z 3333

მაჩვენებლების დასახელება	მუშაობის შედეგები		შესადარი შედეგები	
	წინა წლის შესაბამის პერიოდში	საანგარიშო პერიოდში	ზრდა	შემცირება
1. მომუშავეთა საერთო რაოდენობა (კაცი)				
2. გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა სრულიად საკავშირო საზოგადოების წევრთა რაოდენობა				
3. წინადადების შემტან ავტორთა რაოდენობა				
4. გამოგონებათა სახელმწიფო კომიტეტში შეტანილია განაცხადი საგარაუდო გამოგონებებზე				
5. გამოგონებათა სახელმწიფო კომიტეტისაგან მიღებულია დადებითი გადაწყვეტილება				
6. გამოყენებულია გამოგონება				
7. რაციონალიზატორულ წინადადებათა გარდამავალი ნაშთი 1 იანვრის მდგომარეობით				
8. შემოსულ რაციონალიზატორულ წინადადებათა რაოდენობა				
9. სულ წინადადებანი გარდამავალი ნაშთით				
10. მიღებულ რაციონალიზატორულ წინადადებათა რაოდენობა				
იგივე — 100 მომუშავეზე				
მიღებულია რაციონალიზატორული წინადადებანი განხილულის პროცენტულად				

ქ. მარქსის სახ. საქ. სხვ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაჩვენებლების დასახელება	მუშაობის შედეგები		შესადარი შედეგები	
	წინა წლის შესაბამის პერიოდში	საანგარიშო პერიოდში	ზრდა	შემცირება
11. გამოყენებულ რაციონალიზატორულ წინადადებათა რაოდენობა				
იგივე 100 მომუშავეზე				
გამოყენებულია რაციონალიზატორული წინადადებანი მიღებულის პროცენტულად				
12. იმ გამოყენებულ რაციონალიზატორულ წინადადებათა რაოდენობა, რომელთა მიხედვითაც გამოანგარიშებულია ეკონომია				
იგივე — 100 მომუშავეზე				
იმ წინადადებათა პროცენტი, რომელთა მიხედვითაც გამოანგარიშებულია ეკონომია				
13. უარყოფილ წინადადებათა პროცენტი				
14. საანგარიშო პერიოდში განუხილველ წინადადებათა რაოდენობა				
განუხილველ წინადადებათა პროცენტი				
15. გამოგონებათა და რაციონალიზატორულ წინადადებათა გამოყენებით მიღებული ეკონომია (ათასი მანეთი)				
16. გამომგონებლობისა და რაციონალიზაციის დაფინანსების გეგმა (ათასი მანეთი)				
17. სახსრების ფაქტიური გამოყენება (ათასი მანეთი)				
18. ვალდებულება ეკონომიის რაციონალიზატორული ფონდის შესაქმნელად (ათასი მანეთი)				
19. გამოგონებათა გამოყენებით მიღებული ეკონომია (ათასი მანეთი)				
20. საშუალო ეკონომია ერთ გამოგონებაზე				
21. საშუალო ეკონომია ერთ რაციონალიზატორულ წინადადებაზე				

ცნობას სამინისტროების, უწყებებისა და მათთან გათანაბრებული ორგანიზაციებისათვის ხელს აწერენ სამინისტროს (უწყების) ხელმძღვანელი და ტექნიკური სამმართველოს (განყოფილების) უფროსი; სამმართველოების, ტრესტების, გაერთიანებების, საწარმოებისა და ორგანიზაციებისათვის — ხელმძღვანელი (მთავარი ინჟინერი), რაციონალიზაციისა და გამომგონებლობის ბიუროს უფროსი, პროფკავშირის საფაბრიკო-საქარხნო (ადგილობრივი) კომიტეტის თავმჯდომარე და გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა საზოგადოების საბჭოს თავმჯდომარე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენიშვნა:

1. ცნობას თან დაერთვის ანგარიშის ასლი 4-ნტ ფორმის მიხედვით და გამოყენებულ გამოგონებათა ნუსხა, მონაცემები სამინისტროს, უწყების, სამმართველოს, გაერთიანების, ტრესტის, საწარმოებისა და ორგანიზაციების მიერ საანგარიშო პერიოდში საქმიანობის ყველა ძირითადი მაჩვენებლის მიხედვით სახელმწიფო გეგმის შესრულების შესახებ.

ცნობისათვის თანდართული ახსნა-განმარტებითი ბარათი უნდა შეიცავდეს მონაცემებს რაციონალიზატორთა და გამომგონებელთა კომპლექსური შემოქმედებითი ბრიგადების, საზოგადოებრივი საკონსტრუქტორო და საპატენტო ბიუროების, ნოვატორთა საბჭოების არსებობისა და საქმიანობის ეფექტიანობის შესახებ, გამომგონებლობისა და რაციონალიზაციის დარგში სასოფლო-სამეურნეო საწარმოების, საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობებისათვის გაწეული საშეფო მუშაობის შესახებ, ახალი ტექნიკის დანერგვის გეგმებში (ორგანიზაციულ-ტექნიკურ ღონისძიებათა და სხვა გეგმებში) დარგის მიხედვით საავტორო მოწმობებით დაცული მანქანების, კონსტრუქციების, ტექნოლოგიების, ხელსაწყოების და ა. შ. გამოყენების დავალებათა შეტანის შესახებ, ყველაზე მნიშვნელოვან გამოყენებულ გამოგონებათა და რაციონალიზატორულ წინადადებათა მოკლე დახასიათებას, სადაც აღნიშნული იქნება წარმოების გადაჭრილი პრობლემები, ავტორთა გვარები და მიღებული ეკონომია ან სხვა სასარგებლო ეფექტი, საამქროების (განყოფილებების), უბნების კომპლექსური შემოქმედებითი ბრიგადების, გამომგონებლებისა და რაციონალიზატორების სოციალისტური შეჯიბრების მდგომარეობა და ორგანიზაცია.

2. წინადადებათა გამოყენების პროცენტი განისაზღვრება გამოყენებულ რაციონალიზატორულ წინადადებათა რაოდენობის შეფარდებით მიღებულ წინადადებათა რაოდენობასთან.

წინადადებათა პროცენტი, რომელთა მიხედვითაც გამოანგარიშებულია ეკონომია, განისაზღვრება იმ რაციონალიზატორულ წინადადებათა რაოდენობის ყველა გამოყენებული წინადადების რაოდენობასთან შეფარდებით, რომელთა მიხედვითაც გამოანგარიშებულია ეკონომია.

უარყოფილ რაციონალიზატორულ წინადადებათა პროცენტი განისაზღვრება განხილულ (უარყოფილ პლუს მიღებულ) რაციონალიზატორულ წინადადებათა რაოდენობასთან უარყოფილ წინადადებათა შეფარდებით.

განუხილველ რაციონალიზატორულ წინადადებათა პროცენტი განისაზღვრება განხილვის პროცესში არსებულ წინადადებათა რაოდენობის განსახილველ (წლის დამდეგიდან შემოსულ პლუს გასული წლის დამლევისათვის განხილვის პროცესში არსებულ) წინადადებათა რაოდენობასთან შეფარდებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთ რაციონალიზატორულ წინადადებაზე ეკონომიის საშუალო ოდენობა განისაზღვრება რაციონალიზატორულ წინადადებათა დანერგვით მიღებული ეკონომიის თანხის შეფარდებით წლის დამდეგიდან დანერგილ იმ რაციონალიზატორულ წინადადებათა რაოდენობასთან, რომელთა მიხედვითაც გამოანგარიშებულია ეკონომია.

ერთ გამოგონებაზე ეკონომიის საშუალო ოდენობა განისაზღვრება გამოგონებათა დანერგვით მიღებული ეკონომიის თანხის შეფარდებით წლის დამდეგიდან დანერგილ იმ გამოგონებათა რაოდენობასთან, რომელთა მიხედვითაც გამოანგარიშებულია ეკონომია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბუხ. 48
ფორმა № 2

ცნობა

19 . . . . წელს კომპლექსური შემოქმედებითი ბრიგადის საგამომგონებლო და რაციონალიზატორული მუშაობის შედეგების შესახებ

საწარმოს დასახელება _____

ბრიგადის ხელმძღვანელი (თანამდებობა) _____

ბრიგადის შემადგენლობა (გვარის, სახელის, მამის სახელისა და დაკავებული თანამდებობის აღნიშვნით) _____

მაჩვენებლები	მუშაობის შედეგები	
	ვალდებულებანი შემოქმედებითი გეგმის მიხედვით	ფაქტიური შესრულება
1. შემუშავებული და შეტანილ რაციონალიზატორულ წინადადებათა რაოდენობა		
2. სავარაუდო გამოგონებებზე შეტანილი განაცხადების რაოდენობა		
3. გამოყენებულ რაციონალიზატორულ წინადადებათა რაოდენობა გამოყენებულ გამოგონებათა რაოდენობა		
4. საავტორო მოწმობების გასაცემად დადებით გადაწყვეტილებათა რაოდენობა ან საავტორო მოწმობების რაოდენობა		
5. რაციონალიზატორულ წინადადებათა და გამოგონებათა გამოყენებით მიღებული ეკონომია (ათასი მანეთი)		
6. თემატიკური გეგმიდან შესრულებულ რაციონალიზატორულ წინადადებათა რაოდენობა		
7. შემოსულ და ადგილზე განხილულ რაციონალიზატორულ წინადადებათა რაოდენობა		
8. გამოგონებათა და რაციონალიზატორულ წინადადებათა გამოყენების შედეგად დაზოგილია: ნედლეული და მასალები (ათასი მანეთი) ფერადი ლითონი (ტონა) შავი ლითონი (ტონა) სათბობი (ტონა) ელექტროენერგია (ათასი კილოვატსაათი) შრომითი დანახარჯები (კაცსაათი)		

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაჩვენებლები	მუშაობის შედეგები	
	ვალდებულებანი შემოქმედებითი გეგმის მიხედვით	ფაქტიური შესრულება
9. რაციონალიზატორულ საქმიანობაში პირველად ჩაბმულ ახალგაზრდა (30 წლამდე) მუშათა და ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა რაოდენობა		

საწარმოს ხელმძღვანელი (მთავარი ინჟინერი)
რაციონალიზაციისა და გამომგონებლობის ბიუროს უფროსი
პროფკავშირის საფაბრიკო-საქარხნო (ადგილობრივი) კომიტეტის თავმჯდომარე
გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა საზოგადოების საბჭოს თავმჯდომარე

საწარმოს ხელმძღვანელი (მთავარი ინჟინერი)

რაციონალიზაციისა და გამომგონებლობის ბიუროს უფროსი

პროფკავშირის საფაბრიკო-საქარხნო (ადგილობრივი) კომიტეტის თავმჯდომარე

გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა საზოგადოების საბჭოს თავმჯდომარე

შენიშვნა:

ცნობისათვის თანდართულ ახსნა-განმარტებითს ბარათში ასახული უნდა იყოს მონაცემები ბრიგადის მიერ შექმნილ იმ რაციონალიზატორულ წინადადებათა და გამოგონებათა შესახებ, რომელთა გამოყენება ხელს უწყობს ნაკეთობათა ხარისხის გაუმჯობესებას ან მათთვის ხარისხის ნიშნის მიკუთვნებას, აგრეთვე სხვა ყველაზე ეფექტიან გამოგონებათა და რაციონალიზატორულ წინადადებათა დასახელება და მოკლე შინაარსი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფორმა № 3

ცნობა

რაციონალიზატორის (გამომგონებლის) საგამომგონებლო და რაციონალიზატორული მუშაობის შედეგების შესახებ

საწარმოს (ორგანიზაციის) დასახელება _____

გვარი, სახელი, მამის სახელი _____

თანამდებობა _____

დაბადების წელი _____

მაჩვენებლები	მუშაობის შედეგები	
	ვალდებულებანი შემოქმედებითი გეგმის მიხედვით	ფაქტიური შესრულება
1. შეტანილ რაციონალიზატორულ წინადადებათა რაოდენობა		
2. სავარაუდო გამოგონებებზე შეტანილი განაცხადების რაოდენობა		
3. საავტორო მოწმობების გასაცემად მიღებულ დადებით გადაწყვეტილებათა რაოდენობა ან საავტორო მოწმობების რაოდენობა		
4. გამოყენებულ რაციონალიზატორულ წინადადებათა რაოდენობა გამოგონებათა რაოდენობა		
5. გამოგონებათა და რაციონალიზატორულ წინადადებათა გამოყენებით მიღებული ეკონომია (ათასი მანეთი)		
6. საწარმოს თემატიკური გეგმიდან შესრულებულ რაციონალიზატორულ წინადადებათა რაოდენობა		
7. რაციონალიზატორულ საქმიანობაში პირველად ჩაბმულ ახალგაზრდა (30 წლამდე) მუშათა და ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა რაოდენობა		

საწარმოს (ორგანიზაციის) ხელმძღვანელი
(მთავარი ინჟინერი)

რაციონალიზაციისა და გამომგონებლობის
ბიუროს უფროსი

პროფკავშირის საფაბრიკო-საქარხნო (ადგილობრივი)
კომიტეტის თავმჯდომარე

გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა საზოგადოების
საბჭოს თავმჯდომარე

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენიშვნა: ცნობისათვის თანდართულ ახსნა-განმარტებითს ბარათში ასახული უნდა იყოს მონაცემები რაციონალიზატორთა (გამომგონებელთა) მიერ შექმნილ იმ რაციონალიზატორულ წინადადებათა და გამოგონებათა შესახებ, რომელთა გამოყენება ხელს უწყობს ნაკეთობათა ხარისხის გაუმჯობესებას ან მათთვის ხარისხის ნიშნის მიკუთვნებას, აგრეთვე სხვა ყველაზე ეფექტიან გამოგონებათა და რაციონალიზატორულ წინადადებათა დასახელება და მოკლე შინაარსი.

მუხ. 48
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ფორმა № 4

ცნობა

19 . . . . წელს 30 წლამდე ასაკის ახალგაზრდა რაციონალიზატორის (გამომგონებლის) საგამომგონებლო და რაციონალიზატორული საქმიანობის შედეგების შესახებ

საწარმოს (ორგანიზაციის) დასახელება _____

გვარი, სახელი, მამის სახელი _____

თანამდებობა _____

დაბადების წელი _____

მაჩვენებლები	მუშაობის შედეგები	
	ვალდებულებანი შემოქმედებითი გეგმის მიხედვით	ფაქტიური შესრულება
1. შეტანილ რაციონალიზატორულ წინადადებათა რაოდენობა		
2. სავარაუდო გამოგონებებზე შეტანილი განაცხადების რაოდენობა		
3. საავტორო მოწმობების გასაცემად მიღებულ დადებით გადაწყვეტილებათა რაოდენობა ან საავტორო მოწმობების რაოდენობა		
4. გამოყენებულ რაციონალიზატორულ წინადადებათა რაოდენობა გამოყენებულ გამოგონებათა რაოდენობა		
5. რაციონალიზატორულ წინადადებათა და გამოგონებათა გამოყენებით მიღებული ეკონომია (ათასი მანეთი)		

საწარმოს (ორგანიზაციის) ხელმძღვანელი
(მთავარი ინჟინერი)

რაციონალიზაციისა და გამომგონებლობის
ბიუროს უფროსი

პროფკავშირის საფაბრიკო-საქარხნო (ადგილობრივი)
კომიტეტის თავმჯდომარე

გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა
საზოგადოების საბჭოს თავმჯდომარე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფორმა № 5

ცნობა

სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის, საპროექტო-საკონსტრუქტორო ორგანიზაციის, უმაღლესი სასწავლებლის საგამომგონებლო და საპატენტო-სალიცენზიო მუშაობის შედეგების შესახებ

სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის, საპროექტო-საკონსტრუქტორო ორგანიზაციის, უმაღლესი სასწავლებლის დასახელება _____

იმ სამინისტროს (უწყების) დასახელება, რომელსაც ექვემდებარება სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, საპროექტო-საკონსტრუქტორო ორგანიზაცია, უმაღლესი სასწავლებელი _____

მისამართი: _____

მომუშავეთა (მათ შორის მეცნიერ და ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა) საერთო რაოდენობა _____

გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა სრულიად საკავშირო საზოგადოების წევრთა რაოდენობა _____

მაჩვენებლების დასახელება	მუშაობის შედეგები		შესადარი შედეგები	
	წინა წლის შესაბამის პერიოდში	საანგარიშო პერიოდში	ზრდა	შემცირება
1. წინადადებების (სავარაუდო გამოგონებებზე განაცხადების) შემტან ავტორთა რაოდენობა) მათ შორის 100 მეცნიერ და ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკზე)				
2. დამთავრებული თემების საერთო რაოდენობა				
3. აღმოჩენათა და გამოგონებათა დონეზე შესრულებული ნამუშევრების ხვედრითი წონა საანგარიშო პერიოდში დამთავრებული დაცვისუნარიანი თემების საერთო რაოდენობაში				
4. სავარაუდო გამოგონებებზე შეტანილი განაცხადების რაოდენობა				
5. საავტორო მოწმობების გასაცემად მიღებულ გადაწყვეტილებათა რაოდენობა, მათ შორის — 100 მეცნიერ და ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკზე				
6. უარყოფით გადაწყვეტილებათა რაოდენობა				
7. ქვეყნის სახალხო მეურნეობაში გამოყენებულ გამოგონებათა რაოდენობა				
მათ შორის — რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში				
აქედან — 100 მეცნიერ და ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკზე				

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაჩვენებლების დასახელება	მუშაობის შედეგები		შესადარი შედეგები	
	წინა წლის შესაბამის პერიოდში	საანგარიშო პერიოდში	ზრდა	შემცირება
8. საზღვარგარეთ დასაპატენტებელ გამოგონებათა რაოდენობა				
9. საზღვარგარეთ დაპატენტებულ გამოგონებათა რაოდენობა				
10. გაყიდული ლიცენზიების რაოდენობა				
11. ქვეყნის სახალხო მეურნეობაში გამოგონებათა გამოყენებით მიღებული ეკონომიის თანხა, რაც დადასტურებულია გამოყენების ადგილიდან გაცემული ოფიციალური დოკუმენტებით მათ შორის — რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში				
12. გამოყენებულ რაციონალიზატორულ წინადადებათა რაოდენობა				
13. რაციონალიზატორულ წინადადებათა გამოყენებით მიღებული ეკონომიის თანხა				

ხელმძღვანელის მოადგილე

საპატენტო განყოფილების უფროსი

გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა საზოგადოების
საბჭოს თავმჯდომარე

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენიშვნა: ცნობას თან დაერთვის:

1. ანგარიშების ასლები კ-ნტ ფორმის მიხედვით და გამოყენებულ გამოგონებათა ნუსხა, გამოგონებაზე შეტანილი განაცხადების ნუსხა.

2. გამოგონებათა დონეზე და მათი გამოყენებით შესრულებული თემების ნუსხა (აღინიშნება თემები, საავტორო მოწმობათა ნომრები და მათი დასახელება).

3. გამოყენებულ გამოგონებათა ნუსხა და ცნობები მათი გამოყენებით მიღებული ეკონომიის შესახებ.

4. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს გამოგონებებისა და აღმოჩენების საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის გადაწყვეტილებათა ასლები დაპატენტების შესახებ.

5. მიღებული პატენტების ასლები.

მე-3 პუნქტის გამო წარდგენილი იქნება:

ა) აღმოჩენათა და გამოგონებათა დონეზე შესრულებული თემების რაოდენობის შეფარდება საანგარიშო წელს დამთავრებული დაცვისუნარიანი თემების რაოდენობასთან;

ბ) გამოგონებათა დონეზე შესრულებული თემების მოცულობის (ათას მანეთობით) შეფარდება საანგარიშო წელს დამთავრებული დაცვისუნარიანი თემების საერთო მოცულობასთან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა
და საქართველოს პროფკავშირთა რეს-
პუბლიკური საბჭოს 1976 წლის 6 აგვის-
ტოს № 544 დადგენილების
დანართი № 1

გ ა ნ ა წ ი ლ ე ბ ა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს დიპლომებისა

ა) საქართველოს სსრ სამინისტროებისა და უწყებებისათვის, მათი საქვეუწყებო საწარმოებისა და ორგანიზაციებისათვის, აგრეთვე კომპლექსური შემოქმედებითი ბრიგადების, გამომგონებლებისა და რაციონალიზატორებისათვის (მათ შორის 30 წლამდე ახალგაზრდებისათვის) ჯგუფებად დაყოფის შესაბამისად

სამინისტროებისა და უწყებების დასახელება	დიპლომების რაოდენობა											
	სამინისტროებისა და უწყებებისათვის (დიპლომების ხარისხს დაწესებს რესპუბლიკური კომისია)	საქვეუწყებო სამმართველოების, გაერთიანებებისა და ტრესტებისათვის			საქვეუწყებო საწარმოებისა და ორგანიზაციებისათვის			კომპლექსური შემოქმედებითი ბრიგადებისათვის			გამომგონებლებისა და რაციონალიზატორებისათვის (მათ შორის ახალგაზრდებისათვის)		
		I ხარისხის	II ხარისხის	III ხარისხის	I ხარისხის	II ხარისხის	III ხარისხის	I ხარისხის	II ხარისხის	III ხარისხის	I ხარისხის	II ხარისხის	III ხარისხის
I. საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტრო, საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტრო, საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტრო, საქართველოს												

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამინისტროებისა და უწყებების დასახელება	დიპლომების რაოდენობა												
	სამინისტროებისა და უწყებებისათვის (დიპლომის ხარისხს დაწესებს რესპუბლიკური კომისია)	საქვეუწყებო სამმართველოების, გაერთიანებებისა და ტრესტებისათვის			სიქვეუწყებო საწარმოებისა და ორგანიზაციებისათვის			კომპლექსური შემოქმედებითი ბრიგადებისათვის			გამიმგონებლებისა და რაციონალიზატორებისათვის (მათ შორის ახალგაზრდებისათვის)		
		I ხარისხის	II ხარისხის	III ხარისხის	I ხარისხის	II ხარისხის	III ხარისხის	I ხარისხის	II ხარისხის	III ხარისხის	I ხარისხის	I ხარისხის	III ხარისხის
სსრ ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტრო, საქართველოს სსრ ხე-ტყისა და ხის დამმუშავებელი მრეწველობის სამინისტრო, საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტრო, საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის სამინისტრო	2	1	2	2	1	2	2	1	2	3	3	6	11
II. საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტრო, საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის სამინისტრო, საქართველოს სსრ საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტრო, საქართველოს სსრ საავტომობილო გზების სამინისტრო .	1	1	1	1	1	1	1	1	1	2	2	5	9
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სამონტაჟო და სპეციალურ სამშენებლო სამუშაოთა მთავარი სამმართველო													

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამინისტროებისა და უწყებების დასახელება	დიპლომების რაოდენობა												
	სამინისტროებისა და უწყებებისათვის (დიპლომის ხარისხს დაანწესებს რესპუბლიკური კომისია)	საქვეუწყებო სამმართველოების, გაერთიანებებისა და ტრესტებისათვის			საქვეუწყებო საწარმოებისა და ორგანიზაციებისათვის			კომპლექსური შემოქმედებითი ბრიგადებისათვის			გამომგონებლებისა და რაციონალიზატორებისათვის (მათ შორის ახალგაზრდებისათვის)		
		I ხარისხის	II ხარისხის	III ხარისხის	I ხარისხის	II ხარისხის	III ხარისხის	I ხარისხის	II ხარისხის	III ხარისხის	I ხარისხის	II ხარისხის	III ხარისხის
III. საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტრო, საქართველოს სსრ საბინაო-კომუნალური მეურნეობის სამინისტრო, საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტრო, საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სამინისტრო, ცეკავშირი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ნავთობპროდუქტების მომარაგება-გასაღების მთავარი სამმართველო, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გაზიფიკაციის მთავარი სამმართველო	1	1	1	1	1	1	1	1	1	1	2	4	7
IV. საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრო, საქართველოს სსრ დამზადების სამინისტრო, საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტრო, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს რესპუბლიკური გაერთიანება „საქსოფლტექნიკა“, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტი	1	1	1	2	1	2	2	1	2	2	2	5	8

ეროვნული ბიბლიოთეკა

		დიპლომების რაოდენობა											
	სამინისტროებისა და უწყებებისათვის (დიპლომის ხარისხს დაადგენს რესპუბლიკური კომისია)	საქვეუწყებო სამმართველოების, გაერთიანებებისა და ტრესტებისათვის			საქვეუწყებო საწარმოებისა და ორგანიზაციებისათვის			კომპლექსური შემოქმედებითი ბრიგადებისათვის			გამომგონებლებისა და რაციონალიზატორებისათვის (მათ შორის ახალგაზრდებისათვის)		
		I ხარისხის	II ხარისხის	III ხარისხის	I ხარისხის	II ხარისხის	III ხარისხის	I ხარისხის	II ხარისხის	III ხარისხის	I ხარისხის	II ხარისხის	III ხარისხის
V. საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრო, საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო, საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო, საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრო, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტი	1	1	—	—	1	1	1	1	1	—	1	1	1

ბ) სამმართველოების, გაერთიანებების, ტრესტების, კომბინატების, საკავშირო დაქვემდებრების საწარმოებისა და ორგანიზაციებისთავის, აგრეთვე კომპლექსური შემოქმედებითი ბრიგადების, გამომგონებლებისა და რაციონალიზატორებისათვის (მათ შორის — 30 წლამდე ახალგაზრდებისათვის)

საწარმოებისა და ორგანიზაციების დასახელება	დიპლომების რაოდენობა											
				საქვეუწყებო საწარმოებისა და ორგანიზაციებისათვის			კომპლექსური შემოქმედებითი ბრიგადებისათვის			გამომგონებლებისა და რაციონალიზატორებისათვის (მათ შორის ახალგაზრდებისათვის)		
	I ხარისხის	II ხარისხის	III ხარისხის	I ხარისხის	II ხარისხის	III ხარისხის	I ხარისხის	II ხარისხის	III ხარისხის	I ხარისხის	II ხარისხის	III ხარისხის
I. საქართველოს სსრ ენერგეტიკისა და ელექტრიფიკაციის მთავარი საწარმოო სამმართველო, საქართველოს გეოლოგიის საწარმოო სამმართველო, საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სამმართველო, საქართველოს თევზის მრეწველობის საწარმოო სამმართველო, საქართველოს სსრ ქვანახშირის მრეწველობის კომბინატი, „საქჰიდროენერგომშენის", „კავკასელექტროქსელმშენის", ამიერკავკასიის ტრანსმშენის, „საქნავთობგეოფიზიკის" ტრესტები, „თბილგვირაბმშენის" სამმართველო, საწარმოო გაერთიანება „საქნავთობი", ჭიათურის მარგანეცის სამთამადნო კომბინატი, საწარმოო გაერთიანება „საქსამთოქიმმრეწვი, თბილისის მეტროპოლიტენის სამმართველო	2	—	—	1	1	2	1	2	3	3	5	9

ეროვნული ბიბლიოთეკა

საწარმოებისა და ორგანიზაციების დასახელება	დიპლომების რაოდენობა											
				საქვეუწყებო საწარმოებისა და ორგანიზაციებისათვის			კომპლექსური შემოქმედებითი ბრიგადებისათვის			გამომგონებლებისა და რაციონალიზატორებისათვის (მათ შორის ახალგაზრდებისათვის)		
	I ხარისხის	II ხარისხის	III ხარისხის	I ხარისხის	II ხარისხის	III ხარისხის	I ხარისხის	II ხარისხის	III ხარისხის	I ხარისხის	II ხარისხის	III ხარისხის
II. საკავშირო დაქვემდებარების საწარმოები და ორგანიზაციები . .	3	5	8	—	—	—	3	4	7	6	9	15

შენიშვნა: ამ ცხრილის I ჯგუფში ჩამოთვლილი ორგანიზაციები ერთმანეთს ეჯიბრებიან სამინისტროებისა და უწყებებისათვის დაწესებული შეჯიბრების პირობების თანახმად

ბ) რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებული სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტებისა და საპროექტო-საკონსტრუქტორო ორგანიზაციებისათვის, აგრეთვე უმაღლესი სასწავლებლების, კომპლექსური შემოქმედებითი ბრიგადების, გამომგონებლებისა და რაციონალიზატორებისათვის (მათ შორის 30 წლამდე ახალგაზრდებისათვის)

ეროვნული ბიბლიოთეკა

საწარმოებისა და ორგანიზაციების დასახელება	დიპლომების რაოდენობა											
				საქვეუწყებო საწარმოებისა და ორგანიზაციებისათვის			კომპლექსური შემოქმედებითი ბრიგადებისათვის			გამომგონებლებისა და რაციონალიზატორებისათვის (მათ შორის ახალგაზრდებისათვის)		
	I ხარისხის	II ხარისხის	III ხარისხის	I ხარისხის	II ხარისხის	III ხარისხის	I ხარისხის	II ხარისხის	III ხარისხის	I ხარისხის	II ხარისხის	III ხარისხის
I. საკავშირო დაქვემდებარების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები და საპროექტო-საკონსტრუქტორო ორგანიზაციები	1	1	2	—	—	—	1	1	—	1	1	1
II. საქართველოს სსრ სამინისტროთა და უწყებათა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები და საპროექტო-საკონსტრუქტორო ორგანიზაციები, აგრეთვე რესპუბლიკის უმაღლესი სასწავლებლები	1	1	1	—	—	—	1	1	—	1	1	—
III. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სისტემის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები	1	1	1	—	—	—	1	1	—	1	1	—

შენიშვნა: იმ შემთხვევაში, თუ სამინისტრო, უწყება, საწარმო, ორგანიზაცია, დაწესებულება არ წარადგენს მასალებს შეჯიბრების ერთ ან რამდენიმე სახეობაში, რესპუბლიკურ კომისიას უფლება აქვს მათ ხარჯზე (შეჯიბრების მოცემული სახეობისათვის დამტკიცებული დიპლომების საერთო რაოდენობის ფარგლებში) შესაბამისად გაადიდოს იმავე ჯგუფის სხვა სამინისტროების, უწყებების, საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების წასახალისებლად წარსადგენი კანდიდატურების რიცხვი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და
საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური
საბჭოს 1976 წლის 6 აგვისტოს № 544
დადგენილების დანართი № 2

ᲬᲓᲔᲜᲬᲒᲐ

ფულადი პრემიებისა რესპუბლიკურ სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებული საკავშირო დაქვემდებარების გაერთიანებებისა და საწარმოების, რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებული სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების, საპროექტო-საკონსტრუქტორო ორგანიზაციებისა და უმაღლესი სასწავლებლებისათვის, აგრეთვე ამ ორგანიზაციების კომპლექსური შემოქმედებითი ბრიგადების, გამომგონებლებისა და რაციონალიზატორებისათვის (მათ შორის ახალგაზრდებისათვის)

(მანეთობით)

პრემია გათვალისწინებულია	I ადგილი	II ადგილი	III ადგილი
I. საკავშირო დაქვემდებარების გაერთიანებებისა და საწარმოებისათვის	1000	750	500
II. რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებული სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების, საპროექტო-საკონსტრუქტორო ორგანიზაციებისა და უმაღლესი სასწავლებლებისათვის	900	700	500
III. გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა კომპლექსური შემოქმედებითი ბრიგადებისათვის . .	150	125	100
IV. გამომგონებლებისა და რაციონალიზატორებისათვის (მათ შორის ახალგაზრდებისათვის) . . .	50	40	30

შენიშვნა: გაერთიანებებსა და საწარმოებს პრემიები მიეცემათ ორჯერ: წლის პირველი ნახევრის და მთელი წლის მუშაობის შედეგების მიხედვით, ხოლო სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებს, საპროექტო-საკონსტრუქტორო ორგანიზაციებსა და უმაღლეს სასწავლებლებს, კომპლექსურ შემოქმედებითს ბრიგადებს, გამომგონებლებსა და რაციონალიზატორებს (მათ შორის ახალგაზრდებს) — მთელი წლის მუშაობის შედეგების მიხედვით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და
საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური
საბჭოს 1976 წლის 6 აგვისტოს № 544
დადგენილების დანართი № 3

შ ე მ ა დ გ ე ნ ლ ო ბ ა

ეკონომგონებლობისა და რაციონალიზაციის დარგში სოციალისტური შეჯიბრების სახელმძღვანელოდ და მისი შედეგების შესაჯამებლად შექმნილი რესპუბლიკური კომისიისა

1. ვ. ი. ვადაჭკორია — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე (კომისიის თავმჯდომარე);
2. ი. გ. ხაზარაძე — საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს მდივანი (კომისიის თავმჯდომარის მოადგილე);
3. ვ. ვ. ყიფიანი — გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა სრულიად საკავშირო საზოგადოების საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარე (კომისიის პასუხისმგებელი მდივანი);
4. ო. ი. მენაბდე — საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი;
5. ა. გ. ხუნწარია — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მრეწველობის, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის განყოფილების გამგის მოადგილე;
6. გ. დ. ცალქალამანიძე — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს უფროსი რეფერენტი;
7. გ. დ. პოლოლიკაშვილი — საქართველოს ნავთობის, ქიმიური და გაზის მრეწველობის მუშათა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარე;
8. ნ. ს. ლელაძე — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე;
9. რ. გ. ლეიაშვილი — საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის მინისტრის პირველი მოადგილე;
10. რ. ტ. ჩხაიძე — საქართველოს სსრ კვების მრეწველობის მინისტრის მოადგილე;
11. დ. ი. ბაკურაძე — საქართველოს ელექტროსადგურებისა და ელექტროტექნიკური მრეწველობის მუშათა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარე;

ეროვნული ბიბლიოთეკა

12. ო. ა. ბიბილეიშვილი — საქართველოს სსრ მშენებლობის მინისტრის მოადგილე;

13. შ. გ. ნაფეტვარიძე — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საპატენტო ბიუროს ხელმძღვანელი;

14. ვ. ვ. ყაზახაშვილი — საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე;

15. ი. დ. ჭუმბურიძე — საქართველოს მანქანათსაშენებელი მრეწველობის მუშათა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარე;

16. გ. ა. მეტონიძე — საწარმოო გაერთიანება „ელმავალმშენებლის" მემონტაჟეთა ბრიგადირი, რაციონალიზატორი;

17. ზ. გ. დვალი — საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს სოციალისტური შეჯიბრების სექტორის გამგე;

18. მ. შ. მინდელი — რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მთავარი ინჟინერი;

19. ა. გ. ჩემბერჯიანი — თბილისის დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის პროფკავშირის კომიტეტის თავმჯდომარე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

49 სამრეწველო საწარმოებში მუშა-მოსამსახურეთა საზოგადოებრივი კვების საუკეთესო ორგანიზაციისათვის რესპუბლიკური სადარგთაშორისო დათვალიერება-კონკურსის ჩატარების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭო აღნიშნავენ, რომ საბჭოთა ადამიანების კეთილდღეობის შემდგომ გაუმჯობესებასთან დაკავშირებულ ეკონომიკურ და სოციალურ პრობლემებზე სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად დიდი მნიშვნელობა აქვს საზოგადოებრივი კვების განვითარებას ქარხნებში, ფაბრიკებში, მშენებლობებზე, ტრანსპორტზე და საბჭოთა მეურნეობებში.

ამ საკითხზე სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებებიდან გამომდინარე ამოცანების განხორციელების მიზნით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭო ადგენენ:

1. მოეწყოს 1976 წლის 1 სექტემბრიდან 1977 წლის 1 სექტემბრამდე რესპუბლიკის სამრეწველო საწარმოებში საზოგადოებრივი კვების საუკეთესო ორგანიზაციისათვის რესპუბლიკური სადარგთაშორისო დათვალიერება-კონკურსი.

2. დაწესდეს, რომ დარგობრივ დათვალიერება-კონკურსს მოაწყობენ სამინისტროები (უწყებები), რომელთა გამგებლობაშიც არის სამრეწველო საწარმოები და ორგანიზაციები, და პროფკავშირთა შესაბამისი რესპუბლიკური კომიტეტები.

3. დამტკიცდეს დებულება სამრეწველო საწარმოებში მუშა-მოსამსახურეთა საზოგადოებრივი კვების საუკეთესო ორგანიზაციისათვის რესპუბლიკური სადარგთაშორისო დათვალიერება-კონკურსის შესახებ.

4. დაევალოთ სამინისტროებს, უწყებებსა და პროფკავშირთა რესპუბლიკურ კომიტეტებს:

— შექმნან რესპუბლიკური დარგობრივი დამთვალიერებელი კომისიები ამ დადგენილებით დამტკიცებული დებულების შესაბამისად;

— გააცნონ დათვალიერება-კონკურსის პირობები ყველა კოლექტივსა და მშრომელს; დათვალიერება-კონკურსის ორგანიზებულად და ეფექტიანად ჩატარების მიზნით გაშალონ მასობრივი ახსნა-განმარტებითი მუშაობა, ფართოდ გამოიყენონ ამ მიზნით პრესა, რადიო და ტელევიზია;

— დათვალიერების ორგანიზაციაში საწარმოებისათვის პრაქტიკული დახმარების გასაწევად გაგზავნონ ადგილებზე დარგობრივი დამთვალიერებელი კომისიების წევრები და სამინისტროების, უწყებებისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური კომიტეტების პასუხისმგებელი მუშაკები;

— შეისწავლონ და კვარტალში ერთხელ მაინც განიხილონ დათვალიერება-კონკურსის მიმდინარეობა, გაუწიონ საწარმოებს დახმარება დათვალიერების პროცესში წამოჭრილი საკითხების გადაწყვეტაში;

— გაშალონ საწარმოებსა, მშენებლობებსა და საბჭოთა მეურნეობებს შორის სოციალისტური შეჯიბრება საუკეთესო მუშათა სასადილოს გამოსავლინებლად;

ეროვნული ბიბლიოთეკა

— დათვალიერება-კონკურსის ჩატარებაში ყველაზე გამოჩენილი საწარმოთა კოლექტივებისა და ცალკეული აქტივისტების წახალისების მიზნით დაჯილდოონ ისინი სიგელებითა და ფულადი პრემიებით.

5. დათვალიერება-კონკურსის სახელმძღვანელოდ და ჩასატარებლად შეიქმნას რესპუბლიკური დამთვალიერებელი კომისია შემდეგი შემადგენლობით:

შ. დ. კიკნაძე	— საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე (კომისიის თავმჯდომარე);
ლ. ს. ხარბედია	— საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს მდივანი (კომისიის თავმჯდომარის მოადგილე);
ა. ე. ჭითანავა	— საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს განყოფილების გამგე (კომისიის მდივანი);
ვ. გ. ბაქრაძე	— საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი
მ. ა. მეგრელიშვილი	— საქართველოს სსრ ვაჭრობის მინისტრი;
კ. ნ. შავიშვილი	— ცეკავშირის გამგეობის თავმჯდომარე
გ. პ. გამცემლიძე	— საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის მინისტრი;
ნ. ა. ჭითანავა	— საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრი;
ვ. ი. ჭელიძე	— გაერთიანება „თბილქალაქმშენის“ სამშენებლო ტრესტის ხუროთა ბრიგადირი, სოციალისტური შრომის გმირი;
მ. ს. პაპისოვი	— საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის მოადგილე;
ი. დ. ჭუმბურიძე	— საქართველოს მანქანათმშენებლობის მუშათა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარე;
ა ი. გობიანიძე	— ამიერკავკასიის რკინიგზის ტრანსპორტის მუშათა პროფკავშირის საგზაო კომიტეტის თავმჯდომარე;
ი. რ. ხვედელიანი	— თბილისის დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის დირექტორი.

დაევალოს რესპუბლიკურ დამთვალიერებელ კომისიას:

— სისტემატურად შეისწავლოს და განიხილოს დათვალიერება-კონკურსის მიმდინარეობა და მიიღოს ზომები დარგობრივი კომისიების მიერ დაყენებული საკითხების გადასაწყვეტად;

— უზრუნველყოს დათვალიერება-კონკურსის მიმდინარეობის ფართოდ გაშუქება პრესაში, რადიოთი და ტელევიზიით; დათვალიერება-კონკურსის დამთავრების შემდეგ განსაზღვროს გამარჯვებულები, რომლებიც საუკეთესო შე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დეგებს მოიპოვებენ სამრეწველო საწარმოებში მუშა-მოსამსახურეთა საზოგადოებრივი კვების ორგანიზაციაში.

6. დაევალოთ საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს, ცეკავშირის გამგეობას, მუშათა მომარაგების სამმართველოებსა და განყოფილებებს:

— უზრუნველყონ სავაჭრო ორგანიზაციების აქტიური მონაწილეობა სავაჭრო საწარმოებში საზოგადოებრივი კვების საუკეთესო ორგანიზაციისათვის დათვალიერება-კონკურსში;

— განახორციელონ ქმედითი ღონისძიებანი, რათა მუშათა სასადილოებში საზოგადოებრივი კვების დონე კერძების ხარისხისა და მრავალფეროვნების, ღირებულებისა და მომსახურების კულტურის მიხედვით შეესაბამებოდეს თანამედროვე მოთხოვნებს.

7. დაევალოთ ქალაქებისა და რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებს, პროფკავშირთა საოლქო, საქალაქო და რაიონულ საბჭოებსა და კომიტეტებს გაუწიონ საწარმოთა დამთვალიერებელ კომისიებს პრაქტიკული დახმარება საუკეთესო მუშათა სასადილოსათვის დათვალიერება-კონკურსის ჩატარებაში.

8. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტმა გამოსცეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ერთობლივი დადგენილება, აგრეთვე დარგობრივი დათვალიერება-კონკურსის ჩატარების დებულება ცალკე ბროშურად ქართულ და რუსულ ენებზე 15 ათასი ცალი ტირაჟით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შეკვეთით.

9. სამინისტროთა (უწყებათა) დარგობრივმა დამთვალიერებელმა კომისიებმა და პროფკავშირთა რესპუბლიკურმა კომიტეტებმა წარუდგინონ რესპუბლიკურ დამთვალიერებელ კომისიას შეჯამებული ანგარიში დათვალიერება-კონკურსის შედეგების შესახებ და 100-ბალიანი სისტემით შევსებული ფორმა, № 1 დანართის თანახმად.

10. სამრეწველო საწარმოებში მუშა-მოსამსახურეთა საზოგადოებრივი კვების საუკეთესო ორგანიზაციისათვის დათვალიერება-კონკურსში გამარჯვებულთა დაჯილდოების მიზნით დაწესდეს სამინისტროებისა (უწყებებისა) და პროფკავშირთა რესპუბლიკური კომიტეტებისათვის სამი წთელი დრომა და ხუთი ფულადი პრემია. დამტკიცდეს დათვალიერება-კონკურსის ჩატარების თანდართული ხარჯთაღრიცხვა 8,3 ათასი მანეთის ოდენობით იმ ვარაუდით, რომ აღნიშნული სახსრები გამოყონ დათვალიერების ჩამტარებელმა სამინისტროებმა და უწყებებმა, № 2 დანართის თანახმად.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე	საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარე
ზ. პატარიძე.	**თ. მოსაშვილი.**

ქ. თბილისი, 1973 წ. 15 აგვისტო. № 572

ეროვნული ბიბლიოთეკა

 დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს 1976 წლის 16 აგვისტოს № 572 დადგენილებით

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

სამრეწველო საწარმოებში მუშა-მოსამსახურეთა საზოგადოებრივი კვების საუკეთესო ორგანიზაციისათვის რესპუბლიკური სადარგთაშორისო დათვალიერება-კონკურსის შესახებ

რესპუბლიკურ სადარგთაშორისო დათვალიერება-კონკურსს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს 1976 წლის 16 აგვისტოს № 572 დადგენილების შესაბამისად 1976 წლის 1 სექტემბრიდან 1977 წლის 1 სექტემბრამდე დარგების მიხედვით მოაწყობენ სამინისტროები (უწყებები) შესაბამის პროფკავშირთა რესპუბლიკურ კომიტეტებთან ერთად.

დათვალიერება-კონკურსის ძირითადი ამოცანაა სასადილოების ქსელის შემდგომი განვითარება სამრეწველო საწარმოებთან, მათი ტექნიკური აღჭურვილობის გაუმჯობესება, მომსახურების პროგრესული ფორმების დანერგვა (სასადილოების გადაყვანა კომპლექსური სადილების რეალიზაციაზე) და მომსახურების კულტურის ამაღლება.

დათვალიერება-კონკურსის ორგანიზაცია

დარგების მიხედვით დათვალიერება-კონკურსის სახელმძღვანელოდ და ჩასატარებლად შეიქმნება დარგობრივი დამთვალიერებელი კომისიები შემდეგი შემადგენლობით: მინისტრი ან უწყების ხელმძღვანელი (კომისიის თავმჯდომარე), პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარე (კომისიის თავმჯდომარის მოადგილე) და შესაბამის გაერთიანებათა საწარმოთა და სავაჭრო ორგანიზაციათა წარმომადგენლები.

თუ პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტი რამდენიმე სამინისტროსა და ცალკე უწყებას ემსახურება, კომისიები შეიქმნება სამინისტროთა და უწყებათა რაოდენობის შესაბამისად. კომისიის შემადგენლობა განისაზღვრება და დამტკიცდება სამინისტროს (უწყების) კოლეგიისა და პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმის გაერთიანებულ სხდომაზე.

დათვალიერება-კონკურსის სახელმძღვანელოდ ანალოგიური დამთვალიერებელი კომისიები შეიქმნება თითოეულ სამრეწველო საწარმოში შემდეგი შემადგენლობით: საწარმოს ხელმძღვანელი (კომისიის თავმჯდომარე), პროფკავშირის საფაბრიკო-საქარხნო (ადგილობრივი) კომიტეტის თავმჯდომარე (კომისიის თავმჯდომარის მოადგილე), კომკავშირული, სავაჭრო ორგანიზაციის, ჯანმრთელობის დაცვის ორგანოს წარმომადგენლები, საწარმოს მოწინავენი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კომისიის შემადგენლობა დამტკიცდება საწარმოს პროფკავშირის კომიტეტისა და ადმინისტრაციის გაერთიანებულ სხდომაზე.

დათვალიერება-კონკურსის ძირითადი ამოცანები და პირობები

დამთვალიერებელი კომისიები ადგილებზე შეისწავლიან და გადაწყვეტენ სასადილოთა სადგომების ჯეროვან მდგომარეობაში მოყვანის საკითხებს, მიიღებენ ზომებს, რათა ჩატარდეს სასადილოების რემონტი და რეკონსტრუქცია, დასაჯდომი ადგილების რაოდენობა გადიდდეს დაწესებულ ნორმატივამდე, სასადილოები აღიჭურვოს საჭირო რაოდენობის სავაჭრო-ტექნოლოგიური, სამაცივრო მოწყობილობით, ინვენტარით, ჭურჭლითა და ავეჯით, მიაღწევენ სანიმუშო სანიტარიულ მდგომარეობას.

მუშა-მოსამსახურეთა კვებით უზრუნველყოფის გაფართოებისა და მომხმარებელთა მომსახურების დაჩქარების დიდმნიშვნელოვანი პირობაა სასადილოებში მასობრივად დაინერგოს მომსახურების შემდეგი პროგრესული ფორმები:

— კომპლექსური სადილების რეალიზაცია წინასწარ გაყიდული აბონიმენტების მიხედვით;

— „პოტოკის“ ტიპის კომპლექსური სადილების კომპლექტაციისა და სხვა მაღალმწარმოებლური ხაზების დადგმა მუშა სასადილოებში, სადაც 150 და მეტი ადგილია, აგრეთვე შრომატევად პროცესთა მექანიზაცია;

— კომპლექსური სადილებით სუფრის წინასწარ გაწყობა;

— ცალკე დასარიგებლების გამოყოფა კომპლექსური სადილების სარეალიზაციოდ;

— საღამოობითა და ღამით მომუშავე მუშა-მოსამსახურეთა ცხელი კერძებით კვების ორგანიზაცია;

— ცხელი საკვების მიტანა წარმოების უწყვეტი პროცესის მქონე სამუშაო ადგილებზე და საველე სამუშაოებზე;

— დიეტური (სამკურნალო) კვების ორგანიზაცია ყველა სასადილოში და ამისათვის ცალკე დასარიგებლების მოწყობა, აღნიშნული მიზნით დასაჯდომი ადგილების საერთო რაოდენობის 20 პროცენტის გამოყოფით.

დათვალიერების პერიოდში საჭიროა:

განსაკუთრებული ყურადღება დაეთმოს ახალი სასადილოებისა და ბუფეტების შექმნას ამ მშენებლობას იქ, სადაც ეს ობიექტები არ არის, კულინარიის მაღაზიების, შეკვეთის მაგიდებისა და სხვა ობიექტების შექმნის საკითხებს, ამასთან ფართოდ უნდა იქნეს გამოყენებული ამ მიზნით, აგრეთვე კვების ღირებულების შესამცირებლად სოციალურ-კულტურული ღონისძიებებისა და საბინაო მშენებლობის ფონდის სახსრები;

— შემუშავდეს და განხორციელდეს სავაჭრო ორგანიზაციების მონაწილეობით ღონისძიებანი, რომლებიც მიზნად დასახავენ კერძების დამზადების ხარისხის გაუმჯობესებას, მათი ასორტიმენტის გაფართოებას, ნახევარფაბრიკატების, კულინარიული და საკონდიტრო ნაწარმის რეალიზაციის გაფართოებას, მომსახურების კულტურის ამაღლებას, საჭმლის მისაღებად დროის შეემცირებას;

ეროვნული ბიბლიოთეკა

— გააქტიურდეს პროფკავშირის საფაბრიკო-საქარხნო (ადგილობრივი) კომიტეტების საზოგადოებრივი კონტროლი სასადილოების მუშაობისადმი, უფრო ხშირად მოეწყოს საჭმლის ბრაკერაჟი და ანალიზი.

დათვალიერება-კონკურსის ერთ-ერთი დიდმნიშვნელოვანი მაჩვენებელია საქონელბრუნვისა და საკუთარი პროდუქციის გამოშვების გეგმების შესრულება საზოგადოებრივი კვების საწარმოს მიერ.

საჭიროა გათვალისწინებულ იქნეს აგრეთვე საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1965 წლის 24 აპრილის № 247 დადგენილების შესრულება, რომლის შესაბამისად სასადილოების თანამშრომლებს უნდა მიეცეთ საცხოვრებელი ფართობი, ადგილები საერთო საცხოვრებლებში და ბავშვთა გამაჯანსაღებელ დაწესებულებებში სამრეწველო საწარმოთა მუშა-მოსამსახურეების თანაბრად.

დათვალიერება-კონკურსში გამარჯვებული კოლექტივების წასახალისებლად დაწესდეს:

პირველი ხარისხის სამი დიპლომი და ფულადი პრემია, თითოეული 400 მანეთის ოდენობით;

მეორე ხარისხის ხუთი დიპლომი და ფულადი პრემია, თითოეული 300 მანეთის ოდენობით;

მესამე ხარისხის ათი დიპლომი და ფულადი პრემია, თითოეული 200 მანეთის ოდენობით;

ინდივიდუალური დაჯილდოებისათვის განკუთვნილი 30 საპატიო სიგელი და ფულადი პრემია, თითოეული 30 მანეთის ოდენობით.

სამინისტროთა (უწყებათა) დარგობრივი დამთვალიერებელი კომისიები ანგარიშებს დათვალიერება-კონკურსის შედეგების შესახებ რესპუბლიკურ დამთვალიერებელ კომისიას წარუდგენენ 1977 წლის 30 სექტემბერს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა
და საქართველოს პროფკავშირთა რეს-
პუბლიკური საბჭოს 1976 წლის 16
აგვისტოს № 572 დადგენილებით

ხარჯთაღრიცხვა

1976-1977 წლებში სამრეწველო საწარმოებში მუშა-მოსამსახურეთა საზოგადოებრივი კვების საუკეთესო ორგანიზაციისათვის რესპუბლიკური სადარგთაშორისო დათვალიერება-კონკურსის ჩასატარებლად

1. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს 1976 წლის 16 აგვისტოს № 572 დადგენილებისა და დათვალიერება-კონკურსის დებულების გამოცემა ცალკე ბროშურად ქართულ და რუსულ ენებზე 15 ათასი ცალი ტირაჟით	— 2 ათასი მანეთი
2. დიპლომების დამზადება დათვალიერება-კონკურსში გამარჯვებულთათვის	— 0,7 ათასი მანეთი
3. დათვალიერება-კონკურსში გამარჯვებულთა პრემირების სახსრები (48 კოლექტიური და ინდივიდუალური პრემია)	— 5,6 ათასი მანეთი
სულ:	8,3 ათასი მანეთი

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა
და საქართველოს პროფკავშირთა რეს-
პუბლიკური საბჭოს 1976 წლის 16
აგვისტოს № 572 დადგენილების
დანართი № 1

მაჩვენებლები,

რომელთა შესაბამისად მიეკუთვნება საპრიზო ადგილები სამრეწველო საწარმოებში მუშა-მოსამსახურეთა საზოგადოებრივი კვების საუკეთესო ორგანიზაციისათვის დათვალიერება-კონკურსის შედეგების მიხედვით (10-ბალიანი სისტემით)

ძირითადი მაჩვენებლები	დაწესებული ბალები	დათვალიერება-კონკურსის პირობების მაჩვენებლების შესრულება
1. ახალი სასადილოების ან ბუფეტების მოწყობა, ან მშენებლობა დარგის ყველა საწარმოში, სადაც მუშაობს 100 და მეტი კაცი	6	
2. დასაჯდომი ადგილების რაოდენობის გადიდება დარგის ყველა სასადილოში დაწესებულ ნორმატივამდე (250 ადგილი მაქსიმალურ ცვლაში 1000 მომუშავეზე)	7	
3. სასადილოების მოყვანა ჯეროვან მდგომარეობაში (რემონტი, რეკონსტრუქცია, აღჭურვა, გაფორმება)	5	
4. სასადილოების აღჭურვა საჭირო რაოდენობის სავაჭრო-ტექნოლოგიური და სამაცივრო მოწყობილობით, ავეჯით, ჭურჭლით	5	
5. მუშა-მოსამსახურეთა ცხელი კერძებით უზრუნველყოფა მათი საერთო რაოდენობის არანაკლებ 50 პროცენტით . . .	10	
6. ანგარიშსწორების სააბონემენტო სისტემით კომპლექსურ სადილებზე მუშათა სასადილოების გადაყვანა დარგის საწარმოთა არანაკლებ 30 პროცენტით	10	
7. მომსახურების პროგრესული ფორმების დანერგვა: სუფრის წინასწარ გაწყობა, ცხელი საკვების მიტანა წარმოების უწყვეტი პროცესის მქონე სამუშაო ადგილებზე და საველე სამუშაოებზე	10	
8. დიეტური კვების ორგანიზაცია დარგის ყველა სასადილოში და საამისოდ ცალკე დასარიგებლების მოწყობა აღნიშნული მიზნისათვის სასადილოს დასაჯდომი ადგილების საერთო რაოდენობის 20 პროცენტის გამოყოფით	5	
9. მუშათა სასადილოებში „ეფექტის“ და „პროგრესის“ ხაზების დანერგვა, კერძების დამზადების შრომატევად პროცესთა მექანიზაცია და ა. შ.	10	

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძირითადი მაჩვენებლები	დაწესებული ბალები	დათვალიერება-კონკურსის პირობების შესრულების მაჩვენებლები
10. შეღავათიანი კვების ორგანიზაცია და მისი ღირებულების შემცირება სოციალურ-კულტურული ღონისძიებებისა და საბინაო მშენებლობის ფონდის სახსრების ხარჯზე, დამხმარე მეურნეობათა პროდუქციის გამოყენება ამ საქმეში და ა. შ. . . .	5	
11. კერძების ხარისხის მნიშვნელოვანი გაუმჯობესება, მათი ასორტიმენტის გაფართოება ბოსტნეულის, თევზის, რძისა და სხვა პროდუქტების ხარჯზე, ნახევარფაბრიკატების, კულინარიული და საკონდიტრო ნაწარმის რეალიზაცია	10	
12. მომსახურების მაღალი კულტურისა და სანიმუშო სანიტარიული მდგომარეობის უზრუნველყოფა	7	
13. საქონელბრუნვისა და საკუთარი პროდუქციის გამოშვების გეგმების შესრულება საზოგადოებრივი კვების საწარმოების მიერ	5	
14. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1965 წლის 24 აპრილის № 247 დადგენილების 28-ე პუნქტის შესრულება სასადილოების თანამშრომელთათვის საცხოვრებელი ფართობის, საერთო საცხოვრებლებში და ბავშვთა გამაჯანსაღებელ დაწესებულებებში (ბაგები, ბაღები, პიონერთა ბანაკები და ა. შ.) ადგილების მიცემის შესახებ	5	

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა
და საქართველოს პროფკავშირთა რეს-
პუბლიკური საბჭოს 1976 წლის 16
აგვისტოს № 572 დადგენილების
დანართი № 2

სამრეწველო საწარმოებში მუშა-მოსამსახურეთა საზოგადოებრივი კვების საუკეთესო ორგანიზაციისათვის დათვალიერება-კონკურსში გამარჯვებულთა დასაჯილდოებლად გათვალისწინებული თანხების განაწილება სამინისტროებსა და უწყებებს შორის

1. საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტრო	— 1.000 მანეთი
2. საქართველოს სსრ ხე-ტყისა და ხის დამმუშავებელი მრეწველობის სამინისტრო	— 1.000 მანეთი
3. საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტრო	— 1.000 მანეთი
4. საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტრო	— 500 მანეთი
5. საქართველოს სსრ საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტრო	— 500 მანეთი
6. საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტრო	— 500 მანეთი
7. საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტრო	— 1000 მანეთი
8. ცეკავშირი	— 1000 მანეთი
9. საქართველოს სსრ ენერგეტიკისა და ელექტრიფიკაციის მთავარი საწარმოო სამმართველო	— 1000 მანეთი
10. ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველო	— 800 მანეთი
ს უ ლ:	— 8.300 მანეთი

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

50 მოქალაქეთა შინამრეწველურ-ხელოსნური რეწვის შეზღუდვის შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. „მოქალაქეთა შინამრეწველურ-ხელოსნური რეწვის დებულების დამტკიცების შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1976 წლის 3 მაისის № 283 დადგენილება დაეგზავნოს სახელმძღვანელოდ და შესასრულებლად აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებს, სამინისტროებსა და უწყებებს.

2. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1976 წლის 3 მაისის № 283 დადგენილებით დამტკიცებული „მოქალაქეთა შინამრეწველურ-ხელოსნური რეწვის დებულების“ მე-3 პუნქტის შესაბამისად 1976 წლის 1 ივლისიდან, გარდა დებულებაში ჩამოთვლილი აკრძალული რეწვებისა, დამატებით აიკრძალოს შემდეგი კუსტარულ-ხელოსნური რეწვები: ყველა სახეობის ახალი ფეხსაცმლის შეკერვა, თავსამკაულის შეკერვა; ფეხსაცმლის ნამზადების, აგრეთვე ფეხსაცმლის კალაპოტებისა და ქუსლების დამზადება, ავეჯისა და ჩემოდნების დამზადება; ლითონის ყოველგვარი მოაჯირების, ჭიშკრებისა და გარაჟების დამზადება; ფოტოგრაფიული სარეწების მოწყობა; მატყლისა და ბამბის დაჩეჩვა ელექტროძრავის გამოყენებით; ავტომანქანების, მოტოციკლებისა და ველოსიპედების რემონტი; ავტოსაბურავებისა და კამერების ვულკანიზაცია; ფეხსაცმლის შეკეთება; ტანსაცმლის კერვა; თუნუქისაგან ღუმელების დამზადება; ძაფისაგან სამეურნეო ჩანთების დამზადება; ფეხსაცმლის წმენდა; საკანცელარიო საქმეებისა და წიგნების აკინძვა; საფლავის მოსაწყობად ქვებისა და ძეგლების დამზადება, ხოლო რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქებში — საფლავის მოწყობის სამუშაოები.

3. აიკრძალოს ქალაქებში შემდეგ სახეობათა კუსტარულ-ხელოსნური რეწვები: საათების, რადიომიმღებების, ტელევიზორებისა და ელექტროხელსაწყოების შეკეთება; საპარიკმახერო და სამანიკიურო სარეწების მოწყობა.

4. როგორც გამონაკლისი, არ ვრცელდება აკრძალვა ფეხსაცმლის შეკეთებაზე, ტანსაცმლის კერვაზე, თავსამკაულის კერვასა და თუნუქისაგან ღუმელების დამზადებაზე I და II ჯგუფის ინვალიდებისათვის, საპენსიო ასაკის მოქალაქეებისათვის, ომის III ჯგუფის ინვალიდებისათვის, ხოლო ტანსაცმლის კერვის აკრძალვა არ ვრცელდება აგრეთვე ქალებზე, რომელთაც აღსაზრდელად ჰყავთ 16 წლამდე ასაკის ბავშვები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

5. ნება დაერთოს საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს მიიღოს გადაწყვეტილება იმის შესახებ, რომ მიეცეთ, როგორც გამონაკლისი, პირველი და მეორე ჯგუფის ცალკეულ ინვალიდებს, საპენსიო ასაკის მოქალაქეებსა და ომის მესამე ჯგუფის ინვალიდებს სარეგისტრაციო მოწმობები იმ კუსტარული სარეწების წარმოების უფლების შესახებ, რომლებიც აკრძალულია ამ დადგენილებით.

6. დაევალოს საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროს გააფართოოს ქალაქად და სოფლად მომსახურების სახელოსნოებისა და საამქროების ქსელი, ამავე დროს უზრუნველყოს იმ მოქალაქეთა შრომითი მოწყობა, რომელთაც ამ დადგენილებით აეკრძალათ კუსტარულ-ხელოსნური რეწვა.

7. საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტრომ და საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტრომ, აგრეთვე მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებმა გააქტიურონ მუშაობა იმ მოქალაქეთა გამოსავლინებლად, რომლებიც ეწევიან შინამრეწველურ-ხელოსნურ რეწვას, და მიიღონ მათ მიმართ კანონით გათვალისწინებული ზომები.

8. ძალადაკარგულად ჩაითვალოს:

„ცალკეული კუსტარულ-ხელოსნური სარეწების შეზღუდვის შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1962 წლის 21 თებერვლის № 113 დადგენილება;

„აკრძალულ კუსტარულ სარეწთა სიაში ცვლილებათა შეტანის შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1970 წლის 12 მარტის № 122 დადგენილება;

„აკრძალული კუსტარულ-ხელოსნური სარეწების ნუსხაში ცვლილებების შეტანის შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1970 წლის 8 ოქტომბრის № 548 დადგენილება;

„აკრძალული კუსტარულ-ხელოსნური სარეწების სიაში ცვლილებათა შეტანის შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1974 წლის 18 იანვრის № 24 დადგენილება.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ზ. პატარიძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1976 წ. 1 ივლისი, № 476

ეროვნული ბიბლიოთეკა

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო
დადგენილება № 283

1976 წლის 3 მაისი

მოსკოვი, კრემლი

მოქალაქეთა შინამრეწველურ-ხელოსნური რეწვის დებულების დამტკიცების შესახებ

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დამტკიცდეს თანდართული დებულება მოქალაქეთა შინამრეწველურ-ხელოსნური რეწვის შესახებ და შემოღებულ იქნეს იგი სამოქმედოდ 1976 წლის 1 ივნისიდან.

დაევალოს სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს სსრ კავშირის იუსტიციის სამინისტროსთან შეთანხმებით დაამტკიცოს ინსტრუქცია მოქალაქეთა შინამრეწველურ-ხელოსნური რეწვის დებულების გამოყენების შესახებ.

2. ძალადაკარგულად ჩაითვლაოს:

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1946 წლის 20 აპრილის № 896 დადგენილება „უკრაინისა და ბელორუსიის სსრ დასავლეთი ოლქების და მოლდავეთის სსრ მაზრების მოსახლეობისათვის 1946 წელს სახელმწიფო და ადგილობრივი გადასახადებისა და გამოსაღების ხაზით დამატებითი შეღავათების მიცემის შესახებ“;

მე-3 პუნქტი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1948 წლის 31 აგვისტოს № 3292 დადგენილებისა „სახალინისა და კალინინგრადის ოლქების ტერიტორიაზე გადასახადების ჩატარებისა და შინამრეწველურ და ხელოსნურ სარეწთა რეგისტრაციის წესის შესახებ“;

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1949 წლის 30 ივნისის № 2883 დადგენილება „არაკოოპერირებულ შინამრეწველთა და ხელოსანთა რეგისტრაციის წესებით დამტკიცების შესახებ“;

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1951 წლის 30 ნოემბრის № 22980 განკარგულება;

მე-3 პუნქტი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1953 წლის 8 სექტემბრის № 2368 დადგენილებისა „სოფლად არასამიწათმოქმედო საქმიანობისაგან საშემოსავლო გადასახადის შემცირების შესახებ“;

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1958 წლის 22 აპრილის № 434 დადგენილება „არაკოოპერირებულ შინამრეწველთა და ხელოსანთა რეგისტრაციის წესების ნაწილობრივ შეცვლის შესახებ“ (სსრკ დადგ. კრებ., 1958 წ., № 7, მუხ. 64);

მე-6 და მე-11 პუნქტები „ადმინისტრაციული წესით დადებული ჯარიმების გამოყენების შეზღუდვასთან დაკავშირებით სსრ კავშირის მთავრობის გადაწყვეტილებათა ძალადაკარგულად ჩათვლისა და შეცვლის შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1973 წლის 3 ივნისის № 612 დადგენილებით დამტკიცებული ცვლილებებისა (სსრკ დადგ. კრებ., 1963 წ., № 12, მუხ. 121), რომ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლებიც შეტანილია სსრ კავშირის მთავრობის გადაწყვეტილებებში „ადმინისტრაციული წესით დადებული ჯარიმების გამოყენების შემდგომი შეზღუდვის შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1961 წლის 21 ივნისის ბრძანებულებასთან დაკავშირებით.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **ა. მაზუროვი.**

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **მ. სმირტიუკოვი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია
სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს
1976 წლის 3 მაისის № 283
დადგენილებით

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

მოქალაქეთა შინამრეწველურ-ხელოსნური რეწვის შესახებ

1. მოქალაქეთა შინამრეწველურ-ხელოსნურ რეწვად ითვლება მათი საქმიანობა მოსახლეობისათვის მისაყიდად ნაკეთობათა დამზადებისათვის ან ფასიანი საყოფაცხოვრებო მომსახურების გაწევისათვის.

დაქირავებული შრომის გამოყენებით რეწვა აკრძალულია.

2. სსრ კავშირის ტერიტორიაზე ნებადართულია ყველა სახეობის შინამრეწველურ-ხელოსნური რეწვა, ამ დებულებით ან სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სხვა საკანონმდებლო აქტებით აკრძალული რეწვის გარდა.

3. სსრ კავშირის მთელ ტერიტორიაზე მოქალაქეებს ეკრძალებათ შემდეგ სახეობათა შინამრეწველურ-ხელოსნური რეწვა;

ა) ნაყიდი და შემკვეთის სასოფლო-სამეურნეო და სხვა კვების პროდუქტების გადამუშავება, მათ შორის აღნიშნული პროდუქტებისაგან ყოველგვარი გემო-კვების ნაწარმის და ყოველნაირი სასმელების დამზადება (როგორც მზა, ისევე ნახევარფაბრიკატების სახით);

ბ) ყოველგვარი სახეობის იარაღის დამზადება და რემონტი, საბრძოლო მასალათა, ფეთქებად ნივთიერებათა და პიროტექნიკურ ნაკეთობათა დამზადება;

გ) გასამრავლებელი და პირგადასაღები აპარატების, ყოველნაირი შტამპების, შტემპელების, ბეჭდების, შრიფტების დამზადება, ყოველგვარი ნაბეჭდი და ფოტოპროდუქციის გამრავლება, გრამფირფიტების, კინოფილმებისა და მაგნიტური ჩანაწერების ტირაჟირება;

დ) ორდენებისა და მედლებისათვის თამასებისა და კალაპოტების, აგრეთვე ნიშნებისა და ჟეტონების დამზადება;

ე) ქიმიური და პარფიუმერია-კოსმეტიკის ნაწარმის დამზადება;

ვ) შხამიან და ნარკოტიკულ ნივთიერებათა, აგრეთვე ყოველგვარი მედიკამენტებისა და სამედიცინო ტექნიკის საგნების დამზადება;

ზ) ტყავის, ქურქ-ბეწვეულის ნედლეულის დამუშავება და შეღებვა, აგრეთვე იმ ძვირფას ბეწვიან ნადირთა ტყავისაგან ნაწარმის დამზადება, რომელთაც არა აქვთ სახელმწიფო დაღი (შტამპი) და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობის შესაბამისად აუცილებლად უნდა ჩაბარდეს სახელმწიფოს;

თ) მგზავრთა გადაყვანა და ტვირთის გადატანა ყოველგვარი სატრანსპორტო საშუალებით (ნავით, ცხენითა და სხვა ცხოველებით გადაყვანის გარდა, როცა არსებობს მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოს აღმასკომის გადაწყვეტილება);

ი) პანსიონატების, საბანაოების, აბანოების, სათამაშო დაწესებულებების, ყოველგვარი ატრაქციონების შენახვა და სანახაობით ღონისძიებათა ორგანიზაცია;

კ) ძვირფასი და ფერადი ლითონებისაგან, ძვირფასი ქვებისა და ქარვისაგან ნაწარმის დამზადება ან ასეთი მასალების გამოყენებით ნაწარმის დამზადება, აგრეთვე აღნიშნული ნაწარმის რემონტი და გადაკეთება საკუთარი ძვირფასი და ფერადი ლითონების, ძვირფასი ქვებისა და ქარვის გამოყენებით;

ლ) სახელების, ხატებისა და საეკლესიო ჭურჭლის დამზადება.

მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს შეუძლიათ დამატებით აუკრძალონ მოქალაქეებს სხვა სახეობათა შინამრეწველურ-ხელოსნური რეწვაც, თუ მათმა განვითარებამ შეიძლება ზიანი მოუტანოს საზოგადოების ინტერესებს.

4. ნებადართული შინამრეწველურ-ხელოსნური რეწვის მსურველმა მოქალაქეებმა თავიანთი მუდმივი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით მშრომელთა დეპუტატების რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასკომის საფინანსო განყოფილებაში უნდა მიიღონ სპეციალური სარეგისტრაციო მოწმობა მოცემული კალენდარული წლის ფარგლებში მოქმედების ვადით. მოწმობა მიეცემათ მოქალაქეებს, რომელთაც შეუსრულდათ 18 წელი. სარეგისტრაციო მოწმობის ფორმას აწესებს სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტრო.

სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს უფლება ეძლევა გაათავისუფლოს ცალკეულ კატეგორიათა მოქალაქენი, რომლებიც შინამრეწველურ-ხელოსნურ რეწვას ეწევიან, სარეგისტრაციო მოწმობების მიღებისაგან.

დროებით საცხოვრებელ ადგილზე სარეგისტრაციო მოწმობები მიეცემათ მხოლოდ კოლმეურნეებს, რომლებიც კოლმეურნეობის გამგეობის თანხმობით ეწევიან შინამრეწველურ-ხელოსნურ რეწვას იმ რაიონის ფარგლებს გარეთ, სადაც ისინი მუდმივად ცხოვრობენ.

მოქალაქისათვის მიცემულ სარეგისტრაციო მოწმობაში აღინიშნებიან მისი ოჯახის წევრები, რომლებიც მონაწილეობენ რეწვაში.

აკრძალულია სარეგისტრაციო მოწმობების გაცემა ორ და მეტ პირზე ერთ შენობაში ერთგვაროვანი რეწვით საქმიანობისათვის.

5. სარეგისტრაციო მოწმობისათვის გადახდებათ სახელმწიფო ბაჟი 5 მანეთის ოდენობით.

მოქალაქეებს, რომლებიც სასოფლო-სამეურნეო გადასახადით დასაბეგრ მეურნეობათა შემადგენლობაში შედიან და შინამრეწველურ-ხელოსნურ რეწვას ეწევიან თავიანთ მუდმივ საცხოვრებელ ადგილზე რაიონის ფარგლებში, სარეგისტრაციო მოწმობები მიეცემათ ბაჟის გადაუხდევინებლად.

6. სარეგისტრაციო მოწმობის მოქმედების ვადის გასვლამდე რეწვის შეწყვეტისას მოქალაქემ უნდა დააბრუნოს მოწმობა მშრომელთა დეპუტატების რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასკომის საფინანსო განყოფილებაში მისი გაცემის ადგილზე. რეწვა შეწყვეტილად ითვლება სარეგისტრაციო მოწმობის დაბრუნების მომენტიდან.

რეწვის განახლების შემთხვევაში გაიცემა ახალი სარეგისტრაციო მოწმობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

7. დამზადებულ ნაკეთობათა რეწვა და გაყიდვა ნებადართულია იმ რაიონის ან ქალაქის ფარგლებში, სადაც მოქალაქე მუდმივად ცხოვრობს და ეწევა რეწვას, მომიჯნავე რაიონში, საოლქო, სამხარეო ცენტრში, ხოლო რესპუბლიკებში, რომელთაც საოლქო დაყოფა არა აქვთ, — რესპუბლიკის დედაქალაქში, აგრეთვე ბაზრობებზე — მოცემულ ოლქში, მხარეში, რესპუბლიკაში, რომელსაც საოლქო დაყოფა არა აქვს.

სარეგისტრაციო მოწმობა ძალაშია მხოლოდ იმ სახეობის შინამრეწველურ-ხელოსნური რეწვისათვის, რომლისთვისაც იგი გაიცა, და მხოლოდ იმ დასახლებულ პუნქტებში, რომლებიც აღნიშნულია სარეგისტრაციო პოწმობაში. რეწვის სახეობის შეცვლისას ან სხვა საცხოვრებელ ადგილზე გადასვლისას უნდა გაიცეს ახალი სარეგისტრაციო მოწმობა და გადახდილ იქნეს ბაჟი ამ დებულების მე-5 პუნქტში აღნიშნული წესით.

8. მოქალაქეები, რომლებიც შინამრეწველურ-ხელოსნურ რეწვას ეწევიან, მათ შორის სარეგისტრაციო მოწმობაში შეტანილი ოჯახის წევრები, მოვალენი არიან წარადგინონ სარეგისტრაციო მოწმობა საფინანსო ორგანოების მუშაკთა ან შინაგან საქმეთა ორგანოების მუშაკთა მოთხოვნით. სარეგისტრაციო მოწმობის გადაცემა სხვა პირებზე აკრძალულია.

9. საფინანსო ორგანოები და შინაგან საქმეთა ორგანოები მოვალენი არიან სისტემატურად შეამოწმონ მოქალაქეთა მიერ შინამრეწველურ-ხელოსნური რეწვის წესების დაცვა და გამოავლინონ პირები, რომლებიც ეწევიან უნებართვო ან აკრძალულ რეწვას.

10. შინამრეწველურ-ხელოსნური რეწვის დადგენილი წესის დარღვევის *გამოძღავნებისას, აგრეთვე იმ პირთა გამოვლინებისას, რომლებიც აკრძალულ* რეწვას ეწევიან, საფინანსო ორგანოს ან შინაგან საქმეთა ორგანოს მუშაკი, რომელმაც შემოწმება ჩაატარა მოვალეა ჩამოართვას დამრღვევს სარეგისტრაციო მოწმობა (თუ იგი აქვს), გამოარკვიოს პასპორტის (ან მისი შემცვლელი დოკუმენტის) მიხედვით დამრღვევის ვინაობა და შეადგინოს აქტი დარღვევის შესახებ.

შედგენილი აქტი უნდა გადაეცეს მშრომელთა დეპუტატების რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტთან არსებულ ადმინისტრაციულ კომისიას, რათა აღნიშნული დარღვევის დამშვები მოქალაქე მიეცეს ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მოკავშირე რესპუბლიკის კანონმდებლობის შესაბამისად.

იმ შემთხვევებში, როცა აკრძალული რეწვა მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით იწვევს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას, შესაბამისი მასალები ეგზავნება საგამომძიებლო ორგანოებს.

11. მოქალაქეები, რომლებიც შინამრეწველურ-ხელოსნურ რეწვას ეწევიან, ამ საქმიანობით მიღებული შემოსავლიდან იხდიან გადასახადს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესითა და ოდენობით.

51 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ფართო მოხმარების საქონლის წარმოებისა და ვაჭრობის საკითხთა კომისიისათვის სახელის შეცვლის შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ფართო მოხმარების საქონლის წარმოებისა და ვაჭრობის საკითხთა კომისიას შეეცვალოს სახელი და დაერქვას საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახალხო მოხმარების საქონლის წარმოებისა და ბაზრისათვის მიწოდების კონტროლის კომისია.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ზ. პატარიძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1976 წ. 6 ივლისი, № 484

52 საქართველოს სს რესპუბლიკაში დაუმთავრებელი მშენებლობის მოცულობის შემცირების ღონისძიებათა შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო აღნიშნავს, რომ უკანასკნელ წლებში რესპუბლიკის სამინისტროებმა, უწყებებმა და ორგანიზაციებმა გარკვეული მუშაობა განახორციელეს კაპიტალურ დაბანდებათა კონცენტრაციისათვის ასამუშავებელ მშენებლობებსა და ობიექტებზე, რომელთაც დიდი მნიშვნელობა აქვთ საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობისათვის, აგრეთვე ერთდროულად მშენებარე ობიექტების რაოდენობისა და დაუმთავრებელი მშენებლობის მოცულობის შემცირებისათვის.

1976 წლის მშენებლობის სატიტულო სიების განხილვისა და კორექტირებისას გეგმიდან ამოღებულ იქნა 328 ახლად დასაწყები მშენებლობა, ხოლო განთავისუფლებული სახსრები მოხმარდება წინათ დაწყებული ობიექტების მშენებლობას. ამის შედეგად დამტკიცებულ გეგმაში გათვალისწინებულია, რომ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ დაგეგმილი დაუმთავრებელი მშენებლობის მოცულობა 1975 წლის ანგარიშის მონაცემებთან შედარებით შემცირდება 22,6 პროცენტით.

ამასთანავე დაუმთავრებელი მშენებლობის მოცულობის შემცირებისა და ნორმატიულ მაჩვენებლებამდე მისი დაყვანისათვის რესპუბლიკის სამინისტროთა და უწყებათა მუშაობაში ჯერ კიდევ არის სერიოზული ნაკლოვანებანი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცალკეულ შემკვეთ სამინისტროთა და უწყებათა და საიჯარო-სამშენებლო ორგანიზაციათა არადამაკმაყოფილებელი მუშაობის გამო წლითიწლობით არ სრულდება სიმძლავრეებისა და ძირითადი ფონდების ამოქმედების გეგმები, რაც მნიშვნელოვანწილად განაპირობებს დაუმთავრებელი მშენებლობის მოცულობის ზრდას.

1974 წელს ძირითადი ფონდების ამოქმედების გეგმა შესრულდა 84 პროცენტით, ხოლო 1975 წელს — 79,6 პროცენტით, რის შედეგადაც საექსპლუატაციოდ არ გადაცემულა — შესაბამისად — 94,6 მილიონი მანეთის და 128,3 მილიონი მანეთის ძირითადი ფონდები.

სიმძლავრეებისა და ძირითადი ფონდების ამოქმედების გეგმის შეუსრულებლობა მნიშვნელოვანწილად იმით არის განპირობებული, რომ კაპიტალური დაბანდებანი და მატერიალურ-ტექნიკური რესურსები დაქსაქსულია მრავალრიცხოვან ობიექტებზე, ირღვევა მშენებლობის ხანგრძლივობის ნორმები.

შემკვეთი სამინისტროები და უწყებები, სამშენებლო ორგანიზაციები ჯერ კიდევ მიმართავენ მანკიერ პრაქტიკას, როცა ამცირებენ საგეგმო დავალებებს წლის პირველ ნახევარში და კვარტალების პირველ თვეებში.

1975 წელს საექსპლუატაციოდ გადასაცემი ობიექტების მშენებლობის გეგმა განსაკუთრებით არადამაკმაყოფილებლად შესრულდა კომუნალური მეურნეობის (აუთვისებელია 19,02 მილიონი მანეთი), ჯანმრთელობის დაცვის (17,33 მილიონი მანეთი), ვაჭრობის (5,37 მილიონი მანეთი), განათლების (7,37 მილიონი მანეთი)), საბინაო მშენებლობის (6,12 მილიონი მანეთი), საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის (4,8 მილიონი მანეთი), მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების (2,95 მილიონი მანეთი) ხაზით.

ძირითადი ფონდების ამოქმედების გეგმა არადამაკმაყოფილებლად სრულდება მიმდინარე წელსაც. 6 თვის განმავლობაში ძირითადი ფონდების საექსპლუატაციოდ გადაცემამ რესპუბლიკაში ნახევარი წლის გეგმის მხოლოდ 79 პროცენტი შეადგინა. განსაკუთრებით არასახარბიელო მაჩვენებლები აქვთ საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს კაპიტალური მშენებლობის მთავარ სამმართველოს, საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს, საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროს, საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს და სხვ.

ცალკეულ სამინისტროებსა და უწყებებში იმ პირობითაც კი, თუ 1976 წელს ძირითადი ფონდების ამოქმედების გეგმა შესრულდება, დაუმთავრებელი მშენებლობის მოცულობა ჯერ კიდევ მაღალი რჩება.

საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროში 1976 წლის დამლევს დაუმთავრებელი მშენებლობის მოცულობა კაპიტალურ დაბანდებათა წლიური გეგმის 104 პროცენტს შეადგენს, ანუ სატიტულო სიებით გათვალისწინებული დაუმთავრებელი მშენებლობის მოცულობას აღემატება 0,38 მილიონი მანეთით, საქართველოს სსრ საავტომობილო გზების სამინისტროში — შესაბამისად — 98 პროცენტს და 1,18 მილიონი მანეთით, საქართველოს სსრ მე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროში — 92 პროცენტს და 22,2 მილიონი მანეთით, საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროში — 104 პროცენტს შეადგენს და 3,77 მილიონი მანეთით აღემატება.

ამავე დროს იმის შედეგად, რომ ცალკეული შემკვეთი სამინისტროები და უწყებები საკმარის ყურადღებას არ უთმობენ აღნიშნულ საკითხს, დაუმთავრებელ მშენებლობაში ირიცხება ჩამოსაწერი ობიექტები, ფაქტიურად ექსპლუატაციაში არსებული, მაგრამ ჩაბარების აქტებით ჯერ კიდევ გაუფორმებელი ობიექტები, განუხორციელებელ მშენებლობათა საპროექტო-საძიებო სამუშაოები და ა. შ.

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს დაუმთავრებელ მშენებლობაში ერიცხება არამშენებარე ობიექტების საპროექტო-საძიებო სამუშაოები 3 მილიონ მანეთამდე მოცულობით, აგრეთვე ფაქტიურად ექსპლუატაციაში არსებული, მაგრამ საექსპლუატაციოდ გადაცემის აქტებით გაუფორმებელი ობიექტები.

საქართველოს სსრ საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროს დაუმთავრებელ მშენებლობაში ერიცხება 2 მილიონ მანეთზე მეტი ღირებულების არარეალური ობიექტები, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტს — ფაქტიურად ექსპლუატაციაში არსებული, მაგრამ გადაცემის აქტებით გაუფორმებელი ობიექტები (თბილისის ველოტრეკი — 1,72 მილიონი მანეთი, ლესელიძის პანსიონატი „სპორტი" — 0,79 მილიონი მანეთი), რუსთავის მეტალურგიულ ქარხანას — ობიექტების შეწყვეტილი მშენებლობის საპროექტო-საძიებო სამუშაოები 0,614 მილიონი მანეთის ოდენობით, საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს — 2,15 მილიონი მანეთი, მათ შორის ფაქტიურად ექსპლუატაციაში არსებულ, მაგრამ მიღების აქტებით გაუფორმებელ ობიექტებზე — 1,02 მილიონი მანეთი. დაუმთავრებელი მშენებლობის არარეალური მოცულობანი ერიცხებათ აგრეთვე საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ ნავთობპროდუქტების მომარაგება-გასაღების მთავარ სამმართველოს, საქართველოს სსრ საბინაო-კომუნალური მეურნეობის სამინისტროს, საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს, საქართველოს სსრ საავტომობილო გზების სამინისტროს და საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს.

დაუშვებლად ირღვევა მშენებლობის ხანგრძლივობის ვადები ჭიათურის მარგანეცის სამთამადნო კომბინატის ობიექტებზე. „ფაწკნარის" წყალსადენის გარე ქსელებისა და ნაგებობების მშენებლობა (სახარჯთაღრიცხვო ღირებულება — 1.300 ათასი მანეთი) 1975 წელს დაიწყო. მისი დამთავრების ვადა ხუთჯერ შეიცვალა და ახლა გათვალისწინებულია მიმდინარე წელს. ასეთივე მდგომარეობა შეიქმნა მარგანეცის მადნის გადამუშავების ნარჩენების საცავის მშენებლობაზე (სახარჯთაღრიცხვო ღირებულება — 14.900 ათასი მანეთი), რომელიც 1968 წელს დაიწყო, ხოლო დამთავრება გათვალისწინებულია მხოლოდ 1979 წელს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საწარმოო გაერთიანება „საქსამთოქიმმრეწვის“ რაჭის სამთო-მეტალურ-გიულ კომბინატში 1975 წელს გათვალისწინებული იყო 3.600 ათასი მანეთის ძირითადი ფონდების ამოქმედება, ფაქტიურად კი ამოქმედდა მხოლოდ 1.842 ათასი მანეთისა. ჩორდის ბარიტის მაღაროთსამმართველოში საექსპლუატაციოდ არ გადაცემულა სამგზავრო საბაგირო გზა 700 ათასი მანეთის ძირითადი ფონდებით. მახარაძის მაღაროთსამმართველოში ჩაიშალა „ასკანგელ-3“ საამქროს ამოქმედება 500 ათასი მანეთის ძირითადი ფონდებით.

1976 წლის დამლევისათვის დაუმთავრებელი მშენებლობის მოცულობა რესპუბლიკის ტერიტორიაზე კვლავ დიდი იქნება.

მაშინ, როცა 1976 წელს კაპიტალურ დაბანდებათა გეგმა დაწესებულია 1.143,5 მილიონი მანეთის ოდენობით, 1977 წლის 1 იანვრისათვის დაუმთავრებელი მშენებლობის მოცულობა მიაღწევს 1.117,3 მილიონ მანეთს, რაც საშუალოდ რესპუბლიკის ტერიტორიაზე შეადგენს კაპიტალურ დაბანდებათა წლიური გეგმის 97 პროცენტს, მათ შორის რესპუბლიკური მეურნეობის ხაზით — 63 პროცენტს, საკავშირო-რესპუბლიკური სამინისტროების ხაზით — 57 პროცენტს, ხოლო საკავშირო დაქვემდებარების სამინისტროების, უწყებებისა და ორგანიზაციების ხაზით — კაპიტალურ დაბანდებათა წლიური გეგმის 195 პროცენტს.

საკავშირო დაქვემდებარების ორგანიზაციებში დაუმთავრებელი მშენებლობის მაღალი მაჩვენებლები იმით აიხსნება, რომ რესპუბლიკაში შენდება მსხვილი ობიექტები, რომელთა მშენებლობის ვადები და დაუმთავრებელი მშენებლობის ნორმატივები საშუალო მაჩვენებლებზე მაღალია. მარტო ენგურჰესზე დაუმთავრებელი მშენებლობა 1976 წლის დამლევს 297,5 მილიონ მანეთს შეადგენს.

ანალოგიური მდგომარეობა შეიქმნა გარეთვე სხვა ენერგეტიკული ობიექტების ყინვალისა და ვარციხის ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობაზე.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. შემკვეთი სამინისტროებისა და უწყებების, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს კაპიტალური მშენებლობის მთავარი სამმართველოსა და საიჯარო სამშენებლო ორგანიზციების ძირითად ამოცანად ჩაითვალოს სიმძლავრეებისა და ძირითადი ფონდების ამოქმედების გეგმის უცილობლივ შესრულების უზრუნველყოფა, დაუმთავრებელი მშენებლობის მოცულობის შემცირება და მისი დაყვანა ნორმატიულ მაჩვენებლებამდე კაპიტალური მშენებლობის დამტკიცებული ხუთწლიანი და წლიური გეგმების შესაბამისად.

დაევალოთ აღნიშნულ სამინისტროებს, უწყებებსა და ორგანიზაციებს გულდასმით შეამოწმონ სამშენებლო ორგანიზაციებისათვის დაწესებული საგეგმო დავალებების წლის კვარტალებისა და თვეების მიხედვით განაწილების სისწორე და მიიღონ ზომები ამ საქმეში დაშვებული დარღვევების აღმოსაფხვრელად.

2. დაევალოთ საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს კაპიტალური მშენებლობის მთავარ სამმართველოს, რესპუბლიკური და საკავშირო-რესპუბლიკური დაქვემდებარების სამინის-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტროებსა და უწყებებს კაპიტალური მშენებლობის ხუთწლიანი გეგმის დაზუსტებისას და წლიური გეგმების შემუშავებისას გაითვალისწინონ დაუმთავრებელი მშენებლობის მოცულობის მაქსიმალური შემცირება და მისი დაყვანა ნორმატივებამდე.

3. დაევალოთ რესპუბლიკური და საკავშირო-რესპუბლიკური დაქვემდებარების სამინისტროებსა და უწყებებს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს კაპიტალური მშენებლობის მთავარ სამმართველოს ჩაატარონ 1976 წლის მესამე კვარტალის ბოლომდე დაუმთავრებელი მშენებლობის მოცულობის საგულდაგულო ინვენტარიზაცია, დაადგინონ დაუმთავრებელი მშენებლობის მოცულობის თაობაზე საანგარიშგებო მონაცემებსა და სატიტულო სიების მონაცემებს შორის სხვაობის მიზეზები და შეუსაბამონ ისინი ერთმანეთს, ჩამოწერონ არარეალური მოცულობანი დადგენილი წესით, ამასთან თითოეული დაკონსერვებული ობიექტის საკითხი გადაწყვიტონ ცალკე, დააზუსტონ ძირითადი ფონდების სტრუქტურა და დაუმთავრებელი მშენებლობის მოცულობანი 1976 წლისათვის სამუშაოთა ცალკეული სახეობებისა და დაფინანსების წყაროების მიხედვით და 1976 წლის 1 ოქტომბრამდე წარმოუდგინონ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს ანგარიში გაწეული მუშაობის შედეგების შესახებ.

იმასთან დაკავშირებით, რომ რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებულ საკავშირო დაქვემდებარების საწარმოებსა და ორგანიზაციებში დიდია დაუმთავრებელი მშენებლობის მოცულობა, დაევალოთ მათ განახორციელონ ანალოგიური მუშაობა იმავე ვადებში, შეიმუშაონ ქმედითი ღონისძიებანი დაუმთავრებელი მშენებლობის მოცულობის მკვეთრი შემცირებისათვის, ამასთან შეუთანხმონ ისინი ზემდგომ საკავშირო სამინისტროებსა და უწყებებს, და 1976 წლის 1 ოქტომბრამდე მოახსენონ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს გაწეული მუშაობის შედეგების შესახებ.

4. საკავშირო დაქვემდებარების ყველა საწარმომ და ორგანიზაციამ გაითვალისწინოს ხუთწლიანი და წლიური გეგმების პროექტებში დაუმთავრებელი მშენებლობის მოცულობის შემცირება ნორმატიულ მაჩვენებლებამდე, წინასწარ შეუთანხმონ საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს საკავშირო სამინისტროებში წარსადგენი სატიტულო სიები.

საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა თავისი შენიშვნები და წინადადებანი წარმოუდგინოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საკავშირო სამინისტროებში საკითხის დასაყენებლად.

5. დაევალოთ საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს, საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის სამინისტროს, საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სამონტაჟო და სპეციალურ სამშენებლო სამუშაოთა მთავარ სამმართველოს, „საქჰიდროენერგომშენის“ ტრესტს შემკვეთ სამინისტროებთან და უწყებებთან ერთად შეიმუშაონ დამატებითი ღონისძიებანი ასამუშავებელი და გან-

ეროვნული ბიბლიოთეკა

საკუთრებით დიდმნიშვნელოვანი ობიექტების მატერიალურ-ტექნიკური რესურსებით, მოწყობილობითა და მუშახელით უზრუნველსაყოფად სიმძლავრეებისა და ობიექტების მშენებლობისა და ამოქმედების გეგმის უცილობლივ შესასრულებლად, დააწესონ მკაცრი კონტროლი აღნიშნული ობიექტების მშენებლობის მიმდინარეობისადმი.

6. საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა და საქართველოს სსრ ცენტრალურმა სტატისტიკურმა სამმართველომ ყოველკვარტალურად გააანალიზონ დაუმთავრებელი მშენებლობის მოცულობის შემცირების დავალებათა შესრულება და წარმოუდგინონ შესაბამისი მასალები საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ზ. პატარიძე**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი**.

ქ. თბილისი, 1976 წ. 23 ივლისი, № 505

ეროვნული ბიბლიოთეკა

53 საქართველოს სსრ წყლის რესურსების კომპლექსური გამოყენებისა და დაცვის საუზო და ტერიტორიული სქემების შემუშავებისა და დამტკიცების წესის შესახებ

„წყლის კომპლექსური გამოყენებისა და დაცვის სქემების შემუშავების და დამტკიცების წესის შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1976 წლის 2 ივნისის № 408 დადგენილების შესაბამისად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. ძირითად წყალსამეურნეო და სხვა ღონისძიებათა განსაზღვრის მიზნით, რომლებიც უნდა განხორციელდეს წყალზე რესპუბლიკის მოსახლეობისა და სახალხო მეურნეობის პერსპექტიულ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად, აგრეთვე წყლის დასაცავად და მისი მავნე ზემოქმედების თავიდან ასაცილებლად, შემუშავდეს საქართველოს სსრ წყლის რესურსების კომპლექსური გამოყენებისა და დაცვის საუზო და ტერიტორიული სქემები.

დაწესდეს, რომ საქართველოს სსრ წყლის კომპლექსური გამოყენებისა და დაცვის საუზო და ტერიტორიულ სქემებს (რესპუბლიკური მნიშვნელობის სქემებს) შეიმუშავებს საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტრო სსრ კავშირის ენერგეტიკისა და ელექტრიფიკაციის სამინისტროს „ჰიდროპროექტის“ ინსტიტუტის თბილისის განყოფილების, აგრეთვე რესპუბლიკის სხვა დაინტერესებული სპეციალიზებული წყალსამეურნეო და დარგობრივი ორგანიზაციების მიზიდვით.

2. წყლის კომპლექსური გამოყენებისა და დაცვის სქემებში დასახულმა ღონისძიებებმა უნდა უზრუნველყონ სახალხო მეურნეობისათვის წყლის ყველაზე ეფექტიანი გამოყენება (პირველ რიგში წყალზე მოსახლეობის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების გათვალისწინებით) წყლის ჩანადენის რეგულირების, წყლის მომჭირნეობით ხარჯვისათვის და გაუწმენდელი ჩამდინარე წყლის ჩაშვების შეწყვეტისათვის ზომების მიღების გზით წარმოების ტექნოლოგიისა და წყალმომარაგების სქემების სრულყოფის საფუძველზე (უწყლო ტექნოლოგიური პროცესების, ჰაერით გაცივების, საბრუნი წყალმომარაგებისა და სხვა ტექნიკური საშუალებების გამოყენება).

3. დაწესდეს, რომ რესპუბლიკური მნიშვნელობის წყლის კომპლექსური გამოყენებისა და დაცვის სქემებს დაამტკიცებს საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტი საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბუნების დაცვის სახელმწიფო კომიტეტის წარდგენით.

დასამტკიცებლად წარდგენამდე კომპლექსური გამოყენების სქემები უთანხმდება საქართველოს სსრ სახმშენს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტს, საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროსა და საქართველოს სსრ საბინაო-კომუნალური მეურნეობის სამინისტროს, აგრეთვე რესპუბლიკის დაინტერესებულ ორგანიზაციებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

4. რესპუბლიკური მნიშვნელობის წყლის კომპლექსური გამოყენებისა დ. დაცვის სქემების კვალიფიციურად განხილვის მიზნით შეიქმნას საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან საექსპერტო კომისია.

საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა განსაზღვროს და დაამტკიცოს საექსპერტო კომისიის შემადგენლობა საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის, სამეცნიერო, საპროექტო და საწარმოო ორგანიზაციების მაღალკვალიფიციურ სპეციალისტთა მონაწილეობით.

5. მიღებულ იქნეს ცნობად, რომ „წყლის კომპლექსური გამოყენებისა და დაცვის სქემების შემუშავებისა და დამტკიცების წესის შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1976 წლის 2 ივნისის № 408 დადგენილებით:

— დაწესდა, რომ:

წყლის კომპლექსური გამოყენებისა და დაცვის სქემები შემუშავდება სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრების ხარჯზე სსრ კავშირისათვის ერთიანი სისტემის მიხედვით;

წყლის კომპლექსური გამოყენებისა და დაცვის სქემების შემუშავების პერსპექტიულ და წლიურ გეგმებს შეადგენს სსრ კავშირის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტრო მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების წინადადებათა გათვალისწინებით და დაამტკიცებს იგი სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან შეთანხმებით;

სსრ კავშირის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტრო შეიმუშავებს სსრ კავშირის დაინტერესებულ სამინისტროებთან და უწყებებთან ერთად სამეცნიერო-მეთოდიკურ მითითებებს წყლის კომპლექსური გამოყენებისა და დაცვის სქემების შედგენის შესახებ და დაამტკიცებს მათ სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან, სსრ კავშირის სახმშენთან და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტთან შეთანხმებით;

— ძალადაკარგულად ჩაითვალა მე-9 პუნქტი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1960 წლის 22 აპრილის № 425 დადგენილებისა „სსრ კავშირის წყლის რესურსების გამოყენების მოწესრიგებისა და დაცვის გაძლიერების ღონისძიების შესახებ“, აგრეთვე ამ დადგენილების მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი წყლის რესურსების გამოყენებისა და დაცვის პერსპექტიული სქემების შემუშავების ორგანიზაციის ნაწილში.

6. დაეგზავნოთ რესპუბლიკის სამინისტროებს, უწყებებსა და ორგანიზაციებს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1976 წლის 2 ივნისის № 408 დადგენილება „წყლის კომპლექსური გამოყენებისა და დაცვის სქემების შემუშავებისა და დამტკიცების წესის შესახებ“.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **შ. კიკნაძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **რ. შანიძე.**

ქ. თბილისი, 1976 წ. 26 ივლისი, № 512

ეროვნული ბიბლიოთეკა

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო

დადგენილება № 408

1976 წლის 2 ივნისი

მოსკოვი, კრემლი

წყლის კომპლექსური გამოყენებისა და დაცვის სქემების შემუშავებისა და დამტკიცების წესის შესახებ

სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების წყლის კანონმდებლობის საფუძვლების შესაბამისად სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. ძირითად წყალსამეურნეო და სხვა ღონისძიებათა განსაზღვრის მიზნით, რომლებიც უნდა განხორციელდეს წყალზე მოსახლეობისა და სახალხო მეურნეობის პერსპექტიულ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად, აგრეთვე წყლის დასაცავად და მისი მავნე ზემოქმედების თავიდან ასაცილებლად, შემუშავდება წყლის კომპლექსური გამოყენებისა და დაცვის გენერალური, სააუზო და ტერიტორიული სქემები.

წყლის კომპლექსური გამოყენებისა და დაცვის გენერალური სქემები შემუშავდება სსრ კავშირის წყალთა მეურნეობის განვითარების პრინციპულ მიმართულებათა განსაზღვრის მიზნით.

სააუზო სქემები შემუშავდება მდინარეებისა და სხვა წყლის ობიექტების აუზებისათვის გენერალური სქემის საფუძველზე.

ტერიტორიული სქემები შემუშავდება ქვეყნის ეკონომიკური რაიონებისათვის, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკებისათვის, მხარეებისა და ოლქებისათვის გენერალური და სააუზო სქემების საფუძველზე.

2. წყლის კომპლექსური გამოყენებისა და დაცვის სქემები იყოფა საერთო-საკავშირო და რესპუბლიკური მნიშვნელობის სქემებად.

საერთო-საკავშირო მნიშვნელობის სქემებს განეკუთვნება:

წყლის კომპლექსური გამოყენებისა და დაცვის გენერალური სქემები;

იმ წყლის ობიექტების კომპლექსური გამოყენებისა და დაცვის სააუზო სქემები, რომელთა სარგებლობის რეგულირება სსრ კავშირის კომპეტენციას განეკუთვნება;

წყლის კომპლექსური გამოყენებისა და დაცვის სააუზო სქემები იმ შემთხვევებში, როცა აუზი განლაგებულია ორი ან მეტი მოკავშირე რესპუბლიკის ტერიტორიაზე, აგრეთვე იმ შემთხვევებში, როცა აუზი განლაგებულია ერთი მოკავშირე რესპუბლიკის ტერიტორიაზე, მაგრამ სქემებში დასახული ღონისძიებანი ცვლიან სხვა მოკავშირე რესპუბლიკების წყლით უზრუნველყოფის პირობებსა და წყლის მდგომარეობას;

ეროვნული ბიბლიოთეკა

წყლის კომპლექსური გამოყენებისა და დაცვის ტერიტორიული სქემები იმ შემთხვევებში, როცა სქემებში დასახული ღონისძიებანი ცვლიან ორი ან რამდენიმე მოკავშირე რესპუბლიკის წყლით უზრუნველყოფის პირობებსა და წყლის მდგომარეობას.

წყლის კომპლექსური გამოყენებისა და დაცვის დანარჩენი საკუზო და ტერიტორიული სქემები განეკუთვნება რესპუბლიკური მნიშვნელობის სქემებს.

დაწესდეს, რომ საერთო-საკავშირო მნიშვნელობის წყლის კომპლექსური გამოყენებისა და დაცვის სქემებს შეიმუშავებს სსრ კავშირის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტრო სსრ კავშირის ენერგეტიკისა და ელექტრიფიკაციის სამინისტროს, აგრეთვე სხვა სამინისტროთა და უწყებათა სპეციალიზებული ორგანიზაციების მონაწილეობით.

წყლის კომპლექსური გამოყენებისა და დაცვის გენერალური სქემები შემუშავდება წყლის კომპლექსური გამოყენებისა და დაცვის დარგში უმნიშვნელოვანესი სამეცნიერო-ტექნიკური პრობლემების გადაწყვეტის სამუშაოთა პროგრამების გათვალისწინებით.

რესპუბლიკური მნიშვნელობის სქემების წესს განსაზღვრავენ მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები.

3. წყლის კომპლექსური გამოყენებისა და დაცვის სქემებში დასახულმა ღონისძიებებმა უნდა უზრუნველყონ სახალხო მეურნეობისათვის წყლის ყველაზე ეფექტიანი გამოყენება (პირველ რიგში წყალზე მოსახლეობის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების გათვალისწინებით) წყლის ჩანადენის რეგულირების, წყლის მომჭირნეობით ხარჯვისათვის და გაუწმენდელი ჩამდინარე წყლების ჩაშვების შეწყვეტისათვის ზომების მიღების გზით წარმოების ტექნოლოგიისა და წყალმომარაგების სქემების სრულყოფის საფუძველზე (უწყლო ტექნოლოგიური პროცესების, ჰაერით გაცივების, საბრუნი წყალმომარაგებისა და სხვა ტექნიკური საშუალებების გამოყენება).

4. წყლის კომპლექსური გამოყენებისა და დაცვის სქემები შემუშავდება სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრების ხარჯზე სსრ კავშირისათვის ერთიანი სისტემის მიხედვით.

წყლის კომპლექსური გამოყენებისა და დაცვის სქემების შემუშავების პერსპექტიულ და წლიურ გეგმებს შეადგენს სსრ კავშირის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტრო მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების წინადადებათა გათვალისწინებით და დაამტკიცებს იგი სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან შეთანხმებით.

5. დაწესდეს, რომ საერთო-საკავშირო მნიშვნელობის წყლის კომპლექსური გამოყენებისა და დაცვის სქემებს დაამტკიცებს სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტი სსრ კავშირის სახმშენთან შეთანხმებით სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს წარდგენით, ხოლო რესპუბლიკური მნიშვნელობის სქემებს — მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები ან მათი დავალებით — მოკავშირე რესპუბლიკების სახელმწიფო საგეგმო კომიტეტები მოკავშირე რესპუბლიკების წყლის გამოყენების რეგულირებისა და დაცვის ორგანოთა წარდგენით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შესაბამის სამინისტროებთან, უწყებებთან და ორგანიზაციებთან წყლის კომპლექსური გამოყენებისა და დაცვის შესაბამუშავებელი სქემების შეთანხმების წესს საერთო-საკავშირო მნიშვნელობის სქემების მიხედვით განსაზღვრავს სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტი და რესპუბლიკური მნიშვნელობის სქემების მიხედვით — მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები.

6. დაევალოს სსრ კავშირის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს შეიმუშაოს სსრ კავშირის დაინტერესებულ სამინისტროებთან და უწყებებთან ერთად სამეცნიერო-მეთოდიკური მითითებანი წყლის კომპლექსური გამოყენებისა და დაცვის სქემების შედგენის შესახებ და დაამტკიცოს ისინი სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან, სსრ კავშირის სახმშენთან და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტთან შეთანხმებით.

7. ძალადაკარგულად ჩაითვალოს მე-9 პუნქტი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1960 წლის 22 აპრილის № 425 დადგენილებისა „სსრ კავშირის წყლის რესურსების გამოყენების მოწესრიგებისა და დაცვის გაძლიერების ღონისძიებათა შესახებ“ (სსრკ დადგ. კრებ., 1960 წ., № 9, მუხ. 67), აგრეთვე ამ დადგენილების მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი წყლის რესურსების გამოყენებისა და დაცვის პერსპექტიული სქემების შემუშავების ორგანიზაციის ნაწილში.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **კ. მაზუროვი.**

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **მ. სმირტიუკოვი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

54 იმ. დოკუმენტების ნუსხის დამტკიცების შესახებ, რომლებითაც დავალიანების გადახდევინება წარმოებს უდავო წესით სანოტარო ორგანოთა სააღსრულებო წარწერების საფუძველზე

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დამტკიცდეს თანდართული ნუსხა დოკუმენტებისა, რომლებითაც დავალიანების გადახდევინება წარმოებს უდავო წესით სანოტარო ორგანოთა სააღსრულებო წარწერების საფუძველზე.

2. ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ მთავრობის გადაწყვეტილებანი, თანდართული ნუსხის თანახმად.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **შ. კიკნაძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე რ. შანიძე.

ქ. თბილისი, 1976 წ. 26 ივლისი, № 513

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1976 წლის 26 ივლისის № 513
დადგენილებით

ნ უ ს ხ ა

დოკუმენტებისა, რომლებითაც დავალიანების გადახდევინება წარმოებს უდავო წესით სანოტარო ორგანოთა სააღსრულებო წარწერების საფუძველზე

I. ნოტარიულად დამოწმებული გარიგებების გამო დავალიანების გადახდევინება

1. ფულის მიღებასთან, ქონების დაბრუნებასთან ან გადაცემასთან დაკავშირებული ნოტარიულად დამოწმებული გარიგებანი.

სააღსრულებო წარწერების მისაღებად წარდგენილ უნდა იქნეს ნოტარიულად დამოწმებული გარიგების დედნის ეგზემპლარი.

II. დავალიანების გადახდევინება საანგარიშსწორებო და საკრედიტო ურთიერთობიდან გამომდინარე საფუძველზე

2. დოკუმენტები, რომლებითაც მოვალეებმა და მათმა თავდებებმა დაუშვეს გადასახდელის ვადის გადაცილება საკრედიტო დაწესებულებათა საკრედიტო ოპერაციების მიხედვით.

სააღსრულებო წარწერის მისაღებად წარდგენილ უნდა იქნეს:

ა) დოკუმენტის დედანი, რომლითაც წარმოებს გადახდევინება;

ბ) გადამხდევინებლის მიერ დამოწმებული მოვალის პირადი ანგარიშის ამონაწერი დავალიანების თანხის აღნიშვნით.

3. დოკუმენტები, რომლებითაც დადგენილი იქნება დავალიანება იმ სესხების გამო, რომლებიც სამეურნეო ანგარიშზე მყოფმა გაერთიანებებმა, საწარმოებმა და ორგანიზაციებმა მისცეს ამ გაერთიანებათა, საწარმოთა და ორგანიზაციათა მუშებს, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკებსა და მოსამსახურეებს ინდივიდუალური საბინაო მშენებლობისა და საცხოვრებელი სახლების კაპიტალური რემონტისათვის, აგრეთვე სამეურნეო მოწყობისათვის.

სააღსრულებო წარწერის მისაღებად წარდგენილ უნდა იქნეს:

ა) მოვალის ვალდებულების დედანი;

ბ) გადამხდევინებლის მიერ დამოწმებული მოვალის პირადი ანგარიშის ამონაწერი ვადაგასული დავალიანების თანხის აღნიშვნით.

4. დოკუმენტები, რომლებითაც დადგენილი იქნება საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრთა დავალიანება საცხოვრებელი სახლების ასაშენებლად კოოპერატივებისათვის მიცემული სესხების დასაფარავად და გადასახდელების მიხედვით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სააღსრულებო წარწერის მისაღებად წარდგენილ უნდა იქნეს:

ა) მოვალის ვალდებულების დედანი;

ბ) გადამხდევინებლის მიერ დამოწმებული მოვალის პირადი ანგარიშის ამონაწერი ვადაგასული დავალიანების თანხისა და მისი დაფარვის ვადების აღნიშვნით.

5. გაერთიანებათა, დაწესებულებათა, საწარმოთა და ორგანიზაციათა მოთხოვნები ბანკის მეშვეობით მყიდველებთან მათი ანგარიშსწორების გამო, იმის შესახებ, რომ გადახდევინებულ იქნეს პასუხსაგები შენახვისათვის ჩაბარებული გამოყენებული, მაგრამ აუნაზღაურებელი ტვირთის ღირებულება და ჯარიმა გამოყენებული ტვირთის ღირებულების 8 პროცენტის ოდენობით.

სააღსრულებო წარწერის მისაღებად წარდგენილ უნდა იქნეს:

ა) მიმწოდებლის საგადამხდელო მოთხოვნის ასლი, რომელშიც ბანკის მიერ აღნიშნული იქნება მოთხოვნის ინკასოზე მიღება, და თანდართული ექნება ბანკის ცნობა ან გადამხდელის განცხადება აქცეპტზე უარის შესახებ;

ბ) სატრანსპორტო საწარმოს ცნობა მყიდველისათვის ტვირთის ჩაბარების შესახებ;

გ) მყიდველის წერილობითი შეტყობინება (ცნობა) პასუხსაგები შენახვისათვის მიღებული ტვირთის მთლიანად ან ნაწილობრივ (უკანასკნელ შემთხვევაში ღირებულების ან რაოდენობის აღნიშვნით) გამოყენების შესახებ.

6. გადასახდელად წარდგენილი ჩეკები, რომელთა გადაუხდელობა დადასტურებულია სახელმწიფო ნოტარიუსის, გადამხდელის ან საანგარიშსწორებო დაწესებულების მიერ ჩეკებზე შესაბამისი წარწერების გზით.

7. დოკუმენტები, რომლებითაც დადგენილი იქნება სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის მიმართ დავალიანება სპეციალური სასესხო ანგარიშების მიხედვით, აგრეთვე სხვა ანგარიშების მიხედვით, რომლებიდანაც წარმოებს სესხების გაცემა ვადიანი ვალდებულებებით მათი გაფორმების გარეშე.

სააღსრულებო წარწერების მისაღებად წარდგენილ უნდა იქნეს:

ა) სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის დაწესებულების მიერ დამოწმებული განცხადება-ვალდებულების ასლი;

ბ) სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის დაწესებულების მიერ დამოწმებული სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკში მოვალის პირადი ანგარიშის ამონაწერი დავალიანების თანხის აღნიშვნით.

8. დოკუმენტები, რომლებითაც დადგენილი იქნება დავალიანება იმ სესხების გამო, რაც გასცეს პროფკავშირთა კომიტეტებთან არსებულმა ურთიერთდამხმარე სალაროებმა, მშრომელთა დეპუტატების რაიონული, საქალაქო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების სოციალური უზრუნველყოფის განყოფილებებთან არსებულმა პენსიონერთა ურთიერთდამხმარე სალაროებმა, სსრ კავშირის თავდაცვის სამინისტროს სამხედრო ნაწილებთან, დაწესებულებებთან და სასწავლებლებთან არსებულმა ურთიერთდამხმარე სალაროებმა, კოლმეურნეობების ურთიერთდამხმარე სალაროებმა, სსრ კავშირის ლიტერატურულმა ფონდმა, სსრ კავშირის მუსიკალურმა ფონდმა, სსრ კავშირის სამხატვრო ფონდმა, სსრ კავშირის არქიტექტორთა კავშირის არქიტექტურულმა ფონდმა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

სსრ კავშირის კინემატოგრაფისტთა კავშირმა და საქართველოს თეატრალური საზოგადოების ურთიერთდამხმარე სალარომ.

სააღსრულებო წარწერის მისაღებად წარდგენილ უნდა იქნეს:

ა) მოვალის ვალდებულების დედანი;

ბ) გადამხდევინებლის მიერ დამოწმებული მოვალის პირადი ანგარიშის ამონაწერი ან ბუღალტერიის ცნობა დავალიანების თანხისა და მისი დაფარვის ვადების აღნიშვნით.

III. ნისიად ნაყიდი საქონლის დავალიანების გადახდევინება

9. დავალება-ვალდებულებანი, რომლებიც მყიდველებმა (მუშებმა, მოსამსახურეებმა, კოლმეურნეებმა, ასპირანტებმა, პენსიონერებმა) მისცეს ვაჭრობის საწარმოებს საქონლის ნისიად ყიდვის დროს.

მუშების, მოსამსახურებისა და ასპირანტებისათვის დავალიანების გადასახდევინებლად სააღსრულებო წარწერის მისაღებად წარდგენილ უნდა იქნეს:

ა) მოვალის დავალება-ვალდებულების დედანი;

ბ) გაერთიანების, დაწესებულების, საწარმოს, ორგანიზაციის ცნობა მოვალის სამუშაოდან დათხოვნის შესახებ;

გ) გადამხდევინებლის მიერ დამოწმებული მოვალის პირადი ანგარიშის ამონაწერი დავალიანების თანხისა და მისი დაფარვის ვადების აღნიშვნით.

კოლმეურნეებისა და პენსიონერებისათვის დავალიანების გადასახდევინებლად სააღსრულებო წარწერის მისაღებად წარდგენილ უნდა იქნეს:

ა) მოვალის დავალება-ვალდებულების დედანი;

ბ) გადამხდევინებლის მიერ დამოწმებული მოვალის პირადი ანგარიშის ამონაწერი დავალიანების თანხის აღნიშვნით და ცნობა მისი დაფარვის შესახებ.

IV. ტვირთების გადაზიდვიდან გამომდინარე დავალიანების და დაწესებული ვადის განმავლობაში დავაგანუცხადებელი დისპაშით კუთვნილი თანხების გადახდევინება

10. კლიენტის მიერ გაგზავნილი რკინიგზის სამმართველოების (განყოფილებების, სადგურების — იმ შემთხვევაში, თუ გზათა სამინისტროს მიერ მათ მინიჭებული აქვთ პრეტენზიის განხილვის უფლება), სამდინარო და საზღვაო სანაოსნოების, ავტომოტორანსპორტის გაერთიანებების, საწარმოებისა და ორგანიზაციების შეტყობინებანი ტვირთების გადაზიდვიდან გამომდინარე განცხადებული პრეტენზიების დადასტურების შესახებ.

სააღსრულებო წარწერის მისაღებად წარდგენილ უნდა იქნეს რკინიგზის სამმართველოს (განყოფილების, სადგურის) სანაოსნოს, ავტომოტორანსპორტის გაერთიანების, საწარმოს ან ორგანიზაციის მიერ კლიენტისათვის გაგზავნილი შეტყობინების დედანი, პრეტენზიის იმ თანხის აღნიშვნით, რომელიც ცნო რკინიგზამ, სანაოსნომ, ავტომოტორანსპორტის გაერთიანებამ, საწარმომ ან ორგანიზაციამ.

11. სსრ კავშირის სავაჭრო ზღვაოსნობის კოდექსის 249-ე მუხლით დაწესებული ვადის განმავლობაში დავაგანუცხადებელი დისპაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სააღსრულებო წარწერის მისაღებად წარდგენილ უნდა იქნეს:

ა) დისპაში;

ბ) დისპაშერის ცნობა იმის შესახებ, რომ დისპაში არ გაუუქმებია და არ შეუცვლია სასამართლოს.

V. საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი სადგომების დაქირავების, აგრეთვე კომუნალური მომსახურების ხელშეკრულებების მიხედვით დავალიანების გადახდევინება

12. დოკუმენტები, რომლებითაც დადგენილი იქნება საცხოვრებელი სადგომების დამქირავებლის დავალიანება ბინის ქირისა და კომუნალური მომსახურების გადასახდელების გამო, ქირის ოდენობის შესახებ სასამართლო დავის განუცხადებლობისას.

სააღსრულებო წარწერის მისაღებად წარდგენილ უნდა იქნეს გადამხდევინებლის მიერ დამოწმებული დამქირავებლისათვის გაგზავნილი ანგარიშის ასლი გადამხდევინებლის შენიშვნით იმის შესახებ, რომ დავალიანება დაუფარავია წერილობითი გაფრთხილების ჩაბარების შემდეგ და განცხადებული არ არის სასამართლო დავა.

13. დოკუმენტები, რომლებითაც დადგენილი იქნება მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების, გაერთიანებების, დაწესებულებების, საწარმოებისა და ორგანიზაციების გამგებლობაში არსებულ სახლებში არასაცხოვრებელი სადგომების საიჯარო ქირის, კომუნალური და საექსპლუატაციო ხარჯების დავალიანება.

სააღსრულებო წარწერის მისაღებად წარდგენილ უნდა იქნეს გადამხდევინებლის მიერ დამოწმებული საიჯარო ხელშეკრულების ასლი დაუფარავი დავალიანების აღნიშვნით.

14. დოკუმენტები, რომლებითაც დადგენილი იქნება კომუნალური საწარმოებისა და სხვა ორგანიზაციების მიმართ დავალიანება კერძო საკუთრების სახლების მფლობელთა და ამ სახლების მოიჯარეთა მიერ წყალსადენიდან წყლის სარგებლობისათვის.

სააღსრულებო წარწერის მისაღებად წარდგენილ უნდა იქნეს გადამხდევინებლის მიერ დამოწმებული გაუნაღდებელი ანგარიშის ასლი გადამხდევინებლის შენიშვნით იმის შესახებ, რომ დავალიანება დაუფარავია სახლის მფლობელის ან მოიჯარის წერილობითი გაფრთხილების შემდეგ.

15. დოკუმენტები, რომლებითაც დადგენილი იქნება კომუნალური მეურნეობის საინვენტარიზაციო ორგანოთა მიმართ დავალიანება შეფასებითი და საინვენტარიზაციო სამუშაოებისათვის.

სააღსრულებო წარწერის მისაღებად წარდგენილ უნდა იქნეს:

ა) გადამხდევინებლის მიერ დამოწმებული გაუნაღდებელი ანგარიშის ასლი;

ბ) ასლი გაანგარიშებისა, რომელშიც შევა იმ ობიექტის მისამართი, სადაც ტარდებოდა შეფასებითი ან საინვენტარიზაციო სამუშაოები, სამუშაოთა დასა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხელება და ოდენობა, სამუშაოს გასაცემი ღირებულების (ნიხრის) და დავალიანების საერთო თანხის აღნიშვნა.

16. დოკუმენტები, რომლებითაც დადგენილი იქნება საბინაო-სამშენებლო და სააგარაკო-სამშენებლო კოოპერატივების წევრთა დავალიანება ორ თვეზე მეტი ხნით ვადაგადაცილებულ გადასახდელებზე სახლის მოვლა-შენახვისა და ექსპლუატაციის ხარჯების დაფარვის ანგარიშში.

სააღსრულებო წარწერის მისაღებად წარდგენილ უნდა იქნეს გადამხდევინებლის მიერ დამოწმებული მოვალისათვის გაგზავნილი ანგარიშის ასლი გადამხდევინებლის შენიშვნით იმის შესახებ, რომ სახლის მოვლა-შენახვისა და ექსპლუატაციის ხარჯების დაფარვის გადასახდელთა დავალიანება დაუფარავია წერილობითი გაფრთხილების ჩაბარების შემდეგ.

VI. დავალიანების გადახდევინება შრომითი ურთიერთობიდან გამომდინარე საფუძველზე

17. დოკუმენტები, რომლებითაც დადგენილი იქნება მუშის მოვალეობა სამუშაო ადგილზე ჩაუსვლელობის გამო უკან დააბრუნოს ხელფასის ანგარიშში მიცემული გამოუმუშავებელი ავანსი, ერთდროული დახმარება, მგზავრობის ხარჯები და დღიური ფული, რაც მას მიეცა ორგანიზებული შეგროვების წესით მრეწველობაში, მშენებლობაზე ან ტრანსპორტზე სამუშაოდ შრომითი ხელშეკრულების დადების დროს.

სააღსრულებო წარწერის მისაღებად წარდგენილ უნდა იქნეს:

ა) მუშასთან დადებული შრომითი ხელშეკრულების დედანი;

ბ) მუშის ხელწერილი იმის შესახებ, რომ მიიღო გადასახდევინებელი თანხები;

გ) გაერთიანების, დაწესებულების, საწარმოს, ორგანიზაციის ადმინისტრაციის ცნობა იმის შესახებ, რომ მუშა არ ჩასულა სამუშაო ადგილზე.

18. დოკუმენტები, რომლებითაც დადგენილი იქნება გაერთიანების, სახელმწიფო დაწესებულების, საწარმოს, ორგანიზაციის მიმართ მუშაკის დავალიანება მისთვის მიცემული ლოგინ-ქვეშაგებისათვის, რომელიც არ დაუბრუნებია სამუშაოდან დათხოვნის დროს.

სააღსრულებო წარწერის მისაღებად წარდგენილ უნდა იქნეს:

ა) მუშაკთან დადებული შრომითი ხელშეკრულების დედანი;

ბ) მუშაკის ხელწერილი იმის შესახებ, რომ მიიღო ლოგინ-ქვეშაგები;

გ) გაერთიანების, დაწესებულების, საწარმოს, ორგანიზაციის ადმინისტრაციის ცნობა, ხელმძღვანელის ან მთავარი (უფროსი) ბუღალტრის ხელმოწერით, დაუბრუნებელი ლოგინ-ქვეშაგების ღირებულებისა და მუშაკის დათხოვნის შესახებ.

19. დოკუმენტები, რომლებითაც დადგენილი იქნება იმ გაერთიანების, დაწესებულების, საწარმოს, ორგანიზაციის მიმართ დათხოვნილ მუშაკზე დარჩენილი ფორმის ტანსაცმლის დავალიანება, სადაც შემოღებულია ფორმის ტანსაცმლის ტარება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სააღსრულებო წარწერის მისაღებად წარდგენილ უნდა იქნეს:

ა) დათხოვნილი მუშაკის ვალდებულების დედანი იმის შესახებ, რომ ნაწილ-ნაწილ გადაიხადოს მიღებული ფორმის ტანსაცმლის ღირებულება;

ბ) ცნობა მუშაკის დათხოვნის შესახებ;

გ) გადამხდევინებლის მიერ დამოწმებული დათხოვნილი მუშაკის პირადი ანგარიშის ამონაწერი იმის შესახებ, რომ მას დარჩა დავალიანება

20. დოკუმენტები, რომლებითაც დადგენილი იქნება, რომ გაერთიანების, სახელმწიფო-კოოპერაციული და საზოგადოებრივი ორგანიზაციის, საწარმოსა და დაწესებულების მატერიალურად პასუხისმგებელ მუშაკზე დარჩენილია დავალიანება წვრილმანი დანაკლისის გამო (ამ მუშაკის დათხოვნის შემთხვევაში) და მას მიცემული აქვს ვალდებულება დაფაროს აღნიშნული დავალიანება.

სააღსრულებო წარწერის მისაღებად წარდგენილ უნდა იქნეს:

ა) მატერიალურად პასუხისმგებელი მუშაკის წერილობითი ვალდებულება იმის შესახებ, რომ დაფარავს წვრილმანი დანაკლისით გამოწვეულ დავალიანებას;

ბ) გაერთიანების, დაწესებულების, საწარმოს, ორგანიზაციის ადმინისტრაციის ცნობა, ხელმძღვანელისა და მთავარი (უფროსი) ბუღალტრის ხელმოწერით, იმის შესახებ, თუ წვრილმანი დანაკლისით გამოწვეული დავალიანების რა თანხა დარჩა დაუფარავი მუშაკის დათხოვნის დროს;

გ) ცნობა მუშაკის დათხოვნის შესახებ.

VII. საავტორო უფლებასთან დაკავშირებული ურთიერთობიდან გამომდინარე დავალიანების გადახდევინება

21. დოკუმენტები, რომლებითაც დადგენილი იქნება ორგანიზაციებისა და სანახაობითი საწარმოების დავალიანება დრამატული, მუსიკალური და მუსიკალურ-დრამატული ნაწარმოებების საჯაროდ შესრულებისათვის ავტორის გასამრჯელოდ, რაც შეტანილ უნდა იქნეს საავტორო უფლებათა სრულიად საკავშირო საგენტოში ან მის განყოფილებაში.

სააღსრულებო წარწერის მისაღებად წარდგენილ უნდა იქნეს ორგანიზაციის, სანახაობითი საწარმოს ხელმძღვანელისა და მთავარი (უფროსი) ბუღალტრის ხელმოწერით და მათი ბეჭდით დამოწმებული საანგარიშსწორებო ფურცელი დავალიანების ოდენობის აღნიშვნით.

22. დოკუმენტები, რომლებითაც დადგენილი იქნება გაერთიანების, დაწესებულების, ორგანიზაციის, საწარმოს დავალიანება სახვითი ხელოვნების (ფერწერის, ქანდაკების, გრაფიკის) ნაწარმოებთა განახლებისა და გამოცემისათვის ავტორის გასამრჯელოდ, რაც შეტანილ უნდა იქნეს საავტორო უფლებათა სრულიად საკავშირო საგენტოში ან მის განყოფილებაში.

სააღსრულებო წარწერის მისაღებად წარდგენილ უნდა იქნეს გაერთიანების, დაწესებულების, საწარმოს, ორგანიზაციის ხელმძღვანელისა და მთავარი (უფროსი) ბუღალტრის ხელმოწერით და მათი ბეჭდით დამოწმებული საანგარიშსწორებო ფურცელი (საანგარიშგებო უწყისი) დავალიანების ოდენობის აღნიშვნით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

23. დოკუმენტები, რომლებითაც დადგენილი იქნება, რომ სსრ კავშირის ლიტერატურული ფონდის დავალიანება აქვთ:

ა) მხატვრული ლიტერატურის გამომცემლობებს ან ჟურნალის რედაქციებს იმ საავტორო გასამრჯელოს თანხის 10 პროცენტის ოდენობის შენატანებზე, რაც გადახდილია ორიგინალური და თარგმნილი მხატვრული ლიტერატურული ნაწარმოებებისათვის, მათ შორის ლიტერატურათმცოდნეობისა და ლიტერატურულ-კრიტიკული ნამუშევრებისათვის;

ბ) სანახაობით საწარმოებს — დრამატული სპექტაკლების და ლიტერატურული საღამოების ჩატარებისათვის მთლიანი შემოსავლის ანარიცხებზე შემოსავლის 2 პროცენტის ოდენობით, და კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებს (კლუბი, კულტურის სახლი და სხვ.) ან ორგანიზაციებს, რომლებიც სპექტაკლებსა და ლიტერატურულ საღამოებს აწყობენ, — 0,5 პროცენტის ოდენობით.

სააღსრულებო წარწერის მისაღებად წარდგენილ უნდა იქნეს დაწესებულების, საწარმოს, ორგანიზაციის ხელმძღვანელისა და მთავარი (უფროსი) ბუღალტრის ხელმოწერით და მათი ბეჭდით დამოწმებული საანგარიშსწორებო ფურცელი დავალიანების ოდენობის აღნიშვნით.

24. დოკუმენტები, რომლებითაც დადგენილი იქნება, რომ სსრ კავშირის მუსიკალური ფონდის დავალიანება აქვთ:

ა) გამომცემლობებს — იმ საავტორო გასამრჯელოს თანხის 50 პროცენტის ოდენობის შენატანებზე, რასაც იხდიან ხელშეკრულების მიხედვით მუსიკალური ნაწარმოებებისა და მუსიკათმცოდნეობის ნამუშევრების გამოცემისათვის;

ბ) სანახაობით საწარმოებს ან საკონცერტო ორგანიზაციებს — მუსიკალური სპექტაკლების (ოპერა, ოპერეტა და ა. შ.) და საესტრადო კონცერტების მთლიანი შემოსავლის ანარიცხებზე 2 პროცენტის ოდენობით.

სააღსრულებო წარწერის მისაღებად წარდგენილ უნდა იქნეს დაწესებულების, საწარმოს, ორგანიზაციის ხელმძღვანელისა და მთავარი (უფროსი) ბუღალტრის ხელმოწერით და მათი ბეჭდით დამოწმებული საანგარიშსწორებო ფურცელი დავალიანების ოდენობის აღნიშვნით.

25. დოკუმენტები, რომლებითაც დადგენილი იქნება, რომ სსრ კავშირის სამხატვრო ფონდის დავალიანება აქვთ გაერთიანებებს, დაწესებულებებს, საწარმოებს, ორგანიზაციებს იმ გასამრჯელოს თანხის 3 პროცენტის ანარიცხებზე, რასაც უხდიან ყველა სპეციალობის მხატვრებს ყოველგვარი მხატვრული სამუშაოს შესრულებისათვის.

სააღსრულებო წარწერის მისაღებად წარდგენილ უნდა იქნეს გაერთიანების, დაწესებულების, საწარმოს, ორგანიზაციის ხელმძღვანელისა და მთავარი (უფროსი) ბუღალტრის ხელმოწერით და მათი ბეჭდით დამოწმებული საანგარიშსწორებო ფურცელი დავალიანების ოდენობის აღნიშვნით.

26. დოკუმენტები, რომლებითაც დადგენილი იქნება, რომ სსრ კავშირის ჟურნალისტთა ფონდის დავალიანება აქვთ გაზეთის ან ჟურნალის რედაქციებს, გამომცემლობებს, დეპეშათა და საინფორმაციო სააგენტოებს ან ტელევიზიისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

და რადიომაუწყებლობის ორგანოებს გაცემული საავტორო გასამრჯელოს თანხის 0,5 პროცენტის ოდენობით შენატანებზე, გარდა იმ გასამრჯელოსი (ჰონორარისა), რომლისგანაც წარმოებს ანარიცხები ლიტერატურულ, მუსიკალურ და სამხატვრო ფონდებში.

სააღსრულებო წარწერის მისაღებად წარდგენილ უნდა იქნეს დაწესებულების, საწარმოს, ორგანიზაციის ხელმძღვანელისა და მთავარი (უფროსი) ბუღალტრის ხელმოწერით და მათი ბეჭდით დამოწმებული საანგარიშსწორებო ფურცელი დავალიანების თანხის აღნიშვნით.

27. დოკუმენტები, რომლებითაც დადგენილი იქნება, რომ სსრ კავშირის არქიტექტორთა კავშირის არქიტექტურული ფონდის დავალიანება აქვთ საპროექტო ორგანიზაციებს ყველა სახეობის არქიტექტურულ-სამშენებლო დაპროექტებით დასაქმებულ არქიტექტორთა ხელფასის თანხის 10 პროცენტის ოდენობის ანარიცხებზე.

სააღსრულებო წარწერის მისაღებად წარდგენილ უნდა იქნეს საპროექტო ორგანიზაციის ხელმძღვანელისა და მთავარი (უფროსი) ბუღალტრის ხელმოწერით და მათი ბეჭდით დამოწმებული საანგარიშსწორებო ფურცელი დავალიანების თანხის აღნიშვნით.

VIII. რადიოსატრანსლაციო წერტებით სარგებლობისათვის სააბონენტო ქირის დავალიანების გადახდევინება

28. დოკუმენტები, რომლებითაც დადგენილი იქნება მოქალაქეთა დავალიანება რადიოსატრანსლაციო წერტებით სარგებლობისათვის სააბონენტო ქირაზე.

სააღსრულებო წარწერის მისაღებად წარდგენილ უნდა იქნეს გადამხდევინებლის მიერ დამოწმებული მოვალისათვის გაგზავნილი შეტყობინების ასლი დავალიანების თანხისა და მისი გადახდის ვადების შესახებ,, დაუფარავი დავალიანების აღნიშვნით.

IX. საბავშვო დაწესებულებებში ბავშვთა შენახვისათვის მშობელთა დავალიანების გადახდევინება

29. დოკუმენტები, რომლებითაც დადგენილი იქნება მშობელთა ან მათ შემცვლელ პირთა დავალიანება საბავშვო ბაგებში, საბავშვო ბაღებში, საბავშვო ბაგა-ბაღებში და სკოლა-ინტერნატებში ბავშვთა შენახვისათვის.

სააღსრულებო წარწერის მისაღებად წარდგენილ უნდა იქნეს გადამხდევინებლის მიერ დამოწმებული მშობლის ან მისი შემცვლელი პირის სახელზე გახსნილი პირადი ანგარიშის (ბავშვთა შენახვისათვის მშობლებთან ანგარიშსწორების უწყისის) ამონაწერი იმის აღნიშვნით, რომ დავალიანება დაუფარავია წერილობითი გაფრთხილების ჩაბარების შემდეგ ორი კვირის ვადაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

X. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სპეციალურ სკოლებსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის სპეციალურ პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებში ბავშვთა შენახვისათვის მშობელთა დავალიანების გადახდევინება

30. დოკუმენტები, რომლებითაც დადგენილი იქნება მშობელთა დავალიანება საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სპეციალურ სკოლებსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის სპეციალურ პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებში ბავშვთა შენახვისათვის.

სააღსრულებო წარწერის მისაღებად წარდგენილ უნდა იქნეს გადამხდევინებლის მიერ დამოწმებული რაიონულ, საქალაქო საფინანსო განყოფილებებში გახსნილი პირადი ანგარიშის ამონაწერი იმის აღნიშვნით, რომ მშობლებს არ დაუფარავთ დავალიანება სპეციალურ სკოლებსა და სპეციალურ პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებში ბავშვთა შენახვისათვის დავალიანების დაფარვის თაობაზე წერილობითი გაფრთხილების შემდეგ.

XI. წიგნის დაუბრუნებლობისათვის სახელმწიფო, კოოპერაციული და საზოგადოებრივი ბიბლიოთეკების მოთხოვნით დავალიანების გადახდევინება

31. სახელმწიფო, კოოპერაციული და საზოგადოებრივი ბიბლიოთეკების მოთხოვნები მკითხველთა მიერ დაუბრუნებელი წიგნების ხუთმაგი ღირებულების გადახდევინების შესახებ.

სააღსრულებო წარწერის მისაღებად წარდგენილ უნდა იქნეს:

ა) დოკუმენტი, რომლითაც დადგენილი იქნება, რომ მკითხველმა ბიბლიოთეკიდან წაიღო წიგნი, ამასთან აღინიშნება, რომ არ დუბრუნებია იგი იმ წერილობითი გაფრთხილების შემდეგ, რომ წიგნის დაუბრუნებლობის შემთხვევაში გადაახდევინებდნენ ხუთმაგ ღირებულებას;

ბ) ბიბლიოთეკის საინვენტარო დავთრის ამონაწერი დაუბრუნებელი წიგნის ღირებულების შესახებ ან ბუკინისტური მაღაზიის ცნობა იმ შემთხვევებში, როცა დაუბრუნებელი წიგნი ბიბლიოგრაფიულ იშვიათობას წარმოადგენს.

XII. დავალიანების გადახდევინება შინაგან საქმეთა ორგანოების მოთხოვნით

32. გამასწორებელი სამუშაოების შესრულების გამგებელ ორგანოთა მოთხოვნები იმ გაერთიანების, დაწესებულების, საწარმოს, ორგანიზაციის სახსრებზე გადახდევინების მიქცევის შესახებ, რომლებმაც ათ დღეზე მეტი ხნით დააყოვნეს იმ მუშა-მოსამსახურეთა ხელფასიდან დაკავებული თანხების გადარიცხვა, ვინც გამასწორებელ სამუშაოს იხდის მოცემულ გაერთიანებაში, დაწესებულებაში, ორგანიზაციაში, საწარმოში.

სააღსრულებო წარწერის მისაღებად წარდგენილ უნდა იქნეს:

ა) გამასწორებელი სამუშაოების შესრულების გამგებელი ორგანოს მიერ იმ პირის სამუშაო ადგილზე გაგზავნილი შეტყობინების ასლი, რომელიც გამასწორებელ სამუშაოს იხდის;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ) გაერთიანების, დაწესებულების, ორგანიზაციის, საწარმოს ცნობა იმის შესახებ, რომ მოცემული თვის განმავლობაში, რომლის მიხედვით უნდა მოხდეს დაკავება, გამასწორებელი სამუშაოს მომხდელი პირი მუშაობდა აღნიშნულ გაერთიანებაში, დაწესებულებაში, საწარმოში, ორგანიზაციაში და მის მიერ ამ დროის განმავლობაში მიღებული ხელფასის ოდენობის შესახებ.

33. დოკუმენტები, რომლებითაც დადგენილი იქნება დავალიანება გამოსაფხიზლებელში მიყვანილ პირთათვის სამედიცინო დახმარების აღმოჩენის გამო.

სააღსრულებო წარწერის მისაღებად წარდგენილ უნდა იქნეს მოვალის მიერ გადასახდელი თანხის ანგარიშის ასლი, მისი ხელწერილით იმის შესახებ, რომ მიიღო ამ ანგარიშის პირველი ეგზემპლარი.

34. დოკუმენტები, რომლებითაც დადგენილი იქნება რიგითი და მეთაურთა შემადგენლობის პირთა დავალიანება ჩადენილი დანაშაულისათვის მათ მსჯავრდადებასთან დაკავშირებით ან მათი წოდების სახელგამტეხი გადაცდენის დაშვებასთან დაკავშირებით შინაგან საქმეთა ორგანოებიდან დათხოვნისას, აგრეთვე რიგითი და უმცროს მეთაურთა შემადგენლობის პირთა დათხოვნისას იმ ვადაზე ადრე, რომლითაც ჩარიცხული არიან ისინი სამსახურში, დისციპლინის დარღვევის დაშვებისათვის ან სამსახურებრივი შეუფერხებლობის გამო, მათთვის მიცემული ფორმის ტანსაცმლის ღირებულების მიხედვით, ფორმის ტანსაცმლის ტარების ვადის დამთავრებამდე დარჩენილი დროის პროპორციულად გამოანგარიშებული თანხით.

სააღსრულებო წარწერის მისაღებად წარდგენილ უნდა იქნეს შინაგან საქმეთა ორგანოს, დაწესებულების, სასწავლებლის ცნობა გადასახდევინებელი დავალიანების თანხის შესახებ.

XIII. საყოფაცხოვრებო გაქირავების ხელშეკრულების მიხედვით მოქალაქეთათვის მიცემული ქონებით სარგებლობისათვის მათთან დავალიანების გადახდევინება

35. დოკუმენტები, რომლებითაც დადგენილი იქნება, რომ მოქალაქეებს აქვთ დავალიანება სახელმწიფო, კოოპერაციული და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიერ მათთვის მიცემული საოჯახო საგნებით, მუსიკალური ინსტრუმენტებით, სპორტული ინვენტარითა და პირადი სარგებლობის სხვა ქონებით სარგებლობისათვის (საყოფაცხოვრებო გაქირავება).

სააღსრულებო წარწერის მისაღებად წარდგენილ უნდა იქნეს საყოფაცხოვრებო გაქირავების ხელშეკრულების ასლი, ხოლო თუ გასაქირავებელი საგნის ღირებულება 50 მანეთზე ნაკლებია, — ქვითრის ასლი დავალიანების დაფარვის შესახებ წერილობითი გაფრთხილების შემდეგ გადასახდევინებელი თანხის აღნიშვნით.

XIV. დავალიანების გადახდევინება საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ორგანოების მოთხოვნით

36. დოკუმენტები, რომლებითაც დადგენილი იქნება დავალიანება იმ პირთა მკურნალობისათვის, რომლებმაც მიიღეს სხეულის დაზიანება ხულიგნური ან სხვა დანაშაულებრივი მოქმედების ჩადენის დროს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სააღსრულებო წარწერის მისაღებად წარდგენილ უნდა იქნეს:

ა) სამკურნალო დაწესებულების ხელმძღვანელისა და ბუღალტრის ხელმოწერით, აგრეთვე მათი ბეჭდით დამოწმებული ანგარიში იმ პირის მკურნალობისათვის, რომელმაც მიიღო სხეულის დაზიანება ხულიგნური ან სხვა დანაშაულებრივი მოქმედების ჩადენის დროს;

ბ) სამკურნალო დაწესებულების წინადადების ასლი დავალიანების გადახდის შესახებ მოვალის ხელწერილით, რომ მიიღო წინადადება.

XV. თადარიგში დათხოვნისას ან სამსახურიდან გადადგომისას სამხედრო მოსამსახურეებისა და სასწავლო შეკრებებზე გაწვეულ სამხედრო ვალდებულთათვის დავალიანების გადახდევინება

37. დოკუმენტები, რომლებითაც დადგენილი იქნება ზევადიანი სამსახურის სამხედრო მოსამსახურეთა, პრაპორშჩიკთა, მიჩმანთა, ოფიცერთა, გენერალთა, ადმირალთა, აგრეთვე შინაგან საქმეთა ორგანოების რიგითი და მეთაურთა შემადგენლობის დავალიანება, რომელთაც დაეკისრათ დადგენილი წესით მატერიალური პასუხისმგებლობა სახელმწიფოსათვის მიყენებული ზარალის გამო, თადარიგში დათხოვნის ან სამსახურიდან გადადგომის დღისათვის მათზე დარჩენილი დავალიანების ოდენობით.

სააღსრულებო წარწერის მისაღებად წარდგენილ უნდა იქნეს სსრ კავშირის თავდაცვის სამინისტროს სამხედრო ნაწილის, დაწესებულების, სასწავლებლის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის სამხედრო ნაწილის, დაწესებულების, სასწავლებლის, ორგანოს, სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს სამხედრო ნაწილის, დაწესებულების, სასწავლებლის, ორგანოს ცნობა გადასახდევინებელი დავალიანების თანხის შესახებ.

38. დოკუმენტები, რომლებითაც დადგენილი იქნება სასწავლო შეკრებებზე გაწვეულ სამხედრო ვალდებულებათა დავალიანება, რომელთაც დაეკისრათ დადგენილი წესით მატერიალური პასუხისმგებლობა სახელმწიფოსათვის მიყენებული ზარალის გამო.

სააღსრულებო წარწერის მისაღებად წარდგენილ უნდა იქნეს:

ა) დამნაშავის წერილობითი თანხმობა მიყენებული ზარალის ანაზღაურების შესახებ;

ბ) სსრ კავშირის თავდაცვის სამინისტროს სამხედრო ნაწილის, დაწესებულების, სასწავლებლის ცნობა გადასახდევინებელი დავალიანების თანხის შესახებ.

XVI. დავალიანების გადახდევინება პრაპორშჩიკებისა და მიჩმანებისათვის ნამდვილი სამხედრო სამსახურიდან მათი დათხოვნისას ჩადენილი დანაშაულისათვის მსჯავრდადებასთან დაკავშირებით (მათ შორის პირობით მსჯავრდადებასთან დაკავშირებით) და სამხედრო მოსამსახურის წოდების სახელგამტეხი გადაცდენის დაშვებასთან დაკავშირებით

39. დოკუმენტები, რომლებითაც დადგენილი იქნება პროპორშჩიკთა და მიჩმანთა დავალიანება ჩადენილი დანაშაულისათვის მსჯავრდადებასთან დაკავ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

შირებით (მათ შორის პირობით მსჯავრდადებასთან დაკავშირებით) და სამხედრო მოსამსახურის წოდების სახელგამტეხი გადაცდენის დაშვებასთან დაკავშირებით ნამდვილი სამხედრო სამსახურიდან მათი დათხოვნისას იმ ვადაზე ადრე, რომლითაც ისინი ჩარიცხული იყვნენ ნამდვილ სამხედრო სამსახურში, პირვანდელი მოწყობის ერთდროული დახმარების და მათთვის მიცემული ფორმის ტანსაცმლის ღირებულებისათვის სამსახურის ვადის (ფორმის ტანსაცმლის ტარების ვადის) დამთავრებამდე დარჩენილი დროის პროპორციულად გამოანგარიშებული თანხით.

სააღსრულებო წარწერის მისაღებად წარდგენილ უნდა იქნეს სსრ კავშირის თავდაცვის სამინისტროს სამხედრო ნაწილის, დაწესებულების, სასწავლებლის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის სამხედრო ნაწილის, დაწესებულების, სასწავლებლის, ორგანოს, სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს ჯარების სამხედრო ნაწილის, დაწესებულების, სასწავლებლის ცნობა გადასახდევინებელი დავალიანების თანხის შესახებ.

XVII. ჯარიმის გადახდევინება ტომრის ტარის არადროული დაბრუნებისათვის

40. პურპროდუქტების, შაქრისა და სასოფლო-სამეურნეო კულტურების თესლის მიმწოდებელთა მიერ მყიდველთათვის წარდგენილი გაუნაღდებელი ანგარიშები ტომრის ტარის არადროული დაბრუნებისათვის ჯარიმის თანხის ოდენობით.

სააღსრულებო წარწერის მისაღებად წარდგენილ უნდა იქნეს:

ა) მიმწოდებლის მიერ წარმოებული მყიდველის პირადი ანგარიში ტომრების გამო მისი დავალიანების მდგომარეობის შესახებ;

ბ) ტარის დავალიანების ურთიერთანგარიშსწორების შეჯერების აქტის ასლი ან ცნობა იმის შესახებ, რომ მყიდველის წარმომადგენელი არ გამოცხადდა აღნიშნული აქტის შესადგენად;

გ) მყიდველისათვის გაგზავნილი შეტყობინების ასლი, რომ მას დაეკისრა ჯარიმა ტომრების არადროული დაბრუნებისათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1976 წლის 26 ივლისის № 513
დადგენილებით

ნუსხა

საქართველოს სსრ მთავრობის ძალადაკარგული გადაწყვეტილებებისა

1. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1954 წლის 23 აგვისტოს № 766 დადგენილება „იმ საბუთების ნუსხის შესახებ, რომლებითაც გადახდევინება წარმოებს სანოტარო ორგანოთა სააღსრულებო წარწერების საფუძველზე“.

2. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1955 წლის 26 აგვისტოს № 474 დადგენილება „იმ საბუთების ნუსხის შესახებ, რომლებითაც გადახდევინება წარმოებს სანოტარო ორგანოთა სააღსრულებო წარწერების საფუძველზე, 35-ე მუხლის დამატების თაობაზე“.

3. მე-2 პუნქტი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1960 წლის 9 აპრილის № 213 დადგენილებისა „მუშა-მოსამსახურეებისათვის საქონლის ნისიად მიყიდვის დროს საცალო საქონელბრუნვის შესახებ“.

4. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1961 წლის 27 მაისის № 318 დადგენილება „იმ საბუთების ნუსხის შევსების შესახებ, რომელთა მიხედვითაც დავალიანების გადახდევინება წარმოებს სანოტარო ორგანოების სააღსრულებო წარწერების საფუძველზე“.

5. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 10 აპრილის № 235 დადგენილება „იმ დოკუმენტების ნუსხის დამატების შესახებ, რომლებითაც გადახდევინება წარმოებს სანოტარო ორგანოების აღსრულებითი წარწერის საფუძველზე“.

6. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 2 აგვისტოს № 505 დადგენილება „იმ საბუთების ნუსხის დამატების შესახებ, რომლებითაც გადახდევინება წარმოებს სანოტარო ორგანოების სააღსრულებო წარწერების საფუძველზე“.

7. მე-2 პუნქტი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1965 წლის 12 ივლისის № 433 დადგენილებისა „საყოფაცხოვრებო გაქირავებისა და საყოფაცხოვრებო შეკვეთის ტიპობრივი ხელშეკრულებების დამტკიცებისა და იმ დოკუმენტების ნუსხის დამატების შესახებ, რომლებითაც გადახდევინება წარმოებს სანოტარო ორგანოების აღსრულებითი წარწერების საფუძველზე“.

8. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1966 წლის 27 მაისის № 318 დადგენილება „იმ საბუთების ნუსხის დამატების შესახებ, რომლებითაც გადახდევინება წარმოებს სანოტარო ორგანოების სააღსრულებო წარწერების საფუძველზე“.

9. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1967 წლის 31 მარტის № 214 დადგენილება „იმ დოკუმენტების ნუსხის დამატების შესახებ, რომელთა მიხედვითაც გადახდევინება წარმოებს სანოტარო ორგანოების აღსრულებითი წარწერების საფუძველზე“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

10. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1969 წლის 4 აგვისტოს № 470 დადგენილება „იმ დოკუმენტების ნუსხის დამატების შესახებ, რომლებითაც გადახდევინება წარმოებს სანოტარო ორგანოების აღსრულებითი წარწერების საფუძველზე“.

11. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1971 წლის 30 ნოემბრის № 575 დადგენილება „იმ დოკუმენტების ნუსხის დამატების შესახებ, რომლებითაც გადახდევინება წარმოებს სანოტარო ორგანოების აღსრულებითი წარწერების საფუძველზე“.

12. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1972 წლის 22 მარტის № 128 დადგენილება „იმ საბუთების ნუსხის დამატების შესახებ, რომლებითაც გადახდევინება წარმოებს სანოტარო ორგანოების აღსრულებითი წარწერების საფუძველზე“.

13. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1972 წლის 2 ნოემბრის № 564 დადგენილება „საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1954 წლის 23 აგვისტოს № 766 დადგენილების დამატების შესახებ“.

14. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1975 წლის 5 ივნისის № 375 დადგენილება „საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1954 წლის 23 აგვისტოს № 766 დადგენილების დამატების შესახებ“

ეროვნული ბიბლიოთეკა

55 სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1976 წლის 5 მაისის № 296 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებათა ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ

„სოფლის მეურნეობის მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვის საკითხებზე სსრ კავშირის მთავრობის ზოგიერთი გადაწყვეტილების ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1976 წლის 5 მაისის № 296 დადგენილების შესაბამისად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. ძალადაკარგულად ჩაითვალოს:

— 1-ლი, მე-2, მე-4, მე-5, მე-11, მე-13, მე-17-19 პუნქტები საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1957 წლის 12 იანვრის № 7 დადგენილებისა „საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მომარაგების გაუმჯობესებისა და მოწესრიგების ზომების შესახებ“;

— მე-4 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 30 მაისის № 436 დადგენილებისა „ავტომობილების, ტრაქტორებისა და სასოფლო-სამეურნეო მანქანების სათადარიგო ნაწილების, აგრეთვე ავტოსატრაქტორო ელექტრომოწყობილობისა და ამ მანქანების რემონტისათვის საჭირო ნაკეთობათა ვაჭრობის ერთიანი სისტემის დაწესების შესახებ“;

— მე-3 პუნქტი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1965 წლის 18 მარტის № 160 დადგენილებისა „სოფლის მეურნეობაში მცენარეთა დაცვის ქიმიურ საშუალებათა გამოყენების გაფართოებასთან დაკავშირებით მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ღონისძიებათა შესახებ“;

მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 3 აგვისტოს № 514 დადგენილებისა გაერთიანება „საქსოფლტექნიკის“ საწარმოების მიერ ტექნიკის რემონტის საპრეისკურანტო ფასების გადიდებისა და კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ანგარიშში მოტყუების ფაქტების შესახებ“ კაპიტალური რემონტის ერთიანი ფასების ნაწილში.

2. მიღებულ იქნეს ცნობად, რომ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1976 წლის 5 მაისის № 296 დადგენილებით ძალადაკარგულად ჩაითვალა მე-14 პუნქტის მესამე აბზაცი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1968 წლის 10 ოქტომბრის № 790 დადგენილებისა „მოქალაქეთა კუთვნილი სატრანსპორტო საშუალებების ტექნიკური მომსახურებისა და რემონტის ორგანიზაციის გაუმჯობესების ზომების შესახებ“, რომელიც დაგზავნილია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1969 წლის 31 მარტის № 176 დადგენილებით.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **შ. კიკნაძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **რ. შანიძე.**

ქ. თბილისი, 1976 წ. 26 ივლისი, № 514

ეროვნული ბიბლიოთეკა

56 საქართველოს სსრ განსაკუთრებული სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ან განსაკუთრებული სამეცნიერო თუ კულტურული ღირებულების წყლის ობიექტებით სარგებლობის ნაწილობრივ ან მთლიანად აკრძალვის წესის შესახებ

„განსაკუთრებული სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ან განსაკუთრებული სამეცნიერო თუ კულტურული ღირებულების წყლის ობიექტებით სარგებლობის ნაწილობრივ ან მთლიანად აკრძალვის წესის შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1976 წლის 11 ივნისის № 452 დადგენილების შესაბამისად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დაევალოთ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბუნების დაცვის სახელმწიფო კომიტეტს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტს, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიას, საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროსა და საქართველოს შავი ზღვის აუზის თევზის მარაგის დაცვის, კვლავწარმოებისა და თევზჭერის რეგულირების სამმართველოს საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროსთან, საქართველოს სსრ ენერგეტიკისა და ელექტრიფიკაციის მთავარ საწარმოო სამმართველოსთან, ამიერკავკასიის სასაზღვრო ოლქთან, საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროსთან, საქართველოს თევზის მრეწველობის საწარმოო გაერთიანებასთან და სხვა დაინტერესებულ ორგანიზაციებთან ერთად 1976 წლის ბოლომდე დააწესონ რესპუბლიკის განსაკუთრებული სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ან განსაკუთრებული სამეცნიერო თუ კულტურული ღირებულების იმ წყლის ობიექტების (ან მათი ნაწილების) ნუსხა, რომლებითაც სარგებლობა ნაწილობრივ ან მთლიანად აკრძალვას ექვემდებარება.

აღნიშნული ობიექტების განსაზღვრისას მხედველობაში იქონიონ, რომ რესპუბლიკის წყლის ობიექტებით სარგებლობის ნაწილობრივ ან მთლიანად აკრძალვა ხდება გაჭუჭყიანების, დანაგვიანებისა და დაშრობისაგან ამ ობიექტების დაცვის, მათი ჰიდროლოგიური, ჰიდრობიოლოგიური, ჰიდროქიმიური და ჰიდროგეოლოგიური რეჟიმების შენარჩუნების მიზნით იმ შემთხვევებში, როცა აღნიშნული რეჟიმების შეცვლამ შეიძლება არაკეთილსასურველად იმოქმედოს მინერალური წყლების მარაგსა და სამკურნალო თვისებებზე, კურორტების ბუნებრივ პირობებზე, ცხოველთა და მცენარეთა სამყაროს განვითარებაზე, ბუნებისა და კულტურის ძეგლების და ნაკრძალების დაცვა-შენარჩუნებაზე, აგრეთვე სახელმწიფო საზღვრის დაცვის უზრუნველსაყოფად და სხვა სახელმწიფოებრივი საჭიროებისათვის.

2. მიღებულ იქნეს ცნობად, რომ „განსაკუთრებული სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ან განსაკუთრებული სამეცნიერო თუ კულტურული ღირებულების წყლის ობიექტებით სარგებლობის ნაწილობრივ ან მთლიანად აკრძალვის წესის შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1976 წლის 11 ივნისის № 452 დადგენილებით დაწესებულია, რომ წყლის ობიექტებზე (ან მათ ნაწი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლებზე), რომლებითაც სარგებლობა მთლიანად აკრძალულია, არ დაიშვება საქმიანობა წყლისა და სხვა ბუნებრივი რესურსების გამოსაყენებლად.

აღნიშნულ წყლის ობიექტებზე დადგენილი წესით ნებადართულია სამეცნიერო-კვლევით სამუშაოთა და წყლის მდგომარეობის გაუმჯობესებისა და მისი დაცვის უზრუნველყოფის სამუშაოთა განხორციელება. ამ მიზნით წყლის ობიექტები (ან მათი ნაწილები) შეიძლება გადაეცეთ განკერძოებული სარგებლობისათვის საწარმოებს, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს განსაზღვრული ვადით ან უვადოდ.

დასაშვებია აგრეთვე აღნიშნული წყლის ობიექტებით სარგებლობა სახელმწიფო საზღვრის დაცვის უზრუნველსაყოფად, ხანძარსაწინააღმდეგო საჭიროებისათვის, სტიქიური უბედურების თავიდან აცილებისა და ლიკვიდაციის ღონისძიებათა განხორციელებისათვის.

წყლის ობიექტებზე (ან მათ ნაწილებზე), რომლებითაც სარგებლობა ნაწილობრივ აკრძალულია, არ დაიშვება (მუდმივად ან განსაზღვრულ პერიოდებში) ცალკეულ სახეობათა საქმიანობა წყლისა და სხვა ბუნებრივი რესურსების გამოსაყენებლად.

3. დაეგზავნოთ რესპუბლიკის სამინისტროებს, უწყებებსა და ორგანიზაციებს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1976 წლის 11 ივნისის № 452 დადგენილება „განსაკუთრებული სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ან განსაკუთრებული სამეცნიერო თუ კულტურული ღირებულების წყლის ობიექტებიან სარგებლობის ნაწილობრივ ან სრულად აკრძალვის წესის შესახებ“.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **შ. კიკნაძე**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **რ. შანიძე**.

ქ. თბილისი, 1976 წ. 31 ივლისი, № 538

ეროვნული ბიბლიოთეკა

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო

დადგენილება № 452

1976 წლის 11 ივნისი

მოსკოვი, კრემლი

განსაკუთრებული სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ან განსაკუთრებული სამეცნიერო თუ კულტურული ღირებულების წყლის ობიექტებით სარგებლობის ნაწილობრივ ან მთლიანად აკრძალვის წესის შესახებ

სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების წყლის კანონმდებლობის საფუძვლების შესაბამისად სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დაწესდეს, რომ განსაკუთრებული სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ან განსაკუთრებული სამეცნიერო თუ კულტურული ღირებულების წყლის ობიექტებით სარგებლობის ნაწილობრივ ან მთლიანად აკრძალვა ხდება გაჭუჭყიანების, დანაგვიანებისა და დაშრობისაგან ამ ობიექტების დაცვის, მათი ჰიდროლოგიური, ჰიდრობიოლოგიური, ჰიდროქიმიური და ჰიდროგეოლოგიური რეჟიმების შენარჩუნების მიზნით იმ შემთხვევებში, როცა აღნიშნული რეჟიმების შეცვლამ შეიძლება არაკეთილსასურველად იმოქმედოს მინერალური წყლების მარაგსა და სამკურნალო თვისებებზე, კურორტების ბუნებრივ პირობებზე, ცხოველთა და მცენარეთა სამყაროს განვითარებაზე, ბუნებისა და კულტურის ძეგლების და ნაკრძალების დაცვა-შენარჩუნებაზე, აგრეთვე სახელმწიფო საზღვრის დაცვის უზრუნველსაყოფად და სხვა სახელმწიფოებრივი საჭიროებისათვის.

2. წყლის ობიექტებზე (ან მათ ნაწილებზე), რომლებითაც სარგებლობა მთლიანად აკრძალულია, არ დაიშვება საქმიანობა წყლისა და სხვა ბუნებრივი რესურსების გამოსაყენებლად.

აღნიშნულ წყლის ობიექტებზე დადგენილი წესით ნებადართულია სამეცნიერო-კვლევით სამუშაოთა და წყლის მდგომარეობის გაუმჯობესებისა და მისი დაცვის უზრუნველყოფის სამუშაოთა განხორციელება. ამ მიზნით წყლის ობიექტები (ან მათი ნაწილები) შეიძლება გადაეცეთ განკერძოებული სარგებლობისათვის საწარმოებს, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს ვადით ან უვადოდ.

დასაშვებია აგრეთვე აღნიშნული წყლის ობიექტებით სარგებლობა სახელმწიფო საზღვრის დაცვის უზრუნველსაყოფად, ხანძარსაწინააღმდეგო საჭიროებისათვის, სტიქიური უბედურების თავიდან აცილებისა და ლიკვიდაციის ღონისძიებათა განხორციელებისათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წყლის ობიექტებზე (ან მათ ნაწილებზე), რომლებითაც სარგებლობა ნაწილობრივ აკრძალულია, არ დაიშვება (მუდმივად ან განსაზღვრულ პერიოდებში) ცალკეულ სახეობათა საქმიანობა წყლისა და სხვა ბუნებრივი რესურსების გამოსაყენებლად.

3. დაწესდეს, რომ განსაკუთრებული სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ან განსაკუთრებული სამეცნიერო თუ კულტურული ღირებულების იმ წყლის ობიექტებით სარგებლობის ნაწილობრივ ან მთლიანად აკრძალვა, რომლებითაც სარგებლობის რეგულირება სსრ კავშირის კომპეტენციას განეკუთვნება, ხდება სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ, ხოლო სსრ კავშირის კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში — სხვა კომპეტენტური ორგანოების მიერ.

იმ წყლის ობიექტებით სარგებლობის ნაწილობრივ ან მთლიანად აკრძალვა, რომლებითაც სარგებლობის რეგულირება მოკავშირე რესპუბლიკების კომპეტენციას განეკუთნება, ხდება მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების მიერ განსაზღვრული წესით.

ორი ან რამდენიმე მოკავშირე რესპუბლიკის ფარგლებში განლაგებული იმ წყლის ობიექტებით სარგებლობის ნაწილობრივ ან მთლიანად აკრძალვა, რომლებითაც სარგებლობის რეგულირება სსრ კავშირის კომპეტენიციას არ განეკუთვნება, ხდება დაინტერესებული მოკავშირე რესპუბლიკების კომპეტენტურ ორგანოთა შორის შეთანხმებით.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ა. კოსიგინი.**

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **მ. სმირტიუკოვი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

57 **რესპუბლიკის კოლმეურნეობებისა და საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს საბჭოთა მეურნეობების და საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტის საბჭოთა მეურნეობებისა და საწარმოების მიერ ხილისა და კენკრის სულფიდირებული წვენების გამოშვებისა და რეალიზაციის შესახებ**

„რესპუბლიკაში ხილ-კენკრეულის ღვინოების წარმოების შემდგომი განვითარების შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1974 წლის 9 აგვისტოს № 455 დადგენილების მე-7 პუნქტის შესაცვლელად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. იმის გამო, რომ რესპუბლიკის კოლმეურნეობები, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს საბჭოთა მეურნეობები და საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტის საბჭოთა მეურნეობები და საწარმოები ვერ უზრუნველყოფენ ხილისა და კენკრის დადუღებული წვენების გამოშვებას, ხოლო საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტრო სულფიდირებულ წვენებს არ იღებს, ნება დაერთოთ მათ ხილისა და კენკრის სულფიდირებული წვენები გაიტანონ რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ წინასწარ გაფორმებული ხელშეკრულებების მიხედვით.

2. საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრომ და საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტმა დასახონ და განახორციელონ ღონისძიებები კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებსა და საკოლმეურნეობათაშორისო ორგანიზაციებში დამხმარე საწარმოების ტექნიკური აღჭურვილობის გაუმჯობესებისათვის, დროულად წარადგინონ განაცხადები საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტში ტექნოლოგიური მოწყობილობისა და დადუღებული წვენების გამოშვებისათვის საჭირო კომპონენტების ფონდების გამოყოფის შესახებ იმ ანგარიშით, რომ უახლოეს 2-3 წელიწადში უზრუნველყონ პროდუქციის გამოშვება ტექნოლოგიური ციკლის სრული დაცვით.

3. საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრომ და საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის სახელმწიფოკომიტეტმა შესაბამისი რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებთან ერთად დააწესონ მკაცრი კონტროლი სულფიდირებული წვენების გატანისადმი, არ დაუშვან დარღვევები და დამახინჯებები ამ საქმეში.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე Ш. КИКНАДЗЕ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **Р. ШАНИДЗЕ.**

ქ. თბილისი, 1976 წ. 31 ივლისი, № 539

ეროვნული ბიბლიოთეკა

58 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1949 წლის 26 მარტის № 290 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ

საქართველოს სსრ მიწის კოდექსის 88-ე მუხლის შესაბამისად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

„მუშა-მოსამსახურეთა კოლექტიური და ინდივიდუალური მებაღეობისა და მებოსტნეობის შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1949 წლის 26 მარტის № 290 დადგენილებაში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებანი:

ა) დადგენილების სათაურსა და ტექსტში ამოღებულ იქნეს სიტყვა „ინდივიდუალური“;

ბ) პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტში სიტყვები „ვადით 5 წლამდე“ შეიცვალოს სიტყვებით: „დროებით სარგებლობაში“;

გ) მეცხრე პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტში სიტყვა „0,15 ჰექტარს“ შეიცვალოს სიტყვებით „600 კვ. მეტრს“.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ზ. პატარიძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1976 წ. 6 აგვისტო, № 545

59 ერთპიროვნული გლეხური მეურნეობის საყანე და საკარმიდამო მიწის ნაკვეთით სარგებლობის წესისა და ოდენობის განსაზღვრის შესახებ

საქართველოს სსრ მიწის კოდექსის 83-ე მუხლის შესაბამისად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. ერთპიროვნული გლეხური მეურნეობისათვის დაწესდეს მიწით სარგებლობის შემდეგი ნორმები:

საყანე მიწის ნაკვეთი — 0,25 ჰექტარამდე, საკარმიდამო მიწის ნაკვეთი — 0,15 ჰექტარამდე, ხოლო სუბტროპიკული კულტურების გავრცელების ადგილებში საკარმიდამო მიწის ნაკვეთი არ უნდა აღემატებოდეს 0,08 ჰექტარს;

ერთპიროვნულ გლეხურ მეურნეობას მიწის ნაკვეთი ეძლევა საცხოვრებელი სახლის, სამეურნეო ნაგებობათა ასაშენებლად და სოფლის მეურნეობის საჭიროებისათვის, ნაკვეთის ზომაში შედის ნაგებობით დაკავებული ფართობიც.

2. საყანე და საკარმიდამო მიწის ნაკვეთი არ შეიძლება სარგელობისათვის გადაეცეს სხვა პირს და დამუშავდეს დაქირავებული შრომის გამოყენებით.

3. კოლმეურნეობაში, საბჭოთა მეურნეობაში, სახელმწიფო ან საზოგადოებრივ ორგანიზაციაში ერთპიროვნული მეურნეობის ნებაყოფლობით მუშაობის დაწყების შემთხვევაში, ერთპიროვნული მეურნეობა შეწყდება და საყანე

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიწის ნაკვეთი ჩამოერთმევა, ხოლო საკარმიდამო მიწის ნაკვეთი მიეცემა საკოლმეურნეო კომლისათვის ან მუშა-მოსამსახურეებისათვის საქართველოს სსრ მიწის კოდექსით განსაზღვრული ოდენობით.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ზ. პატარიძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1976 წ. 6 აგვისტო, № 547

60 საქართველოს სსრ კოლმეურნეობებში შრომის ანაზღაურების რეკომენდაციების დამტკიცების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დამტკიცდეს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და საქართველოს სოფლის მეურნეობის ეკონომიკისა და ორგანიზაციის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მიერ შემუშავებული და სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შრომისა და ხელფასის საკითხთა სახელმწიფო კომიტეტთან შეთანხმებული რეკომენდაციები საქართველოს სსრ კოლმეურნეობებში შრომის ანაზღაურების შესახებ.

2. ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ კოლმეურნეობებში შრომის ანაზღაურების რეკომენდაციები, რომლებიც დამტკიცებულია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1966 წლის 29 ივნისის № 376 დადგენილებით (მე-40 და 45-ე პუნქტების გარდა) და 1969 წლის 20 თებერვლის № 84 დადგენილებით „საქართველოს სსრ კოლმეურნეობათა შრომის ანაზღაურების რეკომენდაციებში დამატებებისა და ცვლილებების შეტანის შესახებ“ („ბ“ და „გ“ პუნქტების გარდა).

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ზ. პატარიძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **რ. შანიძე.**

ქ. თბილისი, 1976 წ. 7 აგვისტო, № 549

ეროვნული ბიბლიოთეკა

61 მშრომელთა დეპუტატების საქალაქო, სადაბო, სასოფლო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების მიერ სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე

„სახელმწიფო ნოტარიატის შესახებ“ საქართველოს სსრ კანონის მე-14 მუხლის საფუძველზე საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დამტკიცდეს საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს მიერ წარმოდგენილი ინსტრუქცია მშრომელთა დეპუტატების საქალაქო, სადაბო, სასოფლო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების მიერ სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესის შესახებ.

2. ძალადაკარგულად ჩაითვალოს:

— საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1967 წლის 19 დეკემბრის № 748 დადგენილება „მშრომელთა დეპუტატების რაიონული, საქალაქო, სადაბო და სასოფლო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების მიერ სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე;“

— საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1969 წლის 6 ნოემბრის № 637 დადგენილება „საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1967 წლის 19 დეკემბრის № 748 დადგენილებით დამტკიცებულ „მშრომელთა დეპუტატების რაიონული, საქალაქო, სადაბო და სასოფლო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების მიერ სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესის შესახებ ინსტრუქციაში დამატების შეტანის თაობაზე“.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **შ. კიკნაძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1976 წ. 9 აგვისტო № 562

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1976 წლის 9 აგვისტოს № 562
დადგენილებით

ინსტრუქცია

მშრომელთა დეპუტატების საქალაქო, სადაბო, სასოფლო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების მიერ სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესის შესახებ

კარი I

ზოგადი დებულებანი

1. სახელმწიფო ნოტარიატის შესახებ საქართველოს სსრ კანონის მე-14 მუხლის შესაბამისად დასახლებულ პუნქტებში, სადაც სახელმწიფო სანოტარო კანტორები არ არის, მშრომელთა დეპუტატების საქალაქო, სადაბო, სასოფლო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები ასრულებენ შემდეგ სანოტარო მოქმედებებს:

ა) ადასტურებენ ანდერძებს;

ბ) ადასტურებენ სხვა გარიგებებს (ხელშეკრულებებს, რწმუნებულებებს და სხვა), გარდა ხელშეკრულებებისა, რომლებიც ეხება ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების ასაშენებლად მიწის ნაკვეთების უვადო სარგებლობაში გაცემას, და გარიგებებისა, რომლებიც ეხება საზღვარგარეთ არსებულ ქონებას, ან უფლებებს, რომლებიც საზღვარგარეთ უნდა განხორციელდეს;

გ) იღებენ ზომებს სამკვიდრო ქონების დასაცავად;

დ) ყადაღას ადებენ საცხოვრებელი სახლის გასხვისებას;

ე) ამოწმებენ დოკუმენტების ასლებისა და ამონაწერების დედნებთან სისწორეს;

ვ) ამოწმებენ დოკუმენტებზე ხელმოწერის ნამდვილობას;

ზ) გადასცემენ მოქალაქეთა, სახელმწიფო დაწესებულებათა, საწარმოთა და ორგანიზაციათა, კოლმეურნეობათა და სხვა კოოპერაციულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა განცხადებებს სხვა მოქალაქეებს, სახელმწიფო დაწესებულებებს, საწარმოებსა და ორგანიზაციებს, კოლმეურნეობებსა და სხვა კოოპერაციულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს;

თ) ადასტურებენ მოქალაქის ცოცხლად ყოფნის ფაქტს;

ი) ადასტურებენ მოქალაქის განსაზღვრულ ადგილას ყოფნის ფაქტს;

კ) შესანახად იღებენ დოკუმენტებს.

2. სანოტარო მოქმედებას მშრომელთა დეპუტატების საქალაქო, სადაბო, სასოფლო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებში ასრულებს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე, თავმჯდომარის მოადგილე ან მდივანი, რომელთაც მშრომელთა დეპუტატების შესაბამისი საბჭოს აღმასრულებელი კომიტე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტის გადაწყვეტილებით დაკისრებული აქვს სანოტარო მოქმედებათა შესრულება.[1]

3. სახელმწიფო ნოტარიატის შესახებ საქართველოს სსრ კანონის მე-6 მუხლის შესაბამისად მშრომელთა დეპუტატების საქალაქო, სადაბო, სასოფლო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების თანამდებობის პირები, რომლებიც სანოტარო მოქმედებას ასრულებენ, თავიანთ საქმიანობაში ხელმძღვანელობენ სსრ კავშირის, საქართველოს სსრ, აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ კანონებით. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, საქართველოს სსრ, აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმების ბრძანებულებებით, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საქართველოს სსრ, აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოების დადგენილებებითა და განკარგულებებით, სსრ კავშირის იუსტიციის სამინისტროს, საქართველოს სსრ, აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ იუსტიციის სამინისტროების ბრძანებებითა და ინსტრუქციებით, აგრეთვე აქტებით, რომლებსაც სახელმწიფო ხელისუფლების სხვა ორგანოები და სახელმწიფო მმართველობის ორგანოები გამოსცემენ თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში, და ამ ინსტრუქციით.

აღმასრულებელი კომიტეტების თანამდებობის პირები კანონით დადგენილ შემთხვევებში იყენებენ აგრეთვე სხვა მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობას.

4. აღმასრულებელი კომიტეტების თანამდებობის პირები მოვალენი არიან დაიცვან შესრულებული სანოტარო მოქმედების საიდუმლოება.

ცნობები შესრულებული სანოტარო მოქმედების შესახებ და დოკუმენტები ეძლევათ მხოლოდ იმ მოქალაქეებს, სახელმწიფო დაწესებულებებს, საწარმოებსა და ორგანიზაციებს, კოლმეურნეობებსა და სხვა კოოპერაციულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, რომელთა დავალებით ან რომელთა მიმართ იყო შესრულებული სანოტარო მოქმედება.

სასამართლოს, პროკურატურის, გამოძიებისა და მოკვლევის ორგანოების მოთხოვნით ცნობები შესრულებული სანოტარო მოქმედების შესახებ და დოკუმენტები გაიცემა მათ წარმოებაში არსებული სისხლის სამართლის ან სამოქალაქო სამართლის საქმეებთან დაკავშირებით. ცნობებსა და დოკუმენტებს აღმასრულებელი კომიტეტების თანამდებობის პირები გასცემენ მხოლოდ აღნიშნული ორგანოების წერილობითი მოთხოვნით.

ცნობები ანდერძის არსებობის, მისი შინაარსის და სხვ. შესახებ გაიცემა მხოლოდ მოანდერძის გარდაცვალების შემდეგ, გარდაცვალების მოწმობის წარდგენით.

---

1. ამ ინსტრუქციის შემდგომ პუნქტებში მშრომელთა დეპუტატების საქალაქო, სადაბო, სასოფლო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების თანამდებობის **პირებს-**, რომლებიც სანოტარო მოქმედებას ასრულებენ, ეწოდებათ „**აღმასრულებელი** კომიტეტების თანამდებობის **პირები**“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სანოტარო მოქმედების საიდუმლოების დაცვის წესები ვრცელდება აგრეთვე იმ პირებზე, რომლებმაც შესრულებული სანოტარო მოქმედების თაობაზე შეიტყვეს თავიანთი სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით.

აღმასრულებელი კომიტეტების თანამდებობის პირებს, აგრეთვე პირებს, რომლებმაც შესრულებული სანოტარო მოქმედების თაობაზე შეიტყვეს თავიანთი სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით, შესრულებული სანოტარო მოქმედების საიდუმლოების დარღვევისათვის დაეკისრებათ პასუხისმგებლობა სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობით დადგენილი წესით.

5. საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების თანამდებობის პირები მოვალენი არიან ხელი შეუწყონ მოქალაქეებს, სახელმწიფო დაწესებულებებს, საწარმოებსა და ორგანიზაციებს, კოლმეურნეობებსა და სხვა კოოპერაციულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს მათი უფლებების განხორციელებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის საქმეში, განუმარტონ მათ უფლება-მოვალეობანი, გააფრთხილონ შესასრულებელი სანოტარო მოქმედების შედეგების შესახებ, რათა იურიდიული გაუთვითცნობიერებლობა და სხვა მსგავსი გარემოებანი გამოყენებული არ იქნეს მათ საზიანოდ.

აუცილებელ შემთხვევებში აღმასრულებელი კომიტეტების თანამდებობის პირებმა იმ მოქალაქეთა, სახელმწიფო დაწესებულებათა, საწარმოთა და ორგანიზაციათა, კოლმეურნეობათა და სხვა კოოპერაციულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა თხოვნით, რომლებმაც მათ სანოტარო მოქმედების შესასრულებლად მიმართეს, უნდა შეადგინონ გარიგებათა (ხელშეკრულებათა, რწმუნებულებათა, ანდერძთა და სხვ). და განცხადებათა პროექტები, მოამზადონ დოკუმენტების ასლები და მათი ამონაწერები, აგრეთვე მისცენ ახსნა-განმარტებანი სანოტარო მოქმედების შესრულების საკითხებზე.

6. სანოტარო საქმისწარმოება მშრომელთა დეპუტატების საქალაქო, სადაბო, სასოფლო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებში სახელმწიფო ნოტარიატის შესახებ საქართველოს სსრ კანონის მე-9 მუხლის შესაბამისად მიმდინარეობს ქართულ ენაზე ან ავტონომიური რესპუბლიკის, ავტონომიური ოლქის ენაზე.

თუ სანოტარო მოქმედების შესრულების მთხოვნელმა პირმა არ იცის ის ენა, რომელზეც საქმისწარმოება მიმდინარეობს, გასაფორმებელი დოკუმენტების ტექსტი მას უნდა უთარგმნოს აღმასრულებელი კომიტეტის თანამდებობის პირმა ანდა მთარგმნელმა, რომელსაც იცნობს ეს თანამდებობის პირი.

თუ პირმა არ იცის ის ენა, რომელზეც შედგენილია დოკუმენტი, იგი ხელს აწერს იმ ენაზე, რომელიც მან იცის.

ᲙᲐᲠᲘ II

სანოტარო მოქმედებათა შესრულების ძირითადი წესები

7. სანოტარო მოქმედება შეიძლება შესრულდეს მშრომელთა დეპუტატების ყოველი საქალაქო, სადაბო, სასოფლო საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტში

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მთელ ტერიტორიაზე, გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც გათვალისწინებულია ამ ინსტრუქციის მე-16, 38-ე, 51-ე, 66-ე და 72-ე პუნქტებით.

8. სანოტარო მოქმედება სრულდება მშრომელთა დეპუტატების საქალაქო, სადაბო, სასოფლო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის შენობაში.

ცალკეულ შემთხვევებში, როცა მოქალაქეს ავადმყოფობის, ინვალიდობის ან სხვა საპატიო მიზეზის გამო არ შეუძლია გამოცხადდეს მშრომელთა დეპუტატების საქალაქო, სადაბო, სასოფლო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის შენობაში, სანოტარო მოქმედება შეიძლება შესრულდეს მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების შენობების გარეთაც.

თუ სანოტარო მოქმედება სრულდება მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის შენობის გარეთ, დამადასტურებელ წარწერაში დოკუმენტზე და სანოტარო მოქმედების სარეგისტრაციო რეესტრში აღინიშნება სანოტარო მოქმედების შესრულების ადგილი და მისამართი (მაგალითად, ანდერძი დადასტურებულია სახლში შემდეგი მისამართით: დაბა სურამი, სკოლის ქუჩა, № 8, ბინა 12).

9. სანოტარო მოქმედება სრულდება ამისათვის საჭირო ყველა დოკუმენტის წარდგენისა და სახელმწიფო ბაჟის გადახდის დღეს.

10. სანოტარო მოქმედების შესრულება შეიძლება გადაიდოს, თუ საჭიროა დამატებითი ცნობების ან დოკუმენტების გამოთხოვა სახელმწიფო დაწესებულებათა, საწარმოთა და ორგანიზაციათა, კოლმეურნეობათა და სხვა კოოპერაციულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა თანამდებობის პირებისაგან, ანდა დოკუმენტების გაგზავნა საექსპერტიზოდ, აგრეთვე ამ ინსტრუქციის 32-ე პუნქტის მეორე აბზაცით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

სანოტარო მოქმედების შესრულება შეიძლება გადაიდოს, თუ კანონის ძალით საჭიროა დაინტერესებულ პირთა გამოკითხვა იმის შესახებ, რომ ისინი აღნიშნული მოქმედების შესრულების წინააღმდეგი არ არიან. ვადა, რომლითაც გადაიდება სანოტარო მოქმედების შესრულება, არ შეიძლება აღემატებოდეს ერთ თვეს.

დაინტერესებული პირის განცხადებით, რომელსაც სურს მიმართოს სასამართლოს იმ უფლებაზე ან ფაქტზე შედავებისათვის, რის დადასტურებასაც ითხოვს მეორე დაინტერესებული პირი, სანოტარო მოქმედების შესრულება შეიძლება გადაიდოს არა უმეტეს ათი დღის ვადით. თუ ამ ვადაში სასამართლოსაგან მიღებული არ იქნა ცნობა განცხადების შემოსვლის შესახებ, სანოტარო მოქმედება უნდა შესრულდეს.

თუ სასამართლოსაგან მიღებულია ცნობა, რომ შემოსულია დაინტერესებული პირის განცხადება, რომელიც სადავოდ ხდის იმ უფლებას ან ფაქტს, რის დადასტურებასაც ითხოვს მეორე დაინტერესებული პირი, სანოტარო მოქმედების შესრულება შეჩერდება სასამართლოს მიერ საქმის გადაწყვეტამდე.

11. სანოტარო მოქმედების შესრულებისას აღმასრულებელი კომიტეტების თანამდებობის პირები დაადგენენ იმ მოქალაქეების, მათი წარმომადგენლების ან სახელმწიფო დაწესებულებათა, საწარმოთა და ორგანიზაციათა, კოლმეურნეობათა და სხვა კოოპერაციულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა წარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზომადგენლების ვინაობას, რომლებიც სანოტარო მოქმედების შესრულებას ითხოვენ.

საბჭოთა მოქალაქეების ვინაობა დადგინდება პასპორტების მიხედვით, ხოლო სოფლად მცხოვრები მოქალაქეებისა, რომლებსაც წინათ პასპორტები არ ეძლეოდათ, მათ მიღებამდე — დაწესებული ფორმის ცნობების მიხედვით, რომელთაც გასცემენ მშრომელთა დეპუტატების სასოფლო და სადაბო საბჭოები.

16 წლამდე ასაკის არასრულწლოვანთა ვინაობა დადგინდება მშობლების (მშვილებლების) პასპორტებში მათ შესახებ ჩანაწერის საფუძველზე ან დაბადების მოწმობის მიხედვით.

სამხედრო მოსამსახურეთა ვინაობა დადგინდება პირადობის მოწმობისა და სამხედრო ბილეთის საფუძველზე, რომელსაც გასცემს სამხედრო ნაწილისა და სამხედრო დაწესებულების სარდლობა.

სსრ კავშირში დროებით საცხოვრებლად ჩამოსული იმ საბჭოთა მოქალაქეების ვინაობა, რომლებიც მუდმივად ცხოვრობენ საზღვარგარეთ, დადგინდება მათი საერთო-სამოქალაქო საზღვარგარეთული პასპორტების მიხედვით.

სსრ კავშირის ტერიტორიაზე მცხოვრებ უცხოელ მოქალაქეთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა ვინაობა დადგინდება სსრ კავშირში ბინადრობის მოწმობის ან ეროვნული პასპორტის მიხედვით, რომელიც რეგისტრირებულია შინაგან საქმეთა ორგანოებში ან სხვა საამისოდ უფლებამოსილ ორგანოებში.

12. გარიგებათა (ხელშეკრულებათა, რწმუნებულებათა, ანდერძთა და სხვა) დადასტურების და ზოგიერთი სხვა სანოტარო მოქმედების შესრულების დროს (მაგალითად, დოკუმენტებზე ხელმოწერის ნამდვილობის დამოწმების დროს) მოწმდება გარიგების მონაწილეთა და სხვა იმ პირთა ხელმოწერის ნამდვილობა, რომლებიც ითხოვენ სანოტარო მოწმობების შესრულებას.

13. გარიგებათა დადასტურების დროს უნდა გამოირკვეს მოქალაქეთა ქმედუნარიანობა და შემოწმდეს გარიგებაში მონაწილე იურიდიულ პირთა უფლებაუნარიანობა.

წარმომადგენლის მიერ გარიგების დადების შემთხვევაში ამოწმებენ მის უფლებამოსილებას.

14. სანოტარო წესით დასამოწმებელ გარიგებებს, აგრეთვე განცხადებებსა და სხვა დოკუმენტებს ხელს აწერენ აღმასრულებელი კომიტეტის თანამდებობის პირის თანდასწრებით. თუ გარიგების, განცხადების ან სხვა დოკუმენტის ხელმოწერას არ დასწრებია აღნიშნული თანამდებობის პირი, ხელმომწერმა პირადად უნდა დაადასტუროს, რომ დოკუმენტს მან მოაწერა ხელი.

აღმასრულებელი კომიტეტის თანამდებობის პირს შეუძლია არ მოითხოვოს სახელმწიფო დაწესებულებების, საწარმოებისა და ორგანიზაციების, კოლმეურნეობებისა და სხვა კოოპერაციული და საზოგადოებრივი ორგანიზაციების თანამდებობის პირთა პირადად გამოცხადება, თუ ეს პირები მისთვის ცნობილი არიან, ან თუ მშრომელთა დეპუტატების საქალაქო, სადაბო, სასოფლო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის საქმეებში მოიპოვება ამ თანამდებობის პირთა ხელმოწერის ნიმუში, მიღებული მათთვის პირადი მიმართვის შედეგად, და მათი ხელმოწერის ნამდვილობა ეჭვს არ იწვევს.

თუ მოქალაქეს ფიზიკური ნაკლის, ავადმყოფობის ან სხვა რაიმე საპატიო მიზეზის გამო არ შეუძლია ხელი მოაწეროს გარიგებას, განცხადებას ან სხვ

ეროვნული ბიბლიოთეკა

დოკუმენტს, მაშინ მისი დავალებით, მისი თანდასწრებითა და აღმასრულებელი კომიტეტის თანამდებობის პირის თანდასწრებით გარიგებას, განცხადებას ან სხვა დოკუმენტს შეიძლება ხელი მოაწეროს სხვა მოქალაქემ იმ მიზეზის აღნიშვნით, რომლის გამოც სანოტარო მოქმედების მთხოვნელ პირს არ შეუძლია თვითონ მოაწეროს ხელი დოკუმენტს.

თუ სანოტარო მოქმედების შესრულების მთხოვნელი მოქალაქე წერა-კითხვის უცოდინარი ან უსინათლოა, აღმასრულებელი კომიტეტის თანამდებობის პირი, გარდა ამისა, მოვალეა წაუკითხოს მას დოკუმენტის ტექსტი და ეს აღნიშნოს დოკუმენტზე.

თუ სანოტარო მოქმედების შესრულების მთხოვნელი ყრუ, მუნჯი ან ყრუ-მუნჯი მოქალაქე წერა-კითხვის უცოდინარია, სანოტარო მოქმედების შესრულებას აუცილებლად უნდა დაესწროს წერა-კითხვის მცოდნე პირი, რომელსაც შეუძლია გააგებინოს მას საქმის არსი და დაადასტუროს თავისი ხელმოწერით, რომ გარიგების, განცხადების ან სხვა დოკუმენტის შინაარსი შეესაბამება მასში მონაწილე ყრუ, მუნჯი ან ყრუ-მუნჯი მოქალაქის ნებას.

15. სახელმწიფო ნოტარიატის შესახებ საქართველოს სსრ კანონის 21-ე მუხლის შესაბამისად აღმასრულებელი კომიტეტის თანამდებობის პირს უფლება აქვს გამოითხოვოს სახელმწიფო დაწესებულებებისაგან, საწარმოებისა და ორგანიზაციებისაგან, კოლმეურნეობებისა და სხვა კოოპერაციული და საზოგადოებრივი ორგანიზაციებისაგან ცნობები და დოკუმენტები, რომლებიც საჭიროა სანოტარო მოქმედების შესრულებისათვის. შესაბამისი ცნობები და დოკუმენტები წარდგენილი უნდა იქნეს აღმასრულებელი კომიტეტის თანამდებობის პირის მიერ მითითებულ ვადაში.

ეს ვადა ერთ თვეს არ უნდა აღემატებოდეს.

16. აღმასრულებელი კომიტეტის თანამდებობის პირებს უფლება არა აქვთ შეასრულონ სანოტარო მოქმედება თავიანთ სახელზე და თავიანთი სახელით, თავიანთი მეუღლეების, ამათი და თავიანთი ნათესავების (მშობლების, შვილების, შვილიშვილების, პაპის, ბებიის, ძმების, დების) სახელზე და სახელით, აგრეთვე მშრომელთა დეპუტატების მოცემული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის მუშაკთა სახელზე და სახელით. აღმასრულებელი კომიტეტების თანამდებობის პირებს უფლება არა აქვთ შეასრულონ სანოტარო მოქმედება აგრეთვე მშრომელთა დეპუტატების მოცემული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის სახელზე და სახელით.

სანოტარო მოქმედებას აღნიშნულ შემთხვევებში შეასრულებს მშრომელთა დეპუტატების ნებისმიერი საქალაქო, სადაბო, სასოფლო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი, რომელიც სანოტარო მოქმედებას ასრულებს.

იმ შემთხვევებში, როდესაც სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობის შესაბამისად სანოტარო მოქმედება უნდა შესრულდეს მშრომელთა დეპუტატების განსაზღვრული საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტში, სანოტარო მოქმედების შესრულების ადგილი დაწესდება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ დადგენილი წესით.

ამ პუნქტში აღნიშნული წესების დარღვევით შესრულებული სანოტარო მოქმედება ბათილია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

17. აღმასრულებელი კომიტეტების თანამდებობის პირები სანოტარო ბიუროს მედების შესრულებისათვის არ იღებენ დოკუმენტებს, რომლებშიც არის გადაფხეკილი ადგილები, მინაწერები, წაშლილი სიტყვები და სხვა ისეთი შისწორებები, რომლებიც წინასწარ დათქმული არ იყო, აგრეთვე დოკუმენტებს, რომლებიც ფანქრითაა შესრულებული.

არ მიიღება აგრეთვე რამდენიმე ფურცელზე შედგენილი დოკუმენტები, თუ ფურცლები დაულნომრავია, ზონარგაუყრელია, დამოწმებული არ არის თანამდებობის პირის ხელმოწერით და სახელმწიფო დაწესებულების, საწარმოს, ორგანიზაციის, კოლმეურნეობისა და სხვა კოოპერაციული ან საზოგადოებრივი ორგანიზაციის ბეჭდით, რომელმაც დოკუმენტი გასცა.

სანოტარო წესით დადასტურებულ გარიგებათა ტექსტი უნდა დაიწეროს ნათლად და გარკვევით. თარიღები და ვადები ერთხელ მაინც უნდა დაიწეროს სიტყვებით. დოკუმენტში სრულად უნდა იყოს ნაჩვენები მოქალაქეთა გვარები, სახელები, მამის სახელები, საცხოვრებელი ადგილი, იურიდიულ პირთა სახელწოდება, მათი ადგილსამყოფელი, ხოლო ცალკეულ შემთხვევებში აგრეთვე მიმდინარე (საანგარიშსწორებო) ანგარიშის და ბანკის განყოფილების ნომრები. ბოლომდე შეუვსებელი სტრიქონები და სხვა თავისუფალი ადგილები დოკუმენტზე უნდა გადაიხაზოს. მინაწერები და შისწორებები უნდა აღინიშნოს გარიგების მონაწილეთა და გარიგების ხელმომწერ სხვა პირთა ხელმოწერის წინ. მაგალითად, თუ ანდერძის ტექსტში სიტყვები „ჩვეულებრივი საოჯახო მოხმარების საგნები“ გადასწორებულია სიტყვებით „საცხოვრებელი სახლი“, გადასწორება უნდა აღინიშნოს ამგვარად: „გადახაზული სიტყვები „ჩვეულებრივი საოჯახო მოხმარების საგნები“ წაშლილია, ჩაწერილი სიტყვები „საცხოვრებელი სახლი“ სწორია“. ამ შისწორებას ხელს უნდა აწერდეს მოანდერძე (ან სხვა პირი, რომელმაც ხელი მოაწერა ანდერძს მოანდერძის თხოვნით) აღმასრულებელი კომიტეტის თანამდებობის პირის თანდასწრებით და იგი უნდა განმეორდეს დამადასტურებელი წარწერის ბოლოს აღნიშნული თანამდებობის პირის ხელმოწერის წინ. თუ შისწორება შეტანილია იმ დოკუმენტის ტექსტში, რომელსაც მხარეები ხელს არ აწერენ (მაგალითად, დოკუმენტის ასლი), ისინი უნდა აღინიშნოს და ხელმოწერილ იქნეს აღმასრულებელი კომიტეტის თანამდებობის პირის მიერ დამადასტურებელი წარწერის ბოლოს.

თუ დასადასტურებელი ან დასამოწმებელი დოკუმენტი შედგენილია არასწორად ან უწიგნურად, აღმასრულებელი კომიტეტის თანამდებობის პირი წინადადებას აძლევს მთხოვნელ პირს გაასწოროს იგი ან შეადგინოს ახალი დოკუმენტი. მთხოვნელი პირის თხოვნით დოკუმენტი შეიძლება შეადგინოს აღმასრულებელი კომიტეტის თანამდებობის პირმა, რისთვისაც გადახდება სახელმწიფო ბაჟი დოკუმენტის პროექტის შედგენისათვის დაწესებული ოდენობით.

18. იმ შემთხვევებში, თუ დასადასტურებელი, გასაცემი ან დასამოწმებელი დოკუმენტები შედგენილია რამდენიმე ცალკეულ ფურცელზე, ისინი უნდა იყოს დანომრილი და ზონარგაყრილი, რის შესახებაც უნდა გაკეთდეს შესაბამისი წარწერა, რომელიც დასტურდება აღმასრულებელი კომიტეტის თანა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მდებობის პირის ხელმოწერით და მოწმდება მშრომელთა დეპუტატების მესაბამისი საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის გერბიანი ბეჭდით.

19. გარიგების დადასტურების, დოკუმენტების ასლებისა და მათი ამონაწერების სისწორის, დოკუმენტებზე ხელმოწერის ნამდვილობის დამოწმებისას შესაბამის დოკუმენტზე კეთდება დამადასტურებელი წარწერა დოკუმენტების წარდგენის დროის შესახებ სსრ კავშირის იუსტიციის სამინისტროს მიერ დამტკიცებული ფორმით.

დამადასტურებელი წარწერის ტექსტი შეიძლება დაიბეჭდოს საწერ მანქანაზე ან გარკვევით დაიწეროს ხელით, გადაუშლელ-გადაუფხეკავად. გამოტოვებულ-შეუვსებელი ადგილები უნდა გადაიხაზოს, მინაწერები და სხვა შესწორებანი აღინიშნოს.

დამადასტურებელ წარწერათა შესასრულებლად შეიძლება გამოყენებულ იქნეს შტამპები შესაბამისი წარწერის ტექსტით.

დამადასტურებელი წარწერა დოკუმენტზე (ხელშეკრულებაზე, რწმუნებულებაზე, ანდერძზე და სხვ.) კეთდება მოქალაქეთა ხელმოწერის შემდეგ იმავე გვერდზე ან დოკუმენტის უკანა გვერდზე, ანდა ცალკე ფურცელზე. იმ შემთხვევებში, როცა დამადასტურებელი წარწერა ცალკე ფურცელზე დგება, აგრეთვე როცა დასადასტურებელი ან დასამოწმებელი დოკუმენტის შინაარსი გადმოცემულია რამდენიმე ფურცელზე, ყველა ფურცელი დანომრილი და ზონარგაყრილი უნდა იყოს, რის შესახებაც კეთდება შესაბამისი წარწერა ამ ინსტრუქციის მე-18 პუნქტში ჩამოყალიბებული წესების მიხედვით.

დამადასტურებელი წარწერის გადმოცემის ან მისი გაგრძელებისათვის დასაშვებია აგრეთვე ქაღალდის ფურცლის მიწებება გერბიანი ბეჭდის დასმით, რომლის ანაბეჭდი ნაწილობრივ უნდა აისახოს მიწებებულ ფურცელზე.

ქაღალდის ფურცლების მიმაგრება და მიწებება დოკუმენტის ასლის სისწორის დამოწმების დამადასტურებელი წარწერისათვის, აგრეთვე დუბლიკატზე წარწერისათვის არ დაიშვება.

20. ყველა სანოტარო მოქმედება, რომელსაც ასრულებენ აღმასრულებელი კომიტეტების თანამდებობის პირები, რეგისტრაციაში ტარდება სსრ კავშირის იუსტიციის სამინისტროს მიერ დამტკიცებული ფორმის სანოტარო მოქმედების სარეგისტრაციო რეესტრში. ყოველ სანოტარო მოქმედებას ეძლევა ცალკე რიგითი ნომერი. ის ნომერი, რომლითაც სანოტარო მოქმედება რეგისტრირებულია რეესტრში, აღინიშნება აღმასრულებელი კომიტეტის თანამდებობის პირის მიერ გაცემულ დოკუმენტებსა და დამადასტურებელ წარწერებში.

სანოტარო მოქმედების სარეგისტრაციო რეესტრში ნუმერაცია ყოველი კალენდარული წლის დაწყებიდან წარმოებს პირველი ნომრიდან.

რეესტრები ზონარგაყრილი, ხოლო მათი ფურცლები დანომრილი უნდა იყოს. ფურცლების რაოდენობა უნდა დაამოწმოს მშრომელთა დეპუტატების ზემდგომი საბჭოს აღმასრულებელმა კომიტეტმა ამ აღმასრულებელი კომიტეტის გერბიანი ბეჭდის დასმით.

სანოტარო მოქმედებას რეესტრში აღმასრულებელი კომიტეტის თანამდებობის პირი წერს მელნით (ან ბურთულიანი კალმით) და მხოლოდ მას შემდეგ, რაც მან ხელი მოაწერა დამადასტურებელ წარწერას ან გასაცემ დოკუმენტებს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფანქრით ჩაწერა და გადაშლა-გადაფხეკა რეესტრში არ დაიშვება. შეუვსებელი ადგილები უნდა გადაიხაზოს, ხოლო შეტანილი შესწორებანი აღინიშნოს აღმასრულებელი კომიტეტის თანამდებობის პირის ხელმოწერით.

21. აღმასრულებელი კომიტეტების თანამდებობის პირები სანოტარო მოქმედების სარეგისტრაციო რეესტრების ამონაწერს გასცემენ იმ მოქალაქეების, სახელმწიფო დაწესებულებების, საწარმოების, ორგანიზაციების, კოლმეურნეობებისა და სხვა კოოპერაციული და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წერილობითი განცხადებით, ვისი დავალებით ან ვის მიმართაც შესრულებულია სანოტარო მოქმედება, აგრეთვე სასამართლოს, პროკურატურის, გამოძიებისა და მოკვლევის ორგანოების მოთხოვნით მათ წარმოებაში არსებული სისხლის სამართლის ან სამოქალაქო სამართლის საქმეებთან დაკავშირებით.

სანოტარო რეესტრის ამონაწერს დაამოწმებს აღმასრულებელი კომიტეტის თანამდებობის პირი მშრომელთა დეპუტატების შესაბამისი საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის გერბიანი ბეჭდის დასმით.

22. აღმასრულებელი კომიტეტის თანამდებობის პირის მიერ დადასტურებული ან გაცემული დოკუმენტის დაკარგვის შემთხვევაში იმ მოქალაქის, სახელმწიფო დაწესებულების, საწარმოს, ორგანიზაციის, კოლმეურნეობის ან სხვა კოოპერაციული და საზოგადოებრივი ორგანიზაციის წერილობითი განცხადებით, ვისი დავალებით ან ვის მიმართაც შესრულებულია სანოტარო მოქმედება, გაიცემა დაკარგული დოკუმენტის დუბლიკატი.

დოკუმენტების დუბლიკატები გაიცემა ამ ინსტრუქციის მე-4 პუნქტის მოთხოვნების დაცვით.

დოკუმენტების დუბლიკატი უნდა შეიცავდეს დადასტურებული ან გაცემული დოკუმენტის მთელ ტექსტს. დოკუმენტის დუბლიკატზე დამადასტურებელი წარწერა კეთდება სსრ კავშირის იუსტიციის სამინისტროს მიერ დამტკიცებული ფორმის მიხედვით.

ანდერძის დუბლიკატი შეიძლება მიეცეთ ანდერძში აღნიშნულ მემკვიდრეებს მხოლოდ მას შემდეგ, რაც წარადგენენ მოწმობას მოანდერძის გარდაცვალების შესახებ.

23. თუ სანოტარო მოქმედების შესრულებისას აღმასრულებელი კომიტეტების თანამდებობის პირები აღმოაჩენენ, რომ მოქალაქეებმა ან ცალკეულმა თანამდებობის პირებმა დაარღვიეს კანონიერება, ისინი ამის შესახებ აუცილებელი ზომების მისაღებად ატყობინებენ შესაბამის დაწესებულებებს, საწარმობს, ორგანიზაციებს ან პროკურორს. დაწესებულებები, საწარმოები და ორგანიზაციები მოვალენი არიან მიღებული ზომების შესახებ ერთი თვის ვადაში აცნობონ აღმასრულებელი კომიტეტების თანამდებობის პირებს.

თუ წარდგენილი დოკუმენტის ნამდვილობა ეჭვს იწვევს, აღმასრულებელი კომიტეტების თანამდებობის პირებს უფლება აქვთ შეაჩერონ ეს დოკუმენტი ან გაგზავნონ იგი საექსპერტიზოდ.

დოკუმენტი საექსპერტიზოდ იგზავნება განსაკუთრებული წერილით, რომელშიც აღინიშნება:

დოკუმენტის გაგზავნის თარიღი;

№ 4 ეროვნული ბიბლიოთეკა

დოკუმენტის გამგზავნი თანამდებობის პირის ინიციალები, გვარი, ან მასრულებელი კომიტეტის დასახელება;

დოკუმენტის დასახელება, ვის სახელზეა იგი გაცემული;

ვინ (გვარი, სახელი, მამის სახელი, საცხოვრებელი ადგილი) წარადგინა დოკუმენტი სანოტარო მოქმედების შესასრულებლად;

გარემოებანი, რამაც გამოიწვია დოკუმენტის საექსპერტიზოდ გაგზავნის აუცილებლობა;

სად (რომელ საექსპერტო დაწესებულებას) ეგზავნება დოკუმენტი ექსპერტიზის ჩასატარებლად;

ექსპერტიზის გადასაწყვეტად დაყენებული საკითხები.

24. აღმასრულებელი კომიტეტების თანამდებობის პირები:

— უარს ამბობენ სანოტარო მოქმედების შესრულებაზე, თუ ასეთი მოქმედების შესრულება ეწინააღმდეგება კანონს (თუ მოქმედება არ უნდა შესრულდეს სანოტარო ორგანოს მიერ ან უნდა შესრულდეს სხვა სანოტარო ორგანოში; თუ სანოტარო მოქმედების შესრულებას ითხოვს არაქმედუნარიანი პირი ან თუმცა ქმედუნარიანი, მაგრამ მოცემულ მომენტში ისეთ მდგომარეობაში მყოფი პირი, რომ მას არ შეუძლია ანგარიში გაუწიოს თავის მოქმედებას ან უხელმძღვანელოს მას; თუ იურიდიული პირის სახელით შესასრულებელი გარიგება ეწინააღმდეგება მის წესდებაში ან დებულებაში აღნიშნულ მიზნებს; თუ დასადასტურებლად წარდგენილი გარიგება არ შეესაბამება კანონის მოთხოვნებს ან სრულდება ისეთი მიზნით, რაც აშკარად ეწინააღმდეგება სოციალისტური სახელმწიფოსა და საზოგადოების ინტერესებს და ა. შ.);

— არ იღებენ სანოტარო მოქმედების შესრულებისათვის დოკუმენტებს, თუ ისინი არ შეესაბამებიან კანონმდებლობის მოთხოვნებს ან შეიცავენ ისეთ ცნობებს, რომლებიც ჩირქს სცხებენ მოქალაქეთა პატივსა და ღირსებას.

25. აღმასრულებელი კომიტეტების თანამდებობის პირებმა იმ პირის თხოვნით, რომელსაც უარი ეთქვა სანოტარო მოქმედების შესრულებაზე, უნდა ჩამოაყალიბონ უარის მიზეზები წერილობითი ფორმით და განუმარტონ, რომ დაინტერესებულ პირს, რომელსაც უმართებულოდ მიაჩნია შესრულებული სანოტარო მოქმედება ან სანოტარო მოქმედების შესრულებაზე უარის თქმა, უფლება აქვს შეიტანოს რაიონულ (საქალაქო) სახალხო სასამართლოში მშრომელთა დეპუტატების საქალაქო, სადაბო, სასოფლო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის ადგილსამყოფელის მიხედვით საჩივარი ამის შესახებ, რომელიც განიხილება საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 286-288 მუხლებით გათვალისწინებული წესით.

26. დოკუმენტები, რომელთა საფუძველზეც შესრულებულია სანოტარო მოქმედება, თან დაერთვის მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებში დატოვებულ გარიგებათა, სააღსრულებო წარწერათა და ა. შ. ეგზემპლარებს.

დოკუმენტების დედნების (მაგალითად, დაბადების, ქორწინების, გარდაცვალების მოწმობების) დაბრუნების აუცილებლობის შემთხვევაში ისინი უბრუნდება წარმდგენ პირებს, ამასთან, მშრომელთა დეპუტატების საბჭოების

ეროვნული ბიბლიოთეკა

აღმასრულებელ კომიტეტებში რჩება მათი ასლები. ამ ასლებს წარადგენენ დაინტერესებული პირები ან მათი თხოვნით დაამზადებს აღმასრულებელი კომიტეტის თანამდებობის პირი, რისთვისაც გადახდება სახელმწიფო ბაჟი მხოლოდ ასლების დამზადებისათვის.

აღნიშნული დოკუმენტების ასლებს დაამოწმებს აღმასრულებელი კომიტეტის თანამდებობის პირი წარწერით „ასლი დედანთან სწორია". შემდეგ აღინიშნება თანამდებობის პირის დასახელება და მისი ხელმოწერა.

დოკუმენტები, რომლებიც ადასტურებენ სანოტარო მოქმედების შესრულების მთხოვნელ მოქალაქეთა, მათ წარმომადგენელთა ან სახელმწიფო დაწესებულებების, საწარმოებისა და ორგანიზაციების, კოლმეურნეობებისა და სხვა კოოპერაციული და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენელთა ვინაობას, ბრუნდება ასლების დაუტოვებლად, მაგრამ რეესტრში ჩაიწერება დოკუმენტის დასახელება, მისი ნომერი, გაცემის თარიღი და დოკუმენტის გამცემი დაწესებულების დასახელება.

მშრომელთა დეპუტატების აღმასრულებელ კომიტეტებში არ რჩება შემდეგი დოკუმენტები ან მათი ასლები:

ა) იურიდიულ პირთა წესდებანი და დებულებანი, აგრეთვე დოკუმენტები მათი წარმომადგენლების რწმუნებულებათა შესახებ (გარდა კონკრეტული ხელშეკრულების დასადებად გაცემული რწმუნებულებისა) — იურიდიულ პირთა სახელით ან სახელზე ხელშეკრულებათა და რწმუნებულებათა დადასტურებისას;

ბ) დოკუმენტები, რომლებიც აწესებენ მოქალაქეთა პირადი საკუთრების უფლებას საცხოვრებელ სახლზე (სახლის ნაწილზე) ან ბინაზე ინდივიდუალურ მენაშენეთა საბინაო-სამშენებლო კოლექტივის სახლში, — მათი გასხვისების შესახებ გარიგებათა დადასტურებისას იმ შემთხვევაში, როცა მესაკუთრე მთლიანად არ ასხვისებს თავის კუთვნილ სახლს (სახლის ნაწილს) ან ბინას ინდივიდუალურ მენაშენეთა საბინაო-სამშენებლო კოლექტივის სახლში, აგრეთვე იმ შემთხვევებში, როცა მესაკუთრეებს აქვთ ერთი საერთო დოკუმენტი სახლზე (სახლის ნაწილზე) ან ბინაზე და ერთ-ერთი მათგანი ასხვისებს თავის კუთვნილ წილს (ან წილის წილს), და საერთო საკუთრებაში არსებული დაუმთავრებელი სახლის გასხვისების შესახებ ხელშეკრულების დადასტურებისას;

გ) ავტომოტოსატრანსპორტო საშუალებათა ტექნიკური პასპორტები და ქვითრები გამოსაღების გადახდის შესახებ — აღნიშნულ საშუალებათა გასხვისების შესახებ ხელშეკრულების დადასტურებისას;

დ) შეუვალობის მოწმობები — დაჯავშნული საცხოვრებელი ფართობის ქვექირავნობის ხელშეკრულების დადასტურების დროს.

აღნიშნული დოკუმენტების არსებობის შესახებ აღინიშნება სანოტარო მოქმედების სარეგისტრაციო რეესტრში ან აღმასრულებელ კომიტეტში დატოვებული გარიგების ეგზემპლარში (გარიგებათა დადასტურებისას), რის შემდეგაც ისინი უბრუნდება წარმდგენ პირს ან შემძენს.

27. მშრომელთა დეპუტატების საქალაქო, სადაბო, სასოფლო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების მიერ სანოტარო მოქმედების შესრულებისათ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვის, აგრეთვე გარიგებების, განცხადებების პროექტების შედგენისათვის, დოკუმენტების ასლების, მათი ამონაწერების მომზადებისათვის, დოკუმენტების დუბლიკატების გაცემისათვის დაინტერესებულ პირებს გადახდებათ სახელმწიფო ბაჟი მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

28. სახელმწიფო ნოტარიატის შესახებ საქართველოს სსრ კანონის 34-ე მუხლის შესაბამისად იმ შემთხვევაში, თუ სანოტარო მოქმედების შესასრულებლად აღმასრულებელი კომიტეტის თანამდებობის პირი ადგილზე გაემგზავრა, დაინტერესებული პირები აანაზღაურებენ ფაქტიურ სატრანსპორტო ხარჯებს.

კ ა რ ი III

სანოტარო მოქმედების ცალკეულ სახეობათა შესრულების წესები

თ ა ვ ი I

გარიგებათა დადასტურება

გ ა რ ი გ ებ ა თ ა დ ა დ ა ს ტ ურ ებ ის ზ ო გ ა დ ი პ ი რ ო ბ ებ ი

29. აღმასრულებელი კომიტეტების თანამდებობის პირები ადასტურებენ გარიგებებს, რომელთა შესასრულებლად კანონმდებლობით დადგენილია სავალდებულო სანოტარო ფორმა.

მოქმედი კანონმდებლობის თანახმად სავალდებულო სანოტარო დადასტურებას ექვემდებარება შემდეგი გარიგებანი:

ა) ქალაქში ან ქალაქის ტიპის დაბაში განლაგებული საცხოვრებელი სახლის (სახლის ნაწილის), ინდივიდუალურ მენაშენეთა საბინაო-სამშენებლო კოლექტივის სახლში ბინის გასხვისების (ყიდვა-გაყიდვის, გაცვლილობის, ნაჩუქრობის) ხელშეკრულებანი (საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 238-ე, 239-ე, 266-ე, 269-ე მუხლები);

ბ) საცხოვრებელი სახლის გირავნობის ხელშეკრულებანი (საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 190-ე მუხლი);

გ) 500 მანეთზე მეტი თანხის ნაჩუქრობის ხელშეკრულებანი (საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 269-ე მუხლი);

დ) ანდერძები (საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 551-ე მუხლი);

ე) რწმუნებულებანი ისეთ გარიგებათა დასადებად, რომლებიც სანოტარო ფორმას მოითხოვს, აგრეთვე მოქმედება სახელმწიფო, კოოპერაციული და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიმართ, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც კანონით ან სპეციალური წესებით დაშვებულია რწმუნებულების სხვა ფორმა (საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 64-ე მუხლი);

ვ) რწმუნების გადაცემის წესით გაცემული რწმუნებულებანი (საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 69-ე მუხლი);

ზ) მსუბუქი ავტომობილებისა და ეტლიანი მოტოციკლების ნაჩუქრობის ხელშეკრულებანი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მხარეთა სურვილისამებრ შეიძლება დადასტურდეს სხვა ისეთი გარიგებებიც, რომლებისთვისაც კანონმდებლობით დადგენილი არ არის სავალდებულო სანოტარო ფორმა.

30. აღმასრულებელი კომიტეტების თანამდებობის პირები მოვალენი არიან განუმარტონ მხარეებს მათ მიერ წარდგენილი გარიგებათა პროექტების შინაარსი და მნიშვნელობა და შეამოწმონ, შეესაბამება თუ არა მათი შინაარსი მხარეთა ნამდვილ სურვილებს.

31. გარიგებანი სარეგისტრაციო ქონების გასხვისებისა და გირავნობის შესახებ შეიძლება დადასტურდეს იმ პირობით, თუ წარდგენილ იქნება გასასხვისებელ ან დასაგირავებელ ქონებაზე საკუთრების უფლება.

გარიგებანი გადასახადით ან გამოსაღებით დაბეგრილი ქონების გასხვისების შესახებ შეიძლება დადასტურდეს იმ პირობით, თუ წარდგენილ იქნება გადასახადის ან გამოსაღების გადახდის (გადასახადის ან გამოსაღების გადახდისაგან გათავისუფლების) დამამტკიცებელი დოკუმენტები ან შესაბამისი ორგანოებისა და შემძენის თანხმობა იმის შესახებ, რომ გამოანგარიშებული გადასახადი ან გამოსაღები გადატანილ იქნეს შემძენზე.

აღნიშნულ გარიგებათა სანოტარო დადასტურებისას გამოთხოვილ უნდა იქნეს საფინანსო ორგანოს ცნობა გადასახადის დავალიანების არარსებობის შესახებ. ცნობა ძალაშია ერთი თვის განმავლობაში. თუ ცნობაში აღნიშნულია, რომ გადასახადი და გამოსაღები გადახდილია კვარტალისათვის ან მთელი წლისათვის, ცნობა ძალაშია ამ დროის განმავლობაში.

იმის დასადასტურებლად, რომ ავტომოტოსატრანსპორტო საშუალებათა მფლობელებს გამოსაღები გადახდილი აქვთ, შეიძლება წარდგენილ იქნეს ქვითარი. ქონების სადაზღვევო შეფასების დადასტურების საჭიროებისას გამოთხოვილ უნდა იქნეს სადაზღვევო მოწმობა.

32. გარიგების მონაწილეთა ქმედუნარიანობის გამორკვევისას აღმასრულებელი კომიტეტის თანამდებობის პირი გამოითხოვს დოკუმენტს (იხ. ამ ინსტრუქციის მე-11 პუნქტის 2-5 აბზაცები), რომელშიც აღნიშნულია გარიგების მონაწილეთა ასაკი.

თუ აღმასრულებელი კომიტეტის თანამდებობის პირს საფუძველი აქვს ივარაუდოს, რომ გარიგების რომელიმე მონაწილეს სულით ავადმყოფობის ან ჭკუასუსტობის გამო არ შეუძლია ანგარიში გაუწიოს თავის მოქმედებას ან უხელმძღვანელოს მას, ხოლო სასამართლოს გადაწყვეტილება მოქალაქის არაქმედუნარიანად აღიარების შესახებ არ არსებობს, აღმასრულებელი კომიტეტის თანამდებობის პირი გადადებს **გარიგების დადასტურებას**.

საჭირო შემთხვევებში მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 267-ე მუხლის საფუძველზე შეუძლია მიმართოს სასამართლოს განცხადებით მოქალაქის არაქმედუნარიანად აღიარების შესახებ. ამ შემთხვევაში გარიგების დადასტურების შესაძლებლობის საკითხს წყვეტს აღმასრულებელი კომიტეტის თანამდებობის პირი, რომელიც სანოტარო მოქმედებას ასრულებს, სასამართლოს მიერ საქმის **გადაწყვეტის** შედეგის შესაბამისად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

33. გარიგებანი 15 წლამდე ასაკის არასრულწლოვანთა სახელით, აგრეთვე იმ მოქალაქეთა სახელით, რომლებიც სასამართლო წესით ცნობილი არიან არაქმედუნარიანად, შეიძლება დადონ მხოლოდ მათმა კანონიერმა წარმომადგენლებმა, მშობლებმა, მშვილებლებმა ან მეურვეებმა (საქართველოს სსრ საოქალაქო სამართლის კოდექსის მე-13 მუხლი).

15-დან 18 წლამდე ასაკის არასრულწლოვანთა მიერ დადებული გარიგებანი შეიძლება დადასტურდეს მხოლოდ მშობელთა, მშვილებელთა ან მზრუნველთა თანხმობით (საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის მე-14 მუხლი).

გარიგებანი სასამართლოს მიერ არაქმედუნარიანად აღიარებულ მოქალაქეთა სახელით შეიძლება დადასტურდეს მხოლოდ იმ შემთხვევებში, თუ ეს გარიგებანი დადებული აქვთ მათ მეურვეებს.

იმ მოქალაქეთა მიერ დადებული გარიგებანი, რომელთაც სასამართლომ შეუზღუდა ქმედუნარიანობა, შეიძლება დადასტურდეს მხოლოდ მზრუნველთა თანხმობით.

34. აღმასრულებელი კომიტეტების თანამდებობის პირები მოითხოვენ მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს წინასწარ ნებართვას მეურვის უფლებით დადონ და მზრუნველის უფლებით — თანხმობა განაცხადონ სამეურვეო პირის სახელით ისეთ გარიგებათა დასადებად, რაც საყოფაცხოვრებო გარიგებათა ფარგლებს სცილდება. კერძოდ, მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს წინასწარი ნებართვა საჭიროა სანოტარო წესით დასადასტურებელ ხელშეკრულებათა დასადებად, სამეურვეო პირის კუთვნილ უფლებებზე უარის სათქმელად, ქონების გასაყოფად, საცხოვრებელი სადგომების გასაცვლელად და ქონების გასასხვისებლად.

სამეურვეო პირის სახელით ნაჩუქრობის ხელშეკრულების დადასტურება არ შეიძლება.

ეს წესები ვრცელდება იმ გარიგებებზეც, რომლებსაც სდებენ მშობლები (მშვილებლები) თავიანთი არასრულწლოვანი შვილების მეურვეთა (მზრუნველთა) სახით (საქართველოს სსრ საქორწინო და საოჯახო კოდექსის 150-ე მუხლი).

35. გარიგებაში მონაწილე იურიდიულ პირთა უფლებაუნარიანობის შემოწმებისას მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების თანამდებობის პირები, რომლებიც სანოტარო მოქმედებას ასრულებენ, მოვალენი არიან გაეცნონ იურიდიული პირის წესდებას ან დებულებას და შეამოწმონ, შეესაბამება თუ არა შესასრულებელი მოქმედება წესდებით ან დებულებით იურიდიული პირისათვის მინიჭებულ უფლებებს.

ისეთი გარიგების დადასტურებისას, რომელშიც მხარეა კოლმეურნეობა, მოწმდება, რეგისტირებულია თუ არა მოცემული კოლმეურნეობის წესდება მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტში.

36. წარმომადგენლის მიერ გარიგების შესრულების შემთხვევაში შემოწმდება მისი უფლებამოსილება. წარმომადგენლის უფლებამოსილება დასტურდება მის სახელზე გაცემული რწმუნებულებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აღმასრულებელი კომიტეტების თანამდებობის პირები არ მოითხოვენ რწმუნებულებას გარიგების დასადებად და სხვა მოქმედების შესასრულებლად იმ იურიდიულ პირთა ხელმძღვანელებისაგან, რომელთაც წესდებით ან დებულებით მინიჭებული აქვთ გარიგების დადების უფლება. ამ შემთხვევებში მათ მოეთხოვებათ მხოლოდ თანამდებობრივი მდგომარეობის დამადასტურებელი დოკუმენტი.

თუ იურიდიულ პირს განაგებს არჩევითი კოლეგიალური ორგანო, ამ ორგანოს ხელმძღვანელს უნდა მოეთხოვოს დოკუმენტი მისი არჩევის შესახებ.

37. ხელშეკრულებები, ანდერძები, რწმუნებულებები და სხვა დოკუმენტები, რომლებშიც ჩამოყალიბებულია სანოტარო წესით დასადასტურებელ გარიგებათა შინაარსი, აღმასრულებელი კომიტეტების თანამდებობის პირებს წარედგინებათ სულ ცოტა ორ ეგზემპლარად მაინც, რომელთაგან ერთი რჩება მშრომელთა დეპუტატების შესაბამისი საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის საქმეებში.

ყველა ცალს ხელს მოაწერენ გარიგების მონაწილენი. დამადასტურებელი წარწერა ასევე გაკეთდება ყველა ეგზემპლარზე. გარიგების მონაწილეთა სურვილისამებრ ყოველ მათგანს მიეცემა თითო ცალი.

საცხოვრებელი სახლის (სახლის ნაწილის) ან ინდივიდუალურ მენაშენეთა საბინაო-სამშენებლო კოლექტივის მრავალბინიან სახლში ბინის გასხვისების ხელშეკრულებათა დადასტურება

38. საცხოვრებელი სახლის (სახლის ნაწილის) ან ინდივიდუალურ მენაშენეთა საბინაო-სამშენებლო კოლექტივის მრავალბინიან სახლში ბინის გასხვისების ხელშეკრულებათა დადასტურება საცხოვრებელი სახლის ადგილსამყოფელის მიხედვით.

39. საცხოვრებელი სახლის (სახლის ნაწილის) ან ინდივიდუალურ მენაშენეთა საბინაო-სამშენებლო კოლექტივის მრავალბინიან სახლში ბინის გასხვისების ხელშეკრულებათა სანოტარო დადასტურებისას აღმასრულებელი კომიტეტების თანამდებობის პირები ამოწმებენ, ეკუთვნის თუ არა ეს ქონება პირადი საკუთრების უფლებით გამსხვისებელ პირს, აგრეთვე, ხომ არ არის დადებული ყადაღა აღნიშნული ქონების გასხვისებაზე.

ქალაქში ან ქალაქის ტიპის დაბაში არსებულ გასასხვისებელ საცხოვრებელ სახლზე (სახლის ნაწილზე) ან ბინაზე მოქალაქეთა პირადი საკუთრების უფლება შეიძლება დადასტურდეს, კერძოდ, ერთ-ერთი შემდეგი დოკუმენტით:

ნოტარიულად დადასტურებული დოკუმენტი პირადი საკუთრების უფლებით საცხოვრებელი სახლის ასაშენებლად მიწის ნაკვეთის მიცემის შესახებ (ხელშეკრულება განაშენიანების უფლების შესახებ, დადებული 1948 წლის 26 აგვისტომდე), აგრეთვე ხელშეკრულება ინდივიდუალურ მენაშენეთა საბინაო-სამშენებლო კოლექტივისათვის საცხოვრებელი სახლის ასაშენებლად მიწის ნაკვეთის მიცემის შესახებ;

ნოტარიულად დადასტურებული (ან 1931-1936 წლებისათვის კომუნალური ორგანოს მიერ დამოწმებული) ყიდვა-გაყიდვის (მათ შორის გამყიდველის

ეროვნული ბიბლიოთეკა

გარდაცვალებამდე რჩენის პირობით), ნაჩუქრობის, გაცვლილობის ხელშეკრულება;

საჯარო ვაჭრობით საცხოვრებელი სახლის შეძენის აქტის ასლი;

აქტი სახლის დემუნიციპალიზაციის შესახებ;

მემკვიდრეობის უფლების მოწმობა;

მეუღლეთა საერთო ქონებაში წილზე საკუთრების უფლების მოწმობა;

სახლზე საკუთრების უფლების დამადასტურებელი კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გადაწყვეტილების ასლი;

ხელშეკრულება სახლის გაყოფის შესახებ;

მეუღლეთა შორის სახლის გაყოფის შესახებ ამხანაგური სასამართლოს გადაწყვეტილების ასლი;

საბინაო-კომუნალური მეურნეობის ორგანოს სარეგისტრაციო მოწმობა.

ჩამოთვლილ დოკუმენტებზე (საბინაო-კომუნალური მეურნეობის ორგანოს სარეგისტრაციო მოწმობის გარდა) აღნიშნული უნდა იყოს, რომ ისინი რეგისტრირებულია მშრომელთა დეპუტატების შესაბამისი რაიონული, საქალაქო საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტში (ტექნიკური ინვენტარიზაციის ბიუროში).

გასასხვისებელ საცხოვრებელ სახლზე (სახლის ნაწილზე), ინდივიდუალურ მენაშენეთა საბინაო-სამშენებლო კოლექტივის მრავალბინიან სახლში ბინაზე უფლების განმსაზღვრელი დოკუმენტის გარდა გამოითხოვება ტექნიკური ინვენტარიზაციის ბიუროს ცნობა (იმ შემთხვევებში, როცა ჩატარებულია ინვენტარიზაცია) და საფინანსო ორგანოს ცნობა გადასახადის დავალიანების არარსებობის შესახებ (ამ ინსტრუქციის 31-ე პუნქტი).

40. ხელშეკრულება საცხოვრებელი სახლის (სახლის ნაწილის) ან ინდივიდუალურ მენაშენეთა საბინაო-სამშენებლო კოლექტივის მრავალბინიან სახლში ბინის გასხვისების შესახებ შეიძლება დადასტურდეს იმ პირობით, თუ საცხოვრებელი სახლის (სახლის ნაწილის) ან ბინის ყიდვა-გაყიდვის ანდა გაცვლის შედეგად შემძენს, მასთან ერთად მცხოვრებ მეუღლეს და მათს არასრულწლოვან შვილებს არ აღმოაჩნდებათ ერთ საცხოვრებელ სახლზე (სახლის ნაწილზე), ბინაზე მეტი. თუ ერთ ან რამდენიმე ზემოაღნიშნულ მოქალაქეს პირადი საკუთრების უფლებით ექნება საცხოვრებელი სახლის ნაწილი, ეს არ შეიძლება წარმოადგენდეს დაბრკოლებას ხელშეკრულების დადასტურებისათვის იმ შემთხვევაში, როცა აღნიშნული სახლის მეორე ნაწილს იძენს დანარჩენი ხსენებული მოქალაქეთაგანი. სახლის (სახლის ნაწილის), ბინის ყიდვა-გაყიდვის, გაცვლილობის ხელშეკრულების მიხედვით შეძენილი საცხოვრებელი ფართობის ზღვრული ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 60 კვადრატულ მეტრს.

საცხოვრებელი სახლის (სახლის ნაწილის), ბინის ყიდვა-გაყიდვის ან გაცვლილობის ხელშეკრულება 60 კვადრატულ მეტრზე მეტი საცხოვრებელი ფართობის შეძენაში შეიძლება დადასტურდეს მხოლოდ მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის ნებართვით იმასთან დაკავშირებით, რომ შემძენს ჰყავს დიდი ოჯახი ან აქვს დამატებითი საცხოვრებელი ფართობის უფლება. ასეთ შემთხვევაში სახლის (სახლის ნაწილის), ბინის საცხოვრებელი ფართობი არ უნდა აღემატებოდეს იმ ოდენობას, რაც მოცემული ოჯახისათვის განსაზღვრულია ერთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

კაცზე საცხოვრებელი ფართობის დაწესებული ნორმების მიხედვით, დამატებითი საცხოვრებელი ფართობის უფლების გათვალისწინებით (საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 104-ე მუხლი).

საცხოვრებელი სახლის (სახლის ნაწილის), ბინის ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულების დადასტურებისას დაცული უნდა იქნეს აგრეთვე ის პირობა, რომ მესაკუთრეს არ გაეყიდოს ერთ საცხოვრებელ სახლზე (ერთი სახლის ნაწილზე) ან ბინაზე მეტი სამი წლის განმავლობაში, გარდა შემთხვევებისა, როცა გამყიდველს, მასთან ერთად მცხოვრებ მეუღლეს და მათს არასრულწლოვან შვილებს აღმოაჩნდებათ ერთზე მეტი სახლი კანონით დასაშვებ საფუძველზე.

41. საცხოვრებელი სახლის (სახლის ნაწილის) ან ინდივიდუალურ მენაშენეთა საბინაო-სამშენებლო კოლექტივის მრავალბინიან სახლში ბინის გასხვისების ხელშეკრულებათა დადასტურებისას აღმასრულებელი კომიტეტების თანამდებობის პირები ამოწმებენ, რომ აკრძალული არ არის გასხვისება და დადებული არ არის ყადაღა.

მიუხედავად იმისა, ტექნიკური ინვენტარიზაციის ბიუროს ცნობაში აღნიშნულია თუ არა აკრძალვის ან ყადაღის არარსებობა, აღმასრულებელი კომიტეტების თანამდებობის პირები მოვალენი არიან შეამოწმონ ეს მონაცემები აღმასრულებელი კომიტეტისა და მოცემული რაიონის სანოტარო კანტორის დოკუმენტების მიხედვით.

თუ გასხვისება აკრძალულია, საცხოვრებელი სახლის (სახლის ნაწილის) ან ბინის გასხვისების ხელშეკრულება შეიძლება დადასტურდეს მხოლოდ იმ პირობით, თუ კრედიტორი და შემძენი თანახმანი არიან ვალი გადატანილ იქნეს შემძენზე, ხოლო თუ დადებულია ყადაღა, — მხოლოდ მისი მოხსნის შემდეგ.

42. საცხოვრებელი სახლის (სახლის ნაწილის) ან ინდივიდუალურ მენაშენეთა საბინაო-სამშენებლო კოლექტივის მრავალბინიან სახლში ბინის გასხვისების ხელშეკრულებათა დადასტურებისას საჭიროა გადასახადის გადახდის დამამტკიცებელი დოკუმენტების წარდგენა (ამ ინსტრუქციის 31-ე პუნქტი).

43. იმ საცხოვრებელი სახლის (სახლის ნაწილის) ან ინდივიდუალურ მენაშენეთა საბინაო-სამშენებლო კოლექტივის მრავალბინიან სახლში ბინის გასხვისების ხელშეკრულება, რომლებიც შეძენილია ქორწინების რეგისტრაციის შემდეგ, შეიძლება დადასტურდეს მხოლოდ მაშინ, თუ წარდგენილი იქნება მეორე მხარის (ცოლის, ქმრის) თანხმობა სახლის (სახლის ნაწილის) ან ბინის გასხვისების შესახებ.

საცხოვრებელი სახლის (სახლის ნაწილის) ან ბინის გასხვისებაზე თანხმობის შესახებ მეუღლის განცხადების ხელმოწერის ნამდვილობა სანოტარო წესით უნდა დაამოწმოს ორგანიზაციამ, რომელშიც მუშაობს ან სწავლობს მეუღლე, ანდა იმ სახლის მმართველობამ, რომელშიც იგი ცხოვრობს, ანდა იმ სამკურნალო დაწესებულების ადმინისტრაციამ, რომელშიც იგი იმყოფება განსაკურნავად. ხელმოწერის ნამდვილობის დამოწმება საჭირო არ არის, თუ მეუღლე პირადად გამოცხადდება მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტში და აღმასრულებელი კომიტეტის თანამდებობის პირს, რომელიც ასრულებს სანოტარო მოქმედებას, ჩააბარებს განცხადებას გასხვისებაზე თანხმობის შესახებ. ამ შემთხვევაში აღმასრულებელი კომიტეტის თანამდე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბობის პირი დაადგენს მეუღლის ვინაობას და შეამოწმებს მისი ხელმოწერის ნამდვილობას, რასაც აღნიშნავს განცხადებაზე, სადაც მიუთითებს მეუღლის ვინაობის დამადასტურებელი დოკუმენტის დასახელებას, მის ნომერს, გაცემის თარიღს და დოკუმენტის გამცემი დაწესებულების დასახელებას.

44. საცხოვრებელი სახლის (სახლის ნაწილის) ან ინდივიდუალურ მენაშენეთა საბინაო-სამშენებლო კოლექტივის მრავალბინიან სახლში ბინის გასხვისების ხელშეკრულება შეიძლება დადასტურდეს მეორე მხარის (ცოლის, ქმრის) თანხმობის გამოუთხოვად, თუ უფლებადამადასტურებელი დოკუმენტიდან და ქორწინების მოწმობიდან ან სხვა დოკუმენტებიდან ჩანს, რომ სახლი (სახლის ნაწილი) ან ბინა საერთო კი არარის, არამედ ერთი მხარის (ცოლის, ქმრის) პირადი საკუთრებაა (შეძენილია მეუღლეთა დაქორწინებამდე, მიღებულია მემკვიდრეობით ან ნაჩუქრობის ხელშეკრულებით, ანდა ქორწინების განმავლობაში შეძენილი სახლის გაყოფის შედეგად).

სახლის (სახლის ნაწილის) ან ბინის გასხვისების ხელშეკრულება შეიძლება დადასტურდეს მეორე მხარის (ცოლის, ქმრის) თანხმობის გამოუთხოვად იმ შემთხვევებშიც, როცა იგი არ ცხოვრობს სახლის ადგილსამყოფელზე და მისი საცხოვრებელი ადგილი უცნობია. ამის დასადასტურებლად წარდგენილ უნდა იქნეს კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გადაწყვეტილება იმის შესახებ, რომ მისი ადგილსამყოფელი უცნობია.

ისეთ შემთხვევაში, როცა სახლის (სახლის ნაწილის) ან ბინის გამსხვისებელი პირის მეუღლე თავს არიდებს წერილობითი პასუხის გაცემას იმ შეკითხვაზე, რომ თანახმაა საცხოვრებელი სახლი (სახლის ნაწილი) ან ბინა გაასხვისოს მეორე მხარემ (ცოლმა, ქმარმა), რომლის სახელზეც არის იგი რეგისტრირებული, ამ უკანასკნელთ შეიძლება გადაეცეთ სახელმწიფო ნოტარიატის შესახებ საქართველოს სსრ კანონის 71-ე მუხლის შესაბამისად მეუღლის განცხადება იმ წინადადებით, რომ გამოცხადდეს მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტში, რათა გაირკვეს მისი წილი გასხვისებულ ქონებაში. თუ იგი არ გამოცხადდება აღმასრულებელ კომიტეტში დანიშნულ ვადაზე და არ გაგზავნის განცხადების ჩაბარების დღიდან ერთი თვის განმავლობაში თავის მოსაზრებებს, აღმასრულებელი კომიტეტის თანამდებობის პირს შეუძლია დაადასტუროს სახლის (სახლის ნაწილის) ან ბინის გასხვისების ხელშეკრულება იმ მეუღლის სახელით, რომელზეც ირიცხება ეს ქონება უფლებადამადასტურებელი დოკუმენტის მიხედვით.

თუ სახლის (სახლის ნაწილის) ან ბინის გამსხვისებელი მოქალაქე წარადგენს წერილობით განცხადებას იმის შესახებ, რომ მას არა ჰყავს მეუღლე (მარტოხელაა, ქვრივია), მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თანამდებობის პირი ამას აცნობებს გარიგების მეორე მონაწილეს, რომელიც იმის დასტურად, რომ აღნიშნული გარემოება მისთვის ცნობილია, ხელს აწერს განცხადებაზე. ეს განცხადება უნდა გამომდინარეობდეს პირადად სახლის გამსხვისებელი პირისაგან, ხოლო წარმომადგენლის მეშვეობით გარიგების დადების შემთხვევაში, — წარმომადგენლისაგან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

45. თუ საერთო წილობრივი საკუთრების ერთ-ერთი მონაწილის კუთვნილ წილს საცხოვრებელ სახლში ყიდულობს გარეშე პირი, ხელშეკრულება ამის შესახებ შეიძლება დადასტურდეს მას შემდეგ, რაც წარდგენილ იქნება წერილობითი ფორმით იმის დამამტკიცებელი დოკუმენტი, რომ საერთო წილობრივი საკუთრების დანარჩენი მონაწილეებისათვის ცნობილია სახლის მომავალი გაყიდვის შესახებ, ფასი და სხვა პირობები, რომლებშიც იყიდება სახლის წილი, და რომ საერთო წილობრივი საკუთრების მონაწილენი უარს აცხადებენ საცხოვრებელი სახლის წილის უპირატესი შესყიდვის უფლებაზე.

აღნიშნული ხელშეკრულება შეიძლება დადასტურდეს იმ შემთხვევაში, თუ საერთო წილობრივი საკუთრების მონაწილენი არ განახორციელებენ უპირატესი შესყიდვის უფლებებს იმ დღიდან ერთი თვის განმავლობაში, რაც მათ წერილობითი ფორმით ეცნობათ საცხოვრებელი სახლის წილის გაყიდვის განზრახვა და პირობები (საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 116-ე მუხლი).

გარეშე პირისათვის საცხოვრებელი სახლის ნაწილის ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულება შეიძლება დადასტურდეს იმ შემთხვევაშიც, თუ საერთო წილობრივი საკუთრების სხვა მონაწილენი არ ცხოვრობენ სახლის ადგილსამყოფელზე და მათი მისამართი უცნობია. ამ გარემოების დასადასტურებლად საჭიროა ცნობათა ბიუროს (სამისამართო მაგიდის) დოკუმენტი.

საცხოვრებელი სახლის წილის ნაჩუქრობისა და გაცვლილობის ხელშეკრულებათა დადასტურებისას ამ პუნქტის წესები არ გამოიყენება.

46. საცხოვრებელი სახლის წილის გასხვისების ხელშეკრულების ტექსტში აღინიშნება არითმეტიკული წილი (1/2, 1/3 და ა. შ.), და არა სახლის კონკრეტული ნაწილები.

მხარეთა სურვილისამებრ, არითმეტიკულ წილთან ერთად, საცხოვრებელი სახლის წილის გასხვისების ხელშეკრულების ცალკე პუნქტში შეიძლება აღინიშნოს მისი კონკრეტული ნაწილებით (ბინებით, სართულებით, ოთახებით და ა. შ.) სარგებლობის წესი აღნიშნული წილების შესაბამისად.

სახლის წილის გასხვისება აღინიშნება იმ დოკუმენტზე, რომელიც დადასტურებს სახლზე პირადი საკუთრების უფლებას.

47. საცხოვრებელი სახლის (სახლის ნაწილის) ან ინდივიდუალურ მენაშენეთა საბინაო-სამშენებლო კოლექტივის მრავალბინიან სახლში ბინის ყიდვა-გაყიდვის, გაცვლილობის ხელშეკრულების დადასტურებისას აღმასრულებელი კომიტეტების თანამდებობის პირები განუმარტავენ გამყიდველსა და მყიდველს საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 104-ე და 238-ე მუხლების შინაარსს, ხოლო სახლის (სახლის ნაწილის) ან ბინის ნაჩუქრობის ხელშეკრულების დადასტურებისას იმ პირს, ვისაც იგი აჩუქეს, განემარტება საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 105-ე მუხლის შინაარსი, რაც აღინიშნება ხელშეკრულებათა ტექსტში.

გამყიდველის გარდაცვალებამდე რჩენის პირობით საცხოვრებელი სახლის (სახლის ნაწილის) ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულების ტექსტში უნდა აღინიშ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნოს, რომ მყიდველს განემარტა საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 439-ე, 441-ე, 443-ე მუხლების შინაარსი.

— ქალაქში ან ქალაქის ტიპის დაბაში მდებარე საცხოვრებელი სახლის (სახლის ნაწილის) ან ინდივიდუალურ მენაშენეთა საბინაო-სამშენებლო კოლექტივის მრავალბინიან სახლში ბინის გასხვისების ხელშეკრულების დამადასტურებელ წარწერაში აღინიშნება, რომ ხელშეკრულება უნდა წარედგინოს სარეგისტრაციოდ არა უგვიანეს სამი თვისა მისი დადების დღიდან მშრომელთა დეპუტატების საქალაქო, სადაბო საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს (ან ტექნიკური ინვენტარიზაციის ბიუროს).

48. საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 239-ე მუხლის შესაბამისად სასოფლო დასახლებულ პუნქტებში მდებარე საცხოვრებელი სახლების გასხვისების (ყიდვა-გაყიდვის, ნაჩუქრობის, გაცვლილობის) ხელშეკრულებანი არ საჭიროებენ სანოტარო წესით სავალდებულო დადასტურებას. მაგრამ მხარეთა სურვილისამებრ ასეთი ხელშეკრულებანი შეიძლება დადასტურდეს სანოტარო წესით ამ ინსტრუქციის 38-47-ე პუნქტებში ჩამოყალიბებული წესების დაცვით. ამასთან საცხოვრებელი სახლის გასხვისების ხელშეკრულების დამადასტურებელ წარწერაში აღინიშნება, რომ ხელშეკრულება უნდა წარედგინოს სარეგისტრაციოდ მშრომელთა დეპუტატების სასოფლო საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს ხელშეკრულების დადების დღიდან არა უმეტეს სამი თვის განმავლობაში. საკოლმეურნეო (ერთპიროვნული გლეხური) კომლის კუთვნილი საცხოვრებელი სახლის გასხვისების ხელშეკრულების დადასტურებისას გამოთხოვილ უნდა იქნეს საკოლმეურნეო (ერთპიროვნული გლეხური) კომლის ყველა სრულწლოვანი წევრის წერილობითი თანხმობა საცხოვრებელი სახლის გასხვისებაზე, ხოლო თუ მათ შემადგენლობაში არიან არასრულწლოვანი და სხვა არაქმედუნარიანი პირები,—აგრეთვე მეურვეობის ან მზრუნველობის ორგანოს წერილობითი თანხმობა.

კოლმეურნეობისათვის, საბჭოთა მეურნეობისათვის ან სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოს, ორგანიზაციისა და დაწესებულებისათვის მიჩენილ მიწაზე მდებარე საცხოვრებელი სახლის გასხვისების შემთხვევაში გამოთხოვილ უნდა იქნეს კოლმეურნეობის წევრთა საერთო კრების გადაწყვეტილება ანდა საბჭოთა მეურნეობის ან სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოს, ორგანიზაციის, დაწესებულების ადმინისტრაციის გადაწყვეტილება იმის შესახებ, რომ საკარმიდამო ნაკვეთი მთლიანად ან ნაწილობრივ უნარჩუნდება სახლის შემძენს, ამასთან უნდა აღინიშნოს მისი ფართობი.

გამსხვისებელ პირზე საცხოვრებელი სახლის კუთვნილება, იმ მიწის ნაკვეთის ფართობი, რომელზეც იგი მდებარეობს, სახლის სადაზღვევო შეფასება, გადასახადების დავალიანების არარსებობა, აგრეთვე სახლის გასხვისების-აკრძალვის ან მასზე ყადაღის დადების არარსებობა მოწმდება მშრომელთა დეპუტატების სადაბო, სასოფლო საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტში არსებული მონაცემების მიხედვით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

49. გამყიდველის გარდაცვალებამდე რჩენის პირობით საცხოვრებელი სახლის (სახლის ნაწილის) ან ინდივიდუალურ მენაშენეთა საბინაო-სამშენებლო კოლექტივის მრავალბინიან სახლში ბინის ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულების დადასტურებისას უნდა შემოწმდეს, არის თუ არა სახლის (სახლის ნაწილის) ან ბინის გამყიდველი შრომისუუნარო (ასაკის ან ჯანმრთელობის მდგომარეობის მიხედვით), რაც აღინიშნება ხელშეკრულების ტექსტში.

50. მოქალაქეთა პირადი საკუთრების საცხოვრებელი სახლის ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებანი სახელმწიფო დაწესებულებების, საწარმოებისა და ორგანიზაციების მიერ მათი შეძენის შემთხვევაში დასტურდება იმ პირობით, თუ საცხოვრებელ სახლს ყიდულობენ მათთვის გამოყოფილ კაპიტალურ დაბანდებათა ხარჯზე იმ ფასად, რაც არ აღემატება სავალდებულო სადაზღვევო შეფასებას, და თუ არსებობს შესაბამისი ნებართვა სახლის ყიდვის თაობაზე.

კოოპერაციული და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიერ აღნიშნული სახლების შეძენისას ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებანი დასტურდება, თუ სახლებს ყიდულობენ იმ ფასად, რაც არ აღემატება სახლების საინვენტარიზაციო შეფასებას, ხოლო ისეთ ადგილებში, სადაც ინვენტარიზაცია არ ჩატარებულა, — სადაზღვევო შეფასებას.

საცხოვრებელი სახლის (სახლის ნაწილის) ან ინდივიდუალურ მენაშენეთა საბინაო-სამშენებლო კოლექტივის მრავალბინიან სახლში ბინის გირავნობის ხელშეკრულებათა დადასტურება

51. საცხოვრებელი სახლის (სახლის ნაწილის) ან ინდივიდუალურ მენაშენეთა საბინაო-სამშენებლო კოლექტივის მრავალბინიან სახლში ბინის გირავნობის ხელშეკრულებებს დაადასტურებენ აღმასრულებელი კომიტეტების თანამდებობის პირები საცხოვრებელი სახლის ადგილსამყოფელის მიხედვით.

52. საცხოვრებელი სახლის (სახლის ნაწილის) ან ინდივიდუალურ მენაშენეთა საბინაო-სამშენებლო კოლექტივის მრავალბინიან სახლში ბინის გირავნობის ხელშეკრულებათა სანოტარო წესით დადასტურებისას მოწმდება, ეკუთვნის თუ არა ეს ქონება პირადი საკუთრების უფლებით დამგირავებელს, და რომ არ არის დადებული ყადაღა გასხვისებაზე, და გამოთხოვილ იქნება ამ ინსტრუქციის 31-ე პუნქტში აღნიშნული დოკუმენტები. თუ ხელშეკრულების დადასტურება ხდება მშრომელთა დეპუტატების საქალაქო ან სადაბო საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტში, მაშინ დასაგირავებელი სახლის (სახლის ნაწილის) ან ბინის საკუთრების უფლების დამადასტურებელი დოკუმენტის გარდა გამოთხოვილ იქნება აგრეთვე ტექნიკური ინვენტარიზაციის ბიუროს ცნობა.

მშრომელთა დეპუტატების სასოფლო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი შეამოწმებს დასაგირავებელი საცხოვრებელი სახლის (სახლის ნაწილის) ან ინდივიდუალურ მენაშენეთა საბინაო-სამშენებლო კოლექტივის სახლში ბინის კუთვნილებას და გადასახადების დავალიანების უქონლობას ამ აღმასრულებელ კომიტეტში არსებული მონაცემების მიხედვით.

მუზ. 61
ეროვნული
ბიბლიოთეკა

53. საცხოვრებელი სახლის (სახლის ნაწილის) ან ბინის გირავნობის ხელშეკრულების დადასტურებისას იმავდროულად დაედება ყადაღა დასაგირავებელი სახლის (სახლის ნაწილის) ან ბინის გასხვისებას. გასხვისებაზე ყადაღის დადება ხდება ამ ინსტრუქციის 73-75-ე პუნქტებში ჩამოყალიბებული წესების მიხედვით.

მოქალაქეთა პირადი საკუთრების ავტომოტოსატრანსპორტო საშუალებების გასხვისების ხელშეკრულებათა დადასტურება

54. მსუბუქი ავტომობილებისა და ეტლიანი მოტოციკლების ყიდვა-გაყიდვის და გაცვლილობის ხელშეკრულებათა სანოტარო წესით დადასტურება არ დაიშვება.

55. მსუბუქი ავტომობილებისა და ეტლიანი მოტოციკლების ნაჩუქრობის ხელშეკრულებათა დადასტურებისას მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თანამდებობის პირი, რომელიც სანოტარო მოქმედებას ასრულებს, გამოარკვევს, ნაჩუქრობა ხომ არ ხდება კანონის გვერდის ავლით და აღნიშნულ ავტომოტოსატრანსპორტო საშუალებათა ყიდვა-გაყიდვის დადგენილი წესის დარღვევით.

მსუბუქი ავტომობილებისა და მოტოციკლების ნაჩუქრობის ხელშეკრულებათა დადასტურებისას მოწმდება, ეკუთვნის თუ არა ისინი მჩუქებელ პირს, აგრეთვე საჭიროა ავტოსატრანსპორტო საშუალებათა მესაკუთრისათვის გადასახდევინებელი გამოსაღების გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენა (ამ ინსტრუქციის 31-ე პუნქტი). ის ფაქტი, რომ აღნიშნული საშუალებანი მჩუქებელს ეკუთვნის, შემოწმდება ტექნიკური პასპორტის გასინჯვით.

დამადასტურებელ წარწერაში აღინიშნება, რომ აღმასრულებელი კომიტეტის თანამდებობის პირმა შეამოწმა გამსხვისებელი პირის ავტომობილის (მოტოციკლის) კუთვნილება და განემარტება პირს, რომელსაც იგი აჩუქეს, რომ ხელშეკრულება უნდა წარუდგინოს სარეგისტრაციოდ სახელმწიფო ავტოინსპექციის ორგანოებს.

ინვალიდთა მიერ შეღავათიან პირობებში შეძენილი ხელით სამართავი მსუბუქი ავტომობილების ნაჩუქრობის ხელშეკრულება სანოტარო წესით შეიძლება დადასტურდეს მხოლოდ იმ პირობით, თუ გაცემულია ნებართვა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის სოციალური უზრუნველყოფის განყოფილების, აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ და საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროების მიერ.

ხელშეკრულება იმ სატრანსპორტო საშუალებათა გასხვისების შესახებ, რომლებიც შეძენილია ქორწინების რეგისტრაციის შემდეგ და მეუღლეთა ერთობლივ საკუთრებას წარმოადგენენ, შეიძლება დადასტურდეს მხოლოდ იმ პირობით, თუ მეორე მხარე (ცოლი, ქმარი) წერილობით აცხადებს თანხმობას აღნიშნულ სატრანსპორტო საშუალებათა გასხვისებაზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თანხმობა უნდა გაფორმდეს ამ ინსტრუქციის 43-ე პუნქტის მეორე ნაწილით დადგენილი წესით.

56. სახელმწიფო ავტოინსპექციაში სარეგისტრაციო ავტომოტოსატრანსპორტო საშუალებების (რომლებიც აღნიშნული არაა ამ ინსტრუქციის 54-ე პუნქტში), აგრეთვე კატარღებისა და მოტორიანი ნავების გასხვისების (ყიდვა-გაყიდვის, გაცვლილობის, ნაჩუქრობის) ხელშეკრულებათა დადასტურებისას მოწმდება მათი კუთვნილება გამსხვისებელ პირზე — შესაბამისად — ტექნიკური პასპორტის, გემის მოწმობის, გემის ბილეთის მიხედვით და აღნიშნული პირის მიერ გამოსაღების გადახდა.

ანდერძის დამოწმება

57. აღმასრულებელი კომიტეტების თანამდებობის პირები ადასტურებენ ქმედუნარიან მოქალაქეთა ანდერძს მოანდერძის თანდასწრებით. ანდერძის დადასტურება წარმომადგენლის მეშვეობით არ დაიშვება. არ შეიძლება დადასტურდეს აგრეთვე რამდენიმე პირის სახელით შედგენილი ერთი ანდერძი.

58. ანდერძი უნდა შედგეს წერილობით, მისი შედგენის ადგილისა და დროის აღნიშვნით და მოანდერძემ პირადად უნდა მოაწეროს ხელი (საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 551-ე მუხლი), თუ მოანდერძე ფიზიკური ნაკლის, ავადმყოფობის ან სხვა მიზეზის გამო თვითონ ვერ მოაწერს ხელს, მისი თხოვნით შეიძლება ანდერძს ხელი მოაწეროს სხვა მოქალაქემ აღმასრულებელი კომიტეტის თანამდებობის პირის თანდასწრებით, ამასთან უნდა აღინიშნოს მიზეზი, რის გამოც მოანდერძემ თვითონ ვერ შეძლო ანდერძზე ხელის მოწერა.

პირს, რომელსაც უანდერძებენ ქონებას, არ შეუძლია დაესწროს ანდერძის დადასტურებას და ხელი მოაწეროს მას მოანდერძის მაგიერ.

59. ანდერძის დადასტურებისას აღმასრულებელი კომიტეტის თანამდებობის პირი განუმარტავს მოანდერძეს, რომ საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 547-ე მუხლის თანახმად სამკვიდროს დამტოვებლის არასრულწლოვან შრომისუუნარო შვილებს (მათ შორის შვილობილებს), აგრეთვე გარდაცვლილის შრომისუუნარო მეუღლეს, მშობლებს (მშვილებლებს) და მის რჩენაზე მყოფ სხვა მემკვიდრეებს, ანდერძის შინაარსის მიუხედავად ეკუთვნით სამკვიდრო წილი, რომელიც არ შეიძლება იყოს იმ წილის ორ მესამედზე ნაკლები, რაც თითოეულ მათგანს კანონისმიერი მემკვიდრეობის დროს ერგებოდათ (სავალდებულო წილი). სავალდებულო წილის ოდენობის განსაზღვრის დროს მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული აგრეთვე იმ სამკვიდრო ქონების ღირებულება, რაც ჩვეულებრივი საოჯახო მოწყობილობისა და საყოფაცხოვრებო საგნებისაგან შედგება. მაგრამ, თუ ანდერძის საგანს წარმოადგენს მხოლოდ სახელმწიფო შრომითს შემნახველ სალაროში ან სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკში შეტანილი ანაბარი, საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 547-ე მუხლის შინაარსი მოანდერძეს არ განემარტება, ვინაიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

ანაბარზე ანდერძის არსებობისას იგი არ შედის სამკვიდრო ქონების შემადგენლობაში.

საკოლმეურნეო (ერთპიროვნული გლეხური) კომლის წევრებს განემარტებათ საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 569-ე მუხლის შინაარსი, რომლის თანახმად საკოლმეურნეო (ერთპიროვნული გლეხური) კომლის წევრის გარდაცვალების შემთხვევაში კომლის ქონებაში სამკვიდრო არ იხსნება.

თუ საკოლმეურნეო (ერთპიროვნული გლეხური) კომლის წევრის გარდაცვალების შემდეგ კომლში სხვა წევრები არ დარჩენილან, კომლის ქონების მიმართ გამოიყენება მემკვიდრეობის წესები.

იმის შესახებ, რომ მოანდერძეს განემარტა საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 547-ე და 569-ე მუხლები, აღინიშნება ანდერძის ტექსტში მოანდერძის ხელმოწერის წინ.

60. ანდერძის დადასტურებისას მოანდერძეს არ მოეთხოვება იმის დამადასტურებელი დოკუმენტების წარდგენა, რომ მას ეკუთვნის საანდერძო ქონება.

61. მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტში შემოღებული უნდა იყოს აღმასრულებელი კომიტეტის თანამდებობის პირის მიერ დადასტურებულ ანდერძთა აღრიცხვის ანბანური დავთარი.

62. იმ შემთხვევაში, თუ აღმასრულებელი კომიტეტის თანამდებობის პირმა მიიღო განცხადება დადასტურებული ანდერძის გაუქმების შესახებ, აგრეთვე მიიღო ახალი ანდერძი, რომელიც აუქმებს ან ცვლის დადასტურებულ ანდერძს, აღმასრულებელი კომიტეტის თანამდებობის პირი ამას აღნიშნავს ანბანურ წიგნში სანოტარო მოქმედების სარეგისტრაციო რეესტრში და ანდერძის იმ ეგზემპლარზე, რომელიც მშრომელთა დეპუტატების შესაბამისი საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტში ინახება. თუ მოანდერძე წარადგენს მის ხელთ არსებულ ანდერძის ეგზემპლარს, ანდერძის გაუქმება აღინიშნება ამ ეგზემპლარზე, რის შემდეგაც იგი განცხადებასთან ერთად (თუ ანდერძი გაუქმებულია განცხადებით) თან დაერთვის აღმასრულებელ კომიტეტში არსებულ ანდერძის ეგზემპლარს.

ანდერძის გაუქმების შესახებ განცხადების ხელმოწერის ნამდვილობა უნდა დამოწმდეს სანოტარო წესით.

თუ გასაუქმებელი ანდერძი დადასტურებულია მშრომელთა დეპუტატების სხვა ადგილობრივი საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტში (სახელმწიფო სანოტარო კანტორაში), განცხადებას მისი გაუქმების შესახებ მოანდერძე ან აღმასრულებელი კომიტეტის თანამდებობის პირი გაუგზავნის ანდერძის დამადასტურებელ ადგილობრივი საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს (სახელმწიფო სანოტარო კანტორას).

ეროვნული ბიბლიოთეკა

რწმუნებულებათა დადასტურება

63. აღმასრულებელი კომიტეტების თანამდებობის პირები ადასტურებენ რწმუნებულებებს ერთი ან რამდენიმე პირის სახელით, ერთი ან რამდენიმე პირის სახელზე.

რწმუნებულების ტექსტში უნდა აღინიშნოს მისი შედგენის (ხელმოწერის) ადგილი და თარიღი, რწმუნებულების გამცემი პირის და იმ პირის გვარი, სახელი, მამის სახელი და საცხოვრებელი ადგილი, რომლის სახელზედაც გაცემულია იგი. რწმუნებულებაში ადვოკატის სახელზე აღინიშნება მისი მუშაობის ადგილი (იურიდიული კონსულტაცია).

იურიდიული პირის სახელით გაცემულ რწმუნებულებაში აღინიშნება მისი სრული დასახელება, ხელმძღვანელი ორგანოს ადგილსამყოფელი და რწმუნებულების ხელმომწერი პირის თანამდებობრივი მდგომარეობა

რწმუნებულების მოქმედების ვადა აღინიშნება სიტყვებით და არ შეიძლება აღემატებოდეს სამ წელიწადს.

თუ რწმუნებულებაში ვადა აღნიშნული არ არის, იგი ინარჩუნებს ძალას მისი მიცემიდან ერთი წლის განმავლობაში.

რწმუნებულება, რომელშიც აღნიშნული არ არის მისი მიცემის თარიღი, ბათილია.

64. რწმუნების გადაცემის წესით გაცემული რწმუნებულება უნდა დადასტურდეს ნოტარიულად ძირითადი რწმუნებულების წარდგენის შემდეგ, რომელშიც ჩამოყალიბებულია რწმუნების გადაცემის უფლება, ანდა იმის დამადასტურებელი დოკუმენტების წარდგენის შემდეგ, რომ ძირითადი რწმუნებულების წარმომადგენელი იძულებულია საამისოდ რწმუნებულების გამცემის ინტერესების დაცვის გარემოებათა გამო (წარმომადგენლის მძიმე ავადმყოფობა, სტიქიური უბედურება, რის შედეგადაც წარმომადგენელს არ შეუძლია შეასრულოს დავალება და ა. შ.). რწმუნების გადაცემის წესით გაცემული რწმუნებულება არ უნდა შეიცავდეს იმაზე მეტ უფლებებს, რაც მიცემულია ძირითადი რწმუნებულების მიხედვით.

რწმუნების გადაცემის წესით გაცემული რწმუნებულების მოქმედების ვადა არ შეიძლება აღემატებოდეს იმ ძირითადი რწმუნებულების მოქმედების ვადას, რომლის საფუძველზეც არის იგი გაცემული (საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 69-ე მუხლი).

რწმუნების გადაცემის წესით დასადასტურებელ რწმუნებულებაში, გარდა იმ მოთხოვნებისა, რომელთაც შეიცავს აღნიშნული ინსტრუქციის 63-ე პუნქტი, უნდა აღინიშნოს აგრეთვე იმ რწმუნებულების დადასტურების დრო და ადგილი, რომლის საფუძველზეც არის იგი გაცემული.

ძირითად რწმუნებულებაზე აღინიშნება რწმუნების გადაცემა. ძირითადი რწმუნებულების ასლი თან დაერთვის რწმუნებულების იმ ეგზემპლარს, რომელიც რჩება მშრომელთა დეპუტატების შესაბამისი საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტში. რწმუნების გადაცემის წესით რწმუნებულების შემდგომი დადას-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტურებისას ძირითადი რწმუნებულების ასლი აღმასრულებელ კომიტეტში არ რჩება. ასეთ შემთხვევებში ძირითადი რწმუნებულება გამოითხოვება მხოლოდ გასაცნობად.

თ ა ვ ი II

ზომების მიღება სამკვიდრო ქონების დასაცავად

65. აღმასრულებელი კომიტეტების თანამდებობის პირები აცნობებენ სახელმწიფო დაწესებულებებს, საწარმოებსა და ორგანიზაციებს, კოლმეურნეობებსა და სხვა კოოპერაციულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, სასწავლებლებს, შინაგან საქმეთა ორგანოებს, საბინაო-საექსპლუატაციო კანტორებს, საბინაო-სამშენებლო და საგარაკო-სამშენებლო კოოპერატივების გამგეობებს, აგრეთვე საცხოვრებელი სახლების მესაკუთრე მოქალაქეებს, რომ სახელმწიფო ნოტარიატის შესახებ საქართველოს სსრ კანონის 46-ე მუხლის შესაბამისად ისინი მოვალენი არიან შეატყობინონ მშრომელთა დეპუტატების საქალაქო, სადაბო, სასოფლო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს იმ მოქალაქეთა გარდაცვალების შემდეგ დარჩენილი ქონების შესახებ, რომელთა მემკვიდრეები ადგილზე არ იმყოფებიან, და მათთვის ცნობილი მონაცემები სავარაუდო მემკვიდრეთა საცხოვრებელი ან სამუშაო ადგილის შესახებ.

66. აღმასრულებელი კომიტეტების თანამდებობის პირები სამკვიდროს გახსნის ადგილის მიხედვით (გარდაცვლილის უკანასკნელი მუდმივი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, ხოლო თუ ეს ცნობილი არ არის, — სამკვიდრო ქონების ან მისი ძირითადი ნაწილის ადგილსამყოფელის მიხედვით) მოქალაქეთა ან ორგანიზაციათა განცხადებით, ანდა საკუთარი ინიციატივით მიიღებენ ზომებს სამკვიდრო ქონების დასაცავად, როდესაც ეს საჭიროა მემკვიდრეთა, საანდერძო დანაკისრის მიმღებთა, კრედიტორთა ან სახელმწიფოს ინტერესებისათვის.

აღმასრულებელი კომიტეტის თანამდებობის პირი, რომელმაც მიიღო ზომები სამკვიდრო ქონების დასაცავად, აცნობებს სამკვიდროს გახსნის ადგილის მიხედვით სახელმწიფო სანოტარო კანტორას აღნიშნული ზომების მიღების შესახებ.

67. თუ სამკვიდროს დამტოვებლის ქონება ან მისი ნაწილი სამკვიდროს გახსნის ადგილზე არ იმყოფება, სამკვიდროს გახსნის ადგილის მიხედვით აღმასრულებელი კომიტეტის თანამდებობის პირი გაუგზავნის სამკვიდრო ქონების ადგილსამყოფელის მიხედვით აღმასრულებელი კომიტეტის თანამდებობის პირს დავალებას აღნიშნული ქონების დასაცავად ზომების მიღების შესახებ.

აღმასრულებელი კომიტეტის თანამდებობის პირი, რომელმაც მიიღო ზომები სამკვიდრო ქონების დასაცავად, აცნობებს სამკვიდროს გახსნის ადგილის მიხედვით სახელმწიფო სანოტარო კანტორას აღნიშნული ზომების მიღების შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

68. მოქალაქეთა და ორგანიზაციათა შეტყობინებანი, სახელმწიფო ნოტარიუსების დავალებანი რეგისტრაციაში გატარდება სამკვიდრო ქონების დასაცავად მიღებული ზომების შესახებ განცხადებათა აღრიცხვის დავთარში.

69. სამკვიდრო ქონების დაცვის მიზნით აღმასრულებელი კომიტეტის თანამდებობის პირი მოახდენს ქონების აღწერას და გადასცემს მას შესანახად მემკვიდრეებს ან სხვა პირებს.

სამკვიდრო ქონების აღწერა ხდება აღწერაში მონაწილეობის მსურველ დაინტერესებულ პირთა და სულ ცოტა ორი დამსწრის მონაწილეობით.

აღწერის აქტში უნდა აღინიშნოს სამკვიდრო ქონების დასაცავად ზომების მიღების შესახებ განცხადების (შეტყობინების) შემოსვლის თარიღი, აღწერის ჩატარების თარიღი, აღწერაში მონაწილე პირთა გვარები, სახელები, მამის სახელები და მისამართები, სამკვიდროს დამტოვებლის გვარი, სახელი, მამის სახელი, მისი გარდაცვალების დრო და აღსაწერი ქონების ადგილსამყოფელი, სანოტარო მოქმედების განმხორციელებელი აღმასრულებელი კომიტეტის თანამდებობის პირის გამოცხადებამდე დალუქული იყო თუ არა სადგომი და ვის მიერ, დარღვეული ხომ არ იყო ლუქი ან ბეჭედი, აქტში ჩამოთვლილი თითოეული საგნის დაწვრილებითი დახასიათება და შეფასება, მათი გაცვეთის პროცენტი. აღწერილი საგნების შეფასება ხდება სახელმწიფო საცალო ფასებში (მათი გაცვეთის გათვალისწინებით), ხოლო საგნებისა, რომელთაც საცალო ფასები არა აქვთ, — მცოდნე პირთა დასკვნის მიხედვით.

საცხოვრებელი სახლები შეფასდება საინვენტარიზაციო შეფასების მიხედვით, ხოლო იმ ადგილებში, სადაც ინვენტარიზაცია არ ჩატარებულა, — სადაზღვევო შეფასების მიხედვით (სავალდებულო სარგოული დაზღვევა).

იმ შემთხვევაში, თუ შეფასებას არ ეთანხმებიან, მემკვიდრეებს უფლება აქვთ მიიწვიონ სპეციალისტი-შემფასებელი. სპეციალისტის შრომას მემკვიდრეები აანაზღაურებენ.

აქტის ყოველ გვერდზე გამოიყვანება ნივთების (საგნების) რაოდენობისა და მათი ღირებულების საერთო ჯამი.

აღწერის აქტში შეიტანება გარდაცვლილის ბინაში არსებული მთელი ქონება. მეზობელთა და სხვა პირთა განცხადებები იმის შესახებ, რომ ცალკეული ნივთები მათ ეკუთვნით, შეიტანება აღწერის აქტში, ხოლო დაინტერესებულ პირებს განემარტებათ, თუ რა წესით უნდა მიმართონ სასამართლოს სარჩელით ამ ქონების აღწერიდან გამორიცხვის შესახებ.

თუ ქონების აღწერა წყდება (სასადილო შესვენების, სამუშაო დღის დამთავრების გამო და ა. შ.) ან რამდენიმე დღეს გრძელდება, სადგომს ყოველთვის დალუქავს აღმასრულებელი კომიტეტის თანამდებობის პირი. აღწერის აქტში ჩაიწერება აღწერის შეწყვეტისა და განახლების მიზეზები და დრო, აგრეთვე ლუქისა და ბეჭდის მდგომარეობა სადგომის შემდგომი გაღებისას.

აქტის ბოლოს აღინიშნება იმ პირის გვარი, სახელი, მამის სახელი, დაბადების წელი და საცხოვრებელი ადგილი, რომელსაც გადაეცა შესანახად აღწერილი ქონება, მისი ვინაობის დამადასტურებელი დოკუმენტის დასახელება,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნომერი, გაცემის თარიღი და დოკუმენტის გამცემი დაწესებულების დასახელება.

აღწერის აქტი დგება სულ ცოტა სამ ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი მიეცემა ქონების დასაცავად მიმღებ მოქალაქეს, მეორე ეგზავნება სახელმწიფო სანოტარო კანტორას სამკვიდროს გახსნის ადგილის მიხედვით, ხოლო მესამე რჩება მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტში.

აღწერის აქტს ხელს აწერენ აღმასრულებელი კომიტეტის თანამდებობის პირი, დაინტერესებული პირები (თუ ისინი მონაწილეობდნენ აღწერაში) დამსწრეები და ქონების შესანახად მიმღები პირი.

თუ სამკვიდრო ქონების დასაცავად ზომების მიღება შეუძლებელია (მემკვიდრეები ამ სამკვიდროს დამტოვებელთან მცხოვრები სხვა პირები აღწერის წინააღმდეგი არიან, არ წარადგენენ ქონებას აღსაწერად, ანდა ქონება გატანილია და ა. შ.), აღმასრულებელი კომიტეტის თანამდებობის პირი შეადგენს აქტს და ამის შესახებ შეატყობინებს დაინტერესებულ პირებს, ხოლო საჭირო შემთხვევებში — საფინანსო ორგანოს ან პროკურორს.

70. გარდაცვლილის შემდეგ დარჩენილი ფულადი თანხები ჩაბარდება სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის დაწესებულებას სახელმწიფო სანოტარო კანტორის სადეპოზიტო ანგარიშზე.

ოქრო, ვერცხლი, პლატინა და პლატინის ჯგუფის ლითონები მონეტის, ზოდებისა და ნედლი სახით, უცხოური ვალუტა და უცხოური ვალუტით გამოწერილი საგადამხდელო დოკუმენტები (თამასუქები, ჩეკები, გზავნილებანი და ა. შ.), უცხოური საფონდო ფასეულობანი (აქციები, ობლიგაციები, მათი კუპონები და ა. შ.), ძვირფასი ლითონების, ძვირფასი ქვებისა და მარგალიტის ნაკეთობანი, აგრეთვე ძვირფასი ქვები და მარგალიტი შესანახად ჩაბარდება სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის დაწესებულებას.

50 მანეთზე ნაკლები ღირებულების ფასეულობანი შესანახად რჩება იმ პირს, რომელსაც გადაეცა შესანახად სამკვიდრო ქონება.

მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტში შემოღებულია ფასეულობათა აღრიცხვის დავთარი, რომელშიც რეგისტრირებულია ზემოაღნიშნული ფასეულობანი.

გარდაცვლილის ქონებაში აღმოჩენილი იარაღი (გარდა სანადირო იარაღისა) და ფეთქებადი ნივთიერებანი ჩაბარდება მილიციის ორგანოებს განსაკუთრებული აღწერილობის მიხედვით.

თუ აღწერილი ქონების შემადგენლობაში აღმოჩნდება ხელოვნების ნაწარმოებები, მნიშვნელოვანი ხელნაწერები, ლიტერატურული შრომები, ისტორიული ან მეცნიერული მნიშვნელობის წერილები, ეს დოკუმენტები შეიტანება ცალკე აღწერილობებში და პასუხსაგებ შესანახად გადაეცემათ მემკვიდრეებს ან შესაბამის ორგანიზაციებს. საჭიროების შემთხვევაში, მაგალითად, მემკვიდრეთა არყოფნისას, აღმასრულებელი კომიტეტის თანამდებობის პირი, რომელიც სანოტარო მოქმედებას ასრულებს, დალუქავს დოკუმენტებს ან სადგომს, სადაც დაცულია დოკუმენტები და ძვირფასი ნივთები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

71. თუ სამკვიდროს შემადგენლობაში ირიცხება ქონება, რომელიც მართვას საჭიროებს (საცხოვრებელი სახლი, პირუტყვი და ა. შ.), აგრეთვე იმ შემთხვევაში, როდესაც მემკვიდრეთა მიერ მემკვიდრეობის მიღებამდე სამკვიდროს დამტოვებლის კრედიტორებმა აღძრეს სარჩელი, მშრომელთა დეპუტატების შესაბამისი საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი სამკვიდრო ქონებას უნიშნავს მეურვეს.

72. მეურვეები და სხვა პირები, რომლებსაც გადაეცათ შესანახად სამკვიდრო ქონება, გაფრთხილებულ იქნებიან, რომ დაეკისრებათ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 202-ე მუხლის მიხედვით სამკვიდრო ქონების გაფლანგვის, გასხვისების ან დამალვისათვის და მატერიალური პასუხისმგებლობა მიღებული ზარალისათვის, რის შესახებაც მათ ჩამოერთმევათ ხელწერილი. ეს შეიძლება აღინიშნოს სამკვიდრო ქონების აღწერის აქტში ამ სამკვიდრო ქონებაზე მეურვის დანიშვნის შესახებ მშრომელთა დეპუტატების აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილების ეგზემპლარზე.

თ ა ვ ი III

ყადაღის დადება საცხოვრებელი სახლის გასხვისებაზე

73. როდესაც მიიღებენ ბანკის დაწესებულებათა, სამეურნეოანგარიშიან საწარმოთა და ორგანიზაციათა შეტყობინებას იმის შესახებ, რომ მოქალაქეებს მიეცათ სესხი საცხოვრებელი სახლის (სახლის ნაწილის), ან ინდივიდუალურ მენაშენეთა საბინაო-სამშენებლო კოლექტივის მრავალბინიან სახლში ბინის მშენებლობის, კაპიტალური რემონტისა და შეძენისათვის, აგრეთვე საცხოვრებელი სახლის (სახლის ნაწილის) ან ბინის გირავნობის ხელშეკრულებათა დადასტურებისას აღმასრულებელი კომიტეტის თანამდებობის პირი საცხოვრებელი სახლის (სახლის ნაწილის) ან ბინის ადგილსამყოფელის მიხედვით ყადაღას დაადებს საცხოვრებელი სახლის (სახლის ნაწილის) ან ბინის გასხვისებას.

ყადაღის დადება ხდება შემდეგნაირად: ბანკის დაწესებულების, სამეურნეოანგარიშიანი საწარმოს, ორგანიზაციის შეტყობინებაზე სესხის გაცემის შესახებ გაკეთდება სათანადო წარწერა. შეტყობინების ერთი ეგზემპლარი აღმასრულებელი კომიტეტის თანამდებობის პირის წარწერით იმის შესახებ, რომ გასხვისებაზე დადებულია ყადაღა, გაეგზავნება შესაბამის ბანკის დაწესებულებას, სამეურნეოანგარიშიან საწარმოს, ორგანიზაციას, რომელმაც სესხი გასცა, მეორე ეგზემპლარი გადაეცემა მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს, რომელიც ახორციელებს ნაგებობის რეგისტრაციას, ხოლო მესამე ეგზემპლარი რჩება აღმასრულებელ კომიტეტში, რომელმაც ყადაღა დაადო გასხვისებას.

თუ გასხვისებაზე ყადაღას ადებს მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი, რომელიც ახორციელებს ნაგებობათა რეგისტრაციას, წარწერა ყადაღის დადების შესახებ დგება შეტყობინების ორ ეგზემპლარზე, რო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მელთაგან ერთი ეგზავნება შესაბამის ბანკის დაწესებულებას, სამეურნეოანგარიშიან საწარმოს, ორგანიზაციას, რომელმაც სესხი გასცა, ხოლო მეორე ეგზემპლარი რჩება აღმასრულებელ კომიტეტში, რომელმაც ყადაღა დაადო გასხვისებას.

საცხოვრებელი სახლის (სახლის ნაწილის) ან ბინის გირავნობის ხელშეკრულების მიხედვით გასხვისებაზე ყადაღის დადება ხდება გირავნობის ხელშეკრულებაზე ამის შესახებ წარწერის გზით. ყადაღის დადების შესახებ მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი აცნობებს მშრომელთა დეპუტატების შესაბამისი ადგილობრივი საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს (ტექნიკური ინვენტარიზაციის ბიუროს), რომელიც ახორციელებს ნაგებობათა რეგისტრაციას.

74. საცხოვრებელი სახლის (სახლის ნაწილის) ან ინდივიდუალურ მენაშენეთა საბინაო-სამშენებლო კოლექტივის მრავალბინიან სახლში ბინის გასხვისებაზე ყადაღის დადება რეგისტრირებულ უნდა იქნეს ყადაღათა სარეგისტრაციო რეესტრში. ამავე რეესტრში რეგისტრირებული იქნება სასამართლო და საგამომძიებლო ორგანოთა შეტყობინებანი საცხოვრებელ სახლზე ყადაღის დადების შესახებ.

მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტში შემოღებულია ყადაღათა აღრიცხვის ანბანური დავთარი.

75. აღმასრულებელი კომიტეტის თანამდებობის პირი, როცა მიიღებს ბანკის დაწესებულების, სამეურნეოანგარიშიანი საწარმოს ან ორგანიზაციის შეტყობინებას სესხის დაფარვის შესახებ, ან ცნობას გირავნობის ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ, მოხსნის ყადაღას საცხოვრებელი სახლის (სახლის ნაწილის) ან ინდივიდუალურ მენაშენეთა საბინაო-სამშენებლო კოლექტივის მრავალბინიან სახლში ბინის გასხვისებაზე.

ყადაღის მოხსნის შესახებ ეცნობება მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს, რომელიც ახორციელებს ნაგებობათა რეგისტრაციას, და აღინიშნება ყადაღათა სარეგისტრაციო რეესტრში და ანბანურ დავთარში.

როცა მიიღებს სასამართლო ან საგამომძიებლო ორგანოთა შეტყობინებას ყადაღის მოხსნის შესახებ, აღმასრულებელი კომიტეტის თანამდებობის პირი აღნიშნავს ამას ყადაღათა სარეგისტრაციო რეესტრში და ანბანურ დავთარში.

თ ა ვ ი IV

დოკუმენტების ასლებისა და მათი ამონაწერების სისწორის დამოწმება

76. აღმასრულებელი კომიტეტების თანამდებობის პირები დაამოწმებენ სახელმწიფო დაწესებულებების, საწარმოებისა და ორგანიზაციების, კოლმეურნეობებისა და სხვა კოოპერაციული და საზოგადოებრივი ორგანიზაციების, აგრეთვე მოქალაქეების მიერ გაცემული დოკუმენტების ასლებისა და მათი ამონაწერების სისწორეს იმ პირობით, რომ ეს დოკუმენტები არ ეწინააღმდეგებიან კანონს, აქვთ იურიდიული მნიშვნელობა და მათი ასლებისა და ამონაწერების სისწორის დამოწმება კანონით არ არის აკრძალული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

77. მოქალაქის მიერ გაცემული დოკუმენტის ასლის სისწორე შემოწმდება იმ შემთხვევებში, როცა დოკუმენტზე მოქალაქის ხელმოწერის ნამდვილობა დამოწმებულია სანოტარო ორგანოს ან იმ ორგანიზაციის მიერ, სადაც მოქალაქე მუშაობს ან სწავლობს, იმ სახლის მმართველობის (საბინაო-საექსპლუატაციო კანტორის) მიერ, სადაც იგი ცხოვრობს, ან იმ სტაციონარული სამკურნალო დაწესებულების ადმინისტრაციის მიერ, რომელშიც იგი იმყოფება განსაკურნავად.

78. დოკუმენტის დამოწმებული ასლი ან მისი ამონაწერი ნამდვილ დოკუმენტად ითვლება.

79. აკრძალულია პასპორტის, პარტიული ბილეთის, პროფკავშირული ბილეთის, დეპუტატის მოწმობისა და სამხედრო ბილეთის ასლის სისწორის დამოწმება.

აღმასრულებელი კომიტეტების თანამდებობის პირებს არ შეუძლიათ დაამოწმონ უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლებისა და საშუალო სკოლების დამთავრების დამადასტურებელი დოკუმენტების, უცხო ენებზე შედგენილი დოკუმენტების ასლების, სსრ კავშირის, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების სახელმწიფო ხელისუფლებისა და სახელმწიფო მმართველობის უმაღლესი ორგანოების იმ აქტების ასლების სისწორე, რომლებიც მოქალაქეთა პირად უფლებებსა და ინტერესებს შეეხება, სამეურნეო, კოოპერაციულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა წესდებებისა და დებულებების ასლების, აგრეთვე დოკუმენტების ასლის ასლების (მათ შორის სასამართლო ორგანოთა განაჩენების, გადაწყვეტილებებისა და განჩინებების) სისწორე;

ამონაწერის სისწორე შეიძლება დამოწმდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დოკუმენტი, რომლიდანაც კეთდება ამონაწერი, შეიცავს რამდენიმე ცალკეული, ერთმანეთთან დაუკავშირებელი საკითხის გადაწყვეტას. ამონაწერი უნდა ასახავდეს დოკუმენტის ნაწილის სრულ ტექსტს განსაზღვრულ საკითხზე.

თ ა ვ ი V

დოკუმენტებზე ხელმოწერის ნამდვილობის დამოწმება

80. აღმასრულებელი კომიტეტების თანამდებობის პირები დაამოწმებენ იმ დოკუმენტებზე ხელმოწერის ნამდვილობას, რომელთა შინაარსი არ ეწინააღმდეგება კანონს და არ წარმოადგენს გარიგების შინაარსის გადმოცემას.

81. ხელშეკრულებაზე, ანდერძზე, რწმუნებულებასა და სხვა დოკუმენტზე, რომელშიც გადმოცემულია გარიგების შინაარსი, შეიძლება დამოწმდეს მხოლოდ იმ პირის ხელმოწერის ნამდვილობა, რომელმაც ხელი მოაწერა სხვა პირის მაგიერ, ვინაიდან მას არ შეუძლია თვითონ მოაწეროს ხელი ფიზიკური ნაკლის, ავადმყოფობის ან სხვა მიზეზის გამო. ამ შემთხვევაში აღმასრულებელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

კომიტეტის თანამდებობის პირი დაადგენს გარიგების მონაწილისა და მის მაგიერ ხელმომწერი პირის ვინაობას.

82. ხელმოწერის ნამდვილობის დამოწმებისას აღმასრულებელი კომიტეტის თანამდებობის პირი არ ადასტურებს დოკუმენტში ჩამოყალიბებულ ფაქტებს, არამედ მხოლოდ ამოწმებს, რომ ხელმოწერა გარკვეულ პირს ეკუთვნის.

83. არ შეიძლება იმ დოკუმენტებზე მოქალაქეთა ხელმოწერის ნამდვილობის დამოწმება, რომლებშიც დასტურდება დაბადების, ქორწინების, გარდაცვალების დრო და ა. შ. ეს გარემოებანი შეიძლება დადასტურდეს სახელმწიფო ორგანოების მიერ გაცემული შესაბამისი დოკუმენტებით (მაგალითად, მმაჩის ორგანოთა მოწმობებით).

84. როდესაც მოწმდება სახელმწიფო დაწესებულებების, საწარმოებისა და ორგანიზაციების, კოლმეურნეობებისა და სხვა კოოპერაციული და საზოგადოებრივი ორგანიზაციების თანამდებობის პირთა იმ ბარათებზე ხელმოწერის ნიმუშები, რომლებიც წარდგენილ უნდა იქნეს სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკისა და სსრ კავშირის მშენბანკის დაწესებულებებში, აღმასრულებელი კომიტეტის თანამდებობის პირი შეამოწმებს მათი ხელმოწერის ნამდვილობას და ამ პირთა ხელმოწერის უფლებამოსილებას, ხოლო თუ მათ ხელმოწერას არ იცნობს, მოითხოვს, რომ ისინი პირადად გამოცხადდნენ.

თ ა ვ ი VI

მოქალაქეთა, დაწესებულებათა, საწარმოთა და ორგანიზაციათა განცხადებების გადაცემა

85. აღმასრულებელი კომიტეტების თანამდებობის პირები მოქალაქეთა, სახელმწიფო დაწესებულებათა, საწარმოთა და ორგანიზაციათა, კოლმეურნეობათა და სხვა კოოპერაციულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა განცხადებებს გადასცემენ სხვა მოქალაქეებს, სახელმწიფო დაწესებულებებს, საწარმოებსა და ორგანიზაციებს, კოლმეურნეობებსა და სხვა კოოპერაციულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს.

განცხადება მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს უნდა წარედგინოს ორ ეგზემპლარად მაინც, რომელთაგან ერთი ეგზემპლარი გაიგზავნება ფოსტით, ჩაბარების შეტყობინებით ან გადაეცემა პირადად ადრესატს ხელწერილის ქვეშ, ხოლო მეორე ეგზემპლარი რჩება მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტში.

86. განცხადების შემტანი პირის თხოვნით მას მიეცემა სსრ კავშირის იუსტიციის სამინისტროს მიერ დამტკიცებული ფორმის მოწმობა განცხადების გადაცემის შესახებ.

87. სახელმწიფო ბაჟი გადახდება როგორც **განცხადების** გადაცემისათვის, ისევე მოწმობის გაცემისათვის.

განცხადების გადაცემა და განცხადების გადაცემის შესახებ მოწმობის გაცემა **გატარდება** რეგისტრაციაში სანოტარო მოქმედების რეესტრში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თ ა ვ ი VII

მოქალაქის ცოცხლად ყოფნის ფაქტის დადასტურება

88. აღმასრულებელი კომიტეტების თანამდებობის პირები ადასტურებენ მოქალაქის ცოცხლად ყოფნის ფაქტს.

არასრულწლოვანის ცოცხლად ყოფნის ფაქტი დასტურდება მისი კანონიერი წარმომადგენლების (მშობლების, მშვილებლების, მეურვეების, მზრუნველების), აგრეთვე იმ სახელმწიფო დაწესებულებების ან საზოგადოებრივი ორგანიზაციების თხოვნით, რომელთა მზრუნველობაზეც იმყოფება არასრულწლოვანი.

89. მოქალაქის ცოცხლად ყოფნის ფაქტი დამოწმდება როგორც მაშინ, როცა იგი გამოცხადდება მშრომელთა დეპუტატების შესაბამისი საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტში, ისევე მაშინ, როცა აღმასრულებელი კომიტეტის თანამდებობის პირი ამას ადასტურებს მშრომელთა დეპუტატების აღმასრულებელი კომიტეტის შენობის გარეთ (ამ ინსტრუქციის მე-8 პუნქტი).

90. მოქალაქის ცოცხლად ყოფნის ფაქტის დასადასტურებლად დაინტერესებულ პირებს მიეცემათ სსრ კავშირის იუსტიციის სამინისტროს მიერ დამტკიცებული ფორმის მოწმობა.

თ ა ვ ი VIII

მოქალაქის განსაზღვრულ ადგილას ყოფნის ფაქტის დადასტურება

91. აღმასრულებელი კომიტეტების თანამდებობის პირები მოქალაქის თხოვნით ადასტურებენ განსაზღვრულ ადგილას მისი ყოფნის ფაქტს.

არასრულწლოვანის განსაზღვრულ ადგილას ყოფნის ფაქტი დასტურდება მისი კანონიერი წარმომადგენლების (მშობლების, მშვილებლების, მეურვეების, მზრუნველების), აგრეთვე იმ დაწესებულებებისა და ორგანიზაციების თხოვნით, რომელთა მზრუნველობაზეც იმყოფება არასრულწლოვანი.

92. მოქალაქის განსაზღვრულ ადგილას ყოფნის ფაქტი დამოწმდება როგორც მაშინ, როცა იგი გამოცხადდება მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტში, ისევე მაშინ, როცა აღმასრულებელი კომიტეტის თანამდებობის პირი ამას ადასტურებს მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის შენობის გარეთ (ამ ინსტრუქციის მე-8 პუნქტი).

93. მოქალაქის განსაზღვრულ ადგილას ყოფნის ფაქტის დასადასტურებლად დაინტერესებულ პირებს მიეცემათ სსრ კავშირის იუსტიციის სამინისტროს მიერ დამტკიცებული ფორმის მოწმობა.

თ ა ვ ი IX

დოკუმენტების მიღება შესანახად

94. აღმასრულებელი კომიტეტების თანამდებობის პირები შესანახად იღებენ დოკუმენტებს აღწერის მიხედვით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აღწერა დგება ორ ეგზემპლარად. მას ხელს აწერენ პირი, რომელმაც ჩააბარა დოკუმენტები შესანახად, და აღმასრულებელი კომიტეტის თანამდებობის პირი.

აღწერის ერთი ეგზემპლარი რჩება მშრომელთა დეპუტატების საქალაქო, სადაბო, სასოფლო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის საქმეებში, ხოლო მეორე ეგზემპლარი მიეცემა იმ პირს, რომელმაც ჩააბარა დოკუმენტები შესანახად.

დოკუმენტების შესანახად მიღების დასადასტურებლად იმ პირს, რომელმაც ჩააბარა ისინი შესანახად, მიეცემა მოწმობა აღწერის ეგზემპლარითურთ.

95. მიღებული დოკუმენტები ინახება ცალკე პაკეტში მშრომელთა დეპუტატების საქალაქო, სადაბო, სასოფლო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის ბეჭდით დალუქულ რკინის კარადებში ან სეიფებში.

96. შესანახად მიღებული დოკუმენტები უბრუნდება მათ ჩამბარებელს ან კანონით უფლებამოსილ პირს მას შემდეგ, რაც წარადგენენ მოწმობას აღწერის ეგზემპლარითურთ, ან სასამართლოს დადგენილებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

62

გუმისთის სახელმწიფო ნაკრძალის აღდგენის შესახებ

გუმისთის ხეობაში არსებული ძვირფასი ტყის მასივებისა და გარეული ცხოველების დაცვის, მომრავლებისა და მეცნიერულად შესწავლის მიზნით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. მიღებულ იქნეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტის, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ბუნების დაცვის კომისიისა და აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს წინადადებები, რომლებიც შეთანხმებულია სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან, და აღდგენილ იქნეს გუმისთის სახელმწიფო ნაკრძალი (სოხუმის სატყეო მეურნეობის ცუმურის სატყეო) 13.400 ჰექტარზე.

2. გუმისთის სახელმწიფო ნაკრძალი შეიქმნას საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტისათვის დამტკიცებული ხელფასის ფონდისა და მართვის აპარატის შესანახ ასიგნებათა ფარგლებში.

3. დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტს განახორციელოს ყველა საჭირო ღონისძიება, რომლებიც უზრუნველყოფენ ახლად აღდგენილი ნაკრძალის ტერიტორიაზე სანაკრძალო რეჟიმის დაცვას.

4. ამასთან დაკავშირებით ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1961 წლის 14 ივლისის № 423 დადგენილება „საქართველოს სსრ ზოგიერთ ნაკრძალთა გაუქმების შესახებ“ გუმისთის ნაკრძალის გაუქმების ნაწილში.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ზ. პატარიძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1976 წ. 19 აგვისტო, № 594

ეროვნული ბიბლიოთეკა

63 რესპუბლიკური გაერთიანება „საქსოფლტექნიკის“ რაიონული გაერთიანებების (განყოფილებების) მიერ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო მომსახურების დებულებისა და ამ გაერთიანების საწარმოო ქვედანაყოფების მიერ სასოფლო-სამეურნეო და სატრანსპორტო სამუშაოთა შესრულების ტიპობრივი ხელშეკრულების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

ძირითადად მოწონებულ იქნეს დებულება რესპუბლიკური გაერთიანება „საქსოფლტექნიკის“ რაიონული გაერთიანებების (განყოფილებების) მიერ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო მომსახურების შესახებ და ამ გაერთიანების საწარმოო ქვედანაყოფების მიერ საწარმოო მომსახურებაზე აყვანილ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში სასოფლო-სამეურნეო მინდვრის და სატრანსპორტო სამუშაოთა შესრულების ტიპობრივი ხელშეკრულება, რომლებიც საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრომ და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს რესპუბლიკურმა გაერთიანებამ „საქსოფლტექნიკამ“ შეიმუშავეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1975 წლის 23 სექტემბრის № 586 დადგენილების მე-6 პუნქტის შესაბამისად და შეთანხმებულია საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროსთან.

დაევალოთ საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს რესპუბლიკურ გაერთიანებას „საქსოფლტექნიკას“ განიხილონ და დაამტკიცონ აღნიშნული დებულება და ტიპობრივი ხელშეკრულება, ამასთან წინასწარ შეუთანხმონ ისინი საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს და რესპუბლიკის სხვა დაინტერესებულ სამინისტროებსა და უწყებებს.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ზ. პატარიძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1976 წ. 19 აგვისტო, № 595

ეროვნული ბიბლიოთეკა

64 საქართველოს სსრ საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოების მეცხოველეობაში დასაქმებული მუშების წახალისების დამატებით ღონისძიებათა შესახებ

იმ მიზნით, რომ გაძლიერდეს საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოების მუშათა მატერიალური დაინტერესება მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების გადიდებით, ზეგეგმითი ნამატის მიღება-გამოზრდითა და საზოგადოებრივი პირუტყვის სულადობის შენარჩუნებით, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დამტკიცდეს საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოების მეცხოველეობაში დასაქმებული მუშების მატერიალური დაინტერესების გაძლიერების დამატებითი ღონისძიებანი, დანართის თანახმად.

2. ნება დაერთოთ საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოების დირექტორებს აძლიონ მეცხოველეობაში დასაქმებულ მუშებს პრემია სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების წლიური გეგმის გადაჭარბებით შესრულებისათვის, როცა ეს მიზანშეწონილია, ბრიგადის (რგოლის) მიერ აღნიშნული გეგმის გადაჭარბებით შესრულების ყოველი პროცენტისათვის ბრიგადაში (რგოლში) მუშის მიერ მიღებული წლიური გამომუშავების ერთი პროცენტის ოდენობით, ხოლო ცალკეულ მეურნეობებში, რომლებმაც მეცხოველეობის პროდუქტიულობის მაღალ მაჩვენებლებს მიაღწიეს, ორ პროცენტამდე ოდენობით.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **შ. კიკნაძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **რ. შანიძე.**

ქ. თბილისი, 1976 წ. 27 აგვისტო № 607

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1976 წლის 27 აგვისტოს № 607
დადგენილების დანართი

საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოების მეცხოველეობაში დასაქმებული მუშების მატერიალური დაინტერესების გაძლიერების დამატებითი ღონისძიებანი

1. მიეცეთ საბჭოთა მეურნეობების, სახელმწიფო სანაშენე მეურნეობებისა და მეფრინველეობის ფაბრიკების მუშებს:

მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ფერმებში:

ა) მწველავს — გეგმის გადამეტებით მოწველილი რძის 15 პროცენტი და ფერმის მექანიზატორს — ბრიგადის მიერ გეგმის გადამეტებით საშუალოდ მოწველილი რძის 15 პროცენტი ნატურით, აგრეთვე მიჩენილი ძროხებისაგან (100 ძროხაზე გადაანგარიშებით) 80-დან 85-მდე ხბოს მიღებისა და შენარჩუნებისათვის — 1 კილოგრამი ხორცი, ხოლო 85-დან 90-მდე ხბოს მიღებისათვის — 1,5 კილოგრამი ხორცი ცოცხალი წონით თითოეულ მიღებულ ხბოზე;

ბ) მეწველი პირუტყვის მომვლელს — მისთვის მიჩენილი ძროხებისა და უშობლებისაგან 80-დან 85-მდე პროცენტი ნამატის მიღებისა და შენარჩუნებისათვის — 1 კილოგრამი ხორცი ცოცხალი წონით თითოეულ ხბოზე, ხოლო 80 პროცენტზე მეტი ნამატის მიღებისათვის — 1,5 კილოგრამი ხორცი ცოცხალი წონით თითოეულ ხბოზე, აგრეთვე გეგმის გადამეტებით მოწველილი რძის 2 პროცენტი;

გ) პროფილაქტორიუმის მეხბორეს, რომელიც საშუალო სადღეღამისო წონამატების გეგმის შესრულებისას ხბოების უფროს ჯგუფში გადაცემის დროს შეინარჩუნებს ხბოების სულ ცოტა 95 პროცენტს, — 15 კილოგრამი ხორცი ცოცხალი წონით, ხოლო ხბოების 100 პროცენტის შენარჩუნებისას — 25 კილოგრამი ხორცი ცოცხალი წონით;

დ) მეხბორეს, რომელიც უვლის ხბოებს რძის წოვების პერიოდში, — ნამატის 95 პროცენტის შენარჩუნებისათვის იმ პირობით, თუ შეასრულებს საშუალო სადღეღამისო წონამატების გეგმას, — ერთი თვის ასაკის ერთი ხბო, ხოლო ნამატის 100 პროცენტის შენარჩუნებისას — ორი თვის ასაკის ერთი ხბო;

ე) რძის წოვების პერიოდის შემდეგ უფროს ჯგუფში გადაყვანამდე მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის მოზარდეულის მომვლელს — პირუტყვის 100 პროცენტის შენარჩუნებისათვის იმ პირობით, თუ შეასრულებს საშუალო სადღეღამისო წონამატების გეგმას, — ორი თვის ასაკის ერთი ხბო;

ვ) ძოვებით ან ბაგური კვებით გასასუქებელი მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის მომვლელს — სახელმწიფოსათვის ჩაბარებული უმაღლესი ნაკვებობის თითოეულ სულ პირუტყვზე იმ პირობით, თუ სულადობას მთლიანად შეინარჩუნებს და შეასრულებს საშუალო სადღეღამისო წონამატების გეგმას, — თითო კილოგრამი ხორცი ცოცხალი წონით, მაგრამ არა უმეტეს 80 კილოგრამისა, აგრეთვე ზეგეგმით მიღებული წონამატების 20 პროცენტი;

ზ) ცხოველთა ხელოვნური დათესვლით დასაქმებულ მუშაკებს მათ მიერ დათესვლილი ძროხებისა და უშობლებისაგან არანაკლებ 95 პროცენტი ჯანსაღ ხბოების მიღებისა და ხელოვნური დათესვლის გეგმის შესრულებისათვის — ორი თვის ასაკის თითო ხბო, ხოლო ნამატის 100 პროცენტის მიღებისათვის — სამი თვის ასაკის თითო ხბო;

მეღორეობის ფერმებში:

ა) ქუბების მომვლელ მეღორეს, რომელმაც თითოეული ქუბისაგან წლის განმავლობაში მიიღო 12 გოჭი, უზრუნველყო სულ ცოტა 10 კილოგრამი წონის გოჭების ასხლეტა და მომდევნო ჯგუფში გადაცემა, — 0,5 კილოგრამი ხორცი ყოველი გოჭისათვის, ხოლო იმას, ვინც თითოეული ქუბისაგან მიიღო 14 გოჭი და უზრუნველყო სულ ცოტა 13 კილოგრამი წონის გოჭების ასხლეტა და გადაცემა მომდევნო ჯგუფში, — თითო კილოგრამი ხორცი ყოველი გოჭისათვის;

— მეღორეს, რომელმაც თითოეული ქუბისაგან მიიღო 16 გოჭი და უზრუნველყო სულ ცოტა 15 კილოგრამი წონის გოჭების ასხლეტა და გადაცემა მომდევნო ჯგუფში — 1,5 კილოგრამი ხორცი ყოველი გოჭისათვის, ხოლო იმას, ვინც თითოეული ქუბისაგან მიიღო 16-ზე მეტი გოჭი და უზრუნველყო სულ-ცოტა 18 კილოგრამი წონის გოჭების ასხლეტა და გადაცემა მომდევნო ჯგუფში, — ორი კილოგრამი ხორცი ყოველი გოჭისათვის;

ბ) 2-დან 4 თვემდე ასაკის გოჭების მომვლელ მეღორეს — წლის განმავლობაში სულადობის 95 პროცენტის შენარჩუნებისათვის იმ პირობით, თუ შეასრულებს საშუალო სადღეღამისო წონამატების გეგმას, — 30 კილოგრამი ხორცი;

გ) გასასუქებელი ღორების მომვლელ მეღორეს, რომელმაც წლის განმავლობაში შეინარჩუნა სულადობის 95 პროცენტი და შეასრულა საშუალო სადღეღამისო წონამატების გეგმა, — 20 კილოგრამი ხორცი, ხოლო იმას, ვინც შეინარჩუნა სულადობის 100 პროცენტი და სულ ცოტა 10 პროცენტი გადაჭარბებით შეასრულა საშუალო სადღეღამისო წონამატების გეგმა, — 50 კილოგრამი ხორცი;

დ) ყველა დანარჩენი ჯგუფის ღორების მომვლელ მეღორე-მწყემსს, რომელმაც წლის განმავლობაში შეინარჩუნა სულადობის 95 პროცენტი და შეასრულა საშუალო სადღეღამისო წონამატების გეგმა, — 20 კილოგრამი ხორცი;

მეცხვარეობის ფერმებში:

ა) მეცხვარეთა ბრიგადას:

— ყოველ 100 ნერბზე და შიშაქზე ასხლეტის მომენტში 80 პროცენტის გადამეტებით შენარჩუნებული ბატკნების 40-დან 50-მდე პროცენტი ან მათი ღირებულება შესასყიდ ფასებში;

— გეგმის გადამეტებით მიღებული მატყლის ღირებულების 40-დან 50-მდე პროცენტი;

ეროვნული ბიბლიოთეკა

— წლის დამლევამდე 95 პროცენტის გადამეტებით შენარჩუნებული მოზრდილი ცხვრების ნახევარი;

— ცხვრის საიალაღო სუქებისა და გამოკვების გეგმის გადაჭარბებით შესრულებისათვის — ნატურით ზეგეგმითი წონამატების 40-დან 50-მდე პროცენტი ან მისი ღირებულება შესასყიდ ფასებში;

ბ) გაიცეს პრემიის სახით გეგმის გადამეტებით მიღებული რძის ან ყველის 50 პროცენტი, ხოლო ამ პროდუქტების 30 პროცენტი მიეყიდოს ბრიგადას ზამთრის პერიოდში საზოგადოებრივი კვებისათვის სახელმწიფო ფასებში;

მეფრინველეობის ფერმებში:

ა) კვერცხმდებელი ჯიშების ქათმის მომვლელ მეფრინველეს — გეგმასთან შედარებით კვერცხმდებლობის გადიდებისათვის იმ პირობით, თუ შეინარჩუნებს ფრინველის სულადობის სულ ცოტა 95 პროცენტს:

— საშუალო წლიური კვერცხმდებლობის გეგმის 5 ცალ კვერცხამდე გადაჭარბების შემთხვევაში — ხუთ-ხუთი კვერცხი გეგმის გადამეტებით მიღებული ყოველი 90 კვერცხიდან;

— კვერცხმდებლობის 6-10 კვერცხით გადიდების შემთხვევაში — ათ-ათი კვერცხი გეგმის გადამეტებით მიღებული ყოველი 90 კვერცხიდან;

— კვერცხმდებლობის გეგმის 10 კვერცხით და მეტად გადაჭარბების შემთხვევაში — 15 კვერცხი გეგმის გადამეტებით მიღებული ყოველი 90 კვერცხისათვის;

ბ) ფრინველის ინკუბაციაზე მომუშავე ოპერატორებს, რომლებიც საკუთარ მეურნეობაში მიღებულ კვერცხს აწყობენ გამოსაჩეკად, — საინკუბაციოდ ჩაწყობილი კვერცხის 80 პროცენტის გადამეტებით გამოჩეკილ ყოველ 100 წიწილაზე — 30 წიწილა, ხოლო შესყიდული კვერცხის 80 პროცენტის გადამეტებით მიღებულ ყოველ 100 წიწილაზე — 30 წიწილა თითოეული პარტიის გამოჩეკის შემდეგ იმ პირობით, თუ შესრულდა საინკუბაციოდ კვერცხის ჩაწყობის გეგმა;

გ) 1-დან 30 დღემდე ასაკის მოზარდეულის მომვლელ მეფრინველეს, რომელიც შეინარჩუნებს სულადობის 95 პროცენტზე მეტს იმ პირობით, თუ ამ პარტიის მოხსნის (სხვა ჯგუფში გადაცემის) პერიოდში თითოეული ფრინველის წონა საშუალოდ იქნება სულ ცოტა 230 გრამი, 95 პროცენტის გადამეტებით შენარჩუნებულ ყოველ 100 ფრთაზე — 40 ფრთა;

31-დან 60 დღემდე ასაკის მოზარდეულის მომვლელ მეფრინველეს, რომელიც შეინარჩუნებს სულადობას 95 პროცენტის გადამეტებით, თუ ამ პარტიის მოხსნის (სხვა ჯგუფში გადაცემის) პერიოდში თითოეული ფრინველის წონა იქნება საშუალოდ სულ ცოტა 550 გრამი, — 95 პროცენტის გადამეტებით შენარჩუნებულ ყოველ 100 ფრთაზე — 20 ფრთა;

დ) 61-დან 90 დღემდე ასაკის გასასუქებელი ფრინველის მომვლელ მეფრინველეს, რომელიც შეინარჩუნებს სულადობის 95 პროცენტს იმ პირობით,

მეცნიერული ბიბლიოთეკა

თუ სუქებიდან მოხსნის შემდეგ ფრინველის საშუალო წონა შეადგენს: 80 დღის ასაკისა — სულ ცოტა 800 გრამს, 85 დღის ასაკისა — 850 გრამს და 90 დღის ასაკისა — 900 გრამს, — 95 პროცენტის გადამეტებით შენარჩუნებულ ყოველ 100 ფრთა ფრინველზე — 25 ფრთა;

ე) 61-დან 180 დღის ასაკამდე სარემონტო მოზარდი ფრინველის მომვლელ მეფრინველეს იმ პირობით, თუ შეინარჩუნებს სულადობის სულ ცოტა 95 პროცენტს, კვერცხმდებელ ჯგუფში გადაიყვანს სულ ცოტა 70 პროცენტს და გადასაყვანი ფრინველის საშუალო წონა იქნება სულ ცოტა 1400 გრამი, — კვერცხმდებელ ჯგუფში გადაყვანილი ქათმების 75 პროცენტის დამატებითი რაოდენობის ყოველ 100 ფრთაზე — 25 ფრთა;

მეფუტკრეობაში:

მეფუტკრეს:

— მისთვის მიჩენილ ფუტკრის ოჯახებში თაფლის წარმოების წლიური გეგმის გადაჭარბების შესრულებისათვის იმ პირობით, თუ შეასრულა ცვილის მიღების გეგმა და ფუტკრის ოჯახების რაოდენობის გადიდების გეგმა, — გეგმის გადამეტებით მიღებული თაფლის 25-დან 50 პროცენტამდე (საფურაქეზე დატოვებული თაფლის ჩათვლით);

— ცვილის მიღების გეგმის გადაჭარბებით შესრულებისათვის იმ პირობით, თუ შეასრულა თაფლის წარმოებისა და ფუტკრის ოჯახების რაოდენობის გადიდების გეგმები, — ზეგეგმითი ცვილის 50 პროცენტამდე;

— ფუტკრის ოჯახების რაოდენობის გადიდების გეგმის გადაჭარბებით შესრულებისათვის იმ პირობით, თუ შეასრულა თაფლის წარმოებისა და ცვილის მიღების გეგმები, — ზეგეგმითი თაფლისა და ცვილის 20 პროცენტამდე;

— დედაფუტკრის გამოყვანის გეგმის გადაჭარბებით შესრულებისათვის იმ პირობით, თუ შეასრულა თაფლის წარმოებისა და ცვილის მიღების გეგმები, აგრეთვე ფუტკრის ოჯახების რაოდენობის გადიდების გეგმა, — ზეგეგმითი თაფლისა და ცვილის 30 პროცენტამდე;

მებოცვრეობაში:

დედაბოცვრის მომვლელ მუშებს:

— ნამატის მიღებისა და შენარჩუნების გეგმის შესრულებისათვის — მიღებული ხორცის 10-20 პროცენტი;

— ზეგეგმითი ხორცის მიღებისათვის — ზეგეგმითი ხორცის 25-40 პროცენტი;

— სახელმწიფოსათვის პირველი კატეგორიის ხორცის ზეგეგმითი მიყიდვისათვის — გეგმის გადამეტებით რეალიზებული ხორცის 10 პროცენტი.

შენიშვნა: პრემიების გაცემის აუცილებელი პირობაა პირუტყვის, ფრინველის, ფუტკრის ოჯახებისა და დედაბოცვრების მიჩენის (მოვლის) გეგმით გათვალისწინებული ნორმების დაცვა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეცხოველეობის ფერმებისა და ბრიგადების ბრიგადირებს პრემიები მიეცემათ ნატურით, მათს ბრიგადაში (ფერმაში) საშუალოდ ერთ წევრზე გაცემული პრემიის ოდენობით.

მუშების სურვილისამებრ ნატურალური პრემიის ნაცვლად შეიძლება გაიცეს მისი ღირებულება სახელმწიფო შესასყიდი ფასების მიხედვით.

2. მი მიზნით, რომ გაძლიერდეს საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოების მუშათა მატერიალური დაინტერესება საკვების წარმოებით, დამატებითი ანაზღაურების სახით მიეცეთ თივისა და ნამჯა-ჩალის აღებით დასაქმებულ მუშებს, აგრეთვე მიეყიდოთ საგეგმო თვითღირებულების მიხედვით საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოების მუდმივ მუშებს, რომლებსაც პირად სარგებლობაში ჰყავთ შინაური პირუტყვი, თივის მოსავლისა და დამზადებული სილოსის 10 პროცენტამდე და ნამჯა-ჩალის 20 პროცენტამდე.

აღნიშნული პრემიები გაიცეს მოქმედი დებულებით გათვალისწინებული დამატებითი ანაზღაურებისა და პრემიების გადამეტებთ.

3. უფლება მიეცეთ საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოების დირექტორებს ნაწილობრივ ან მთლიანად ჩამოართვას ცალკეულ მუშებს კუთვნილი ნატურალური პრემიები, თუ მათ დაუშვეს საწარმოო ხარვეზები და დაარღვიეს შრომის დისციპლინა.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
მსაქმეთა მმართველის მოადგილე **რ. შანიძე.**

65 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1970 წლის 3 სექტემბრის № 485 დადგენილებაში ნაწილობრივი ცვლილების შეტანის შესახებ

იმასთან დაკავშირებით, რომ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1976 წლის 19 მარტის № 193 დადგენილებით დამტკიცდა სურამის დაგეგმარებისა და განაშენიანების გენერალური გეგმა, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

მიღებულ იქნეს საქართველოს სსრ სახმშენისა და ხაშურის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის წინადადება და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1970 წლის 3 სექტემბრის № 485 დადგენილების მე-2 პუნქტი შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს იგი შემდეგი რედაქციით:

ეროვნული ბიბლიოთეკა

„2. დაევალოს ხაშურის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომს დაბა სურამში ინდივიდუალური ბინათმშენებლობის საკითხები განიხილოს და გადაწყვიტოს მოქმედი წესებისა და დაბა სურამის დაგეგმარებისა და განაშენიანების გენერალური გეგმის მოთხოვნათა შესაბამისად“.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **შ. კიკნაძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **რ. შანიძე.**

ქ. თბილისი, 1976 წ. 27 აგვისტო, № 608

66 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის სასწავლებლების მოსწავლეთა ფორმის ტანსაცმლის შესახებ

სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1972 წლის 23 ივნისის № 497 დადგენილების შესაბამისად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დამტკიცდეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის სასწავლებლების მოსწავლეთა ახალი ფორმის ტანსაცმლის აღწერილობა, № 1 დანართის თანახმად.

2. შემოღებულ იქნეს სამოქმედოდ 1977 წლის 1 იანვრიდან პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების მოსწავლეთა მიერ ფორმის ტანსაცმლის, ფეხსაცმლის, საცვლებისა და სპეცტანსაცმლის ტარების ახალი ნორმები და ვადები, № 2 დანართის თანახმად.

3. შემოღებულ იქნეს სამოქმედოდ, 1977 წლის 1 იანვრიდან პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების მოსწავლეთა მიერ ლოგინის თეთრეულისა და ქვეშაგების ექსპლუატაციის ახალი ნორმები და ვადები, № 3 დანართის თანახმად.

4. დაევალოთ საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტროსა და საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს უზრუნველყონ ახალი ტანსაცმლის, ფეხსაცმლის, სპეცტანსაცმლის, ლოგინის თეთრეულისა და საცვლების დამზადების ორგანიზაცია და მიწოდება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტისათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

5. პროფესიულ-ტექნიკური განათლების სისტემის სასწავლებლების მოსწავლეთა ფორმის ტანსაცმლის ტარების ახალი ნორმები შემოღებულ იქნეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტისათვის დამტკიცებულ სახარჯთაღრიცხვო ასიგნებათა ფარგლებში.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **შ. კიკნაძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **რ. შანიძე.**

ქ. თბილისი, 1976 წ. 27 აგვისტო № 609

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1976 წლის 27 აგვისტოს № 609
დადგენილების დანართი № 1

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების მოსწავლეთა ახალი ფორმის ტანსაცმლის მოდელების მხატვრული გაფორმების აღწერილობა 1976 წლისათვის

1. ქალის ნახევრად წელში გამოყვანილი ფორმის კოსტიუმი, ნაკეცებიანი ქვედატანი.

სადა (ერთი ფერის) ქსოვილი.

ტანსაცმლის ზედა პირის ფერთან შეხამებული ფერის ღილები.

კოსტიუმი შედგება ჟაკეტისა და ქვედატანისაგან. ჟაკეტის კალთებზე გვერდითა ნაკერებიდან ორივე მხრიდან გავლებულია სამკერდე ხვეულები. კალთებს აქვს გვერდითა ზესადები ჯიბეები გადანაფენი სარქველებით, რომლებიც მიმაგრებულია თითო ღილით ორივე მხარეს. კალთები იკვრება ბორტების გადანაკეციდან სამ ღილკილოზე და სამ ღილზე. ზურგი შუაზე ჩაკერილია, აქვს მხრის თითო ჩანაკერი ორივე მხარეს და წელზე საჭერი, რომელიც შედგება ერთმანეთზე ორი ღილით მიმაგრებული ორი ნაწილისაგან. საყელო გადაფენილია, მომრგვალებული ბოლოებით. სახელოები გრძელია, ერთნაკერიანი იდაყვის ჩანაკერებით, საყელო, ბორტები, საჭერი გაწყობილია 0,5-0,6 სანტიმეტრი სიგანის მზა გვირისტით.

ქვედატანი შედგება წინა და უკანა კალთებისაგან, ქვედატანის ქამარი იკვრება მანქანით გაკეთებულ ერთ ღილკილოზე და ერთ ღილზე. მარცხენა გვერდულა ნაკერზე არის „ელვა"-შესაკრავი. წინა კალთის ზედა ნაწილში დაგვირისტებულია სამ-სამი ცალმხრივი ნაკეცი. ნაკეცის გვირისტის სიგრძეა 17,5 სანტიმეტრი მზა სახით. გვირისტის ბოლოდან ნაკეცები დაუთოებულია.

ჟაკეტი უსარჩულოა.

2. კაცის წელში გამოყვანილი ფორმის კოსტიუმი, შედგება პიჯაკისა და შარვლისაგან.

ლურჯი, შავი ფერის შალის ქსოვილი. სარჩული ზედა პირის ფერის ან ზედა პირის ქსოვილთან შეხამებული ფერისაა. პიჯაკის ღილები ლითონისაა, ხოლო შარვლის ღილები პლასტმასისა.

პიჯაკი ერთბორტიანია, იკვრება სამ ღილზე ლაცკანის გადანაკეცამდე. კალთებს აქვს წინა ჩანაკერები წელის ჩაყოლებით და გვერდის ჩანამატები იღლიის ამონაჭრიდან ბოლომდე. კალთებზე გვერდითა ზესადებ ჯიბეებს აქვს წაწვეტებული (კონცხისებური) ფორმის სარქველი. ზურგი შუაზე ჩაკერილია, ბოლოვდება შლიცით. საყელო გადაფენილია. ბოლოები ოდნავ მომრგვალებული, ლაცკანები გადიდებული. სახელოები ჩაგვირისტებულია. ორნაკერიანი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

საყელო, ბორტები, შლიცები, პიჯაკის ბოლო, სარქველები და ჯიბეები გაწყობილია 0,7-0,8 სანტიმეტრი სიგანის გვირისტით. სარქველებზე მიკერებულია თითო ღილი.

კალთებზე სარჩულით დამუშავებულია სამკერდე ჯიბე ზედა პირის მასალით, რომელიც იბნევა ერთ ღილკილოზე და ერთ ღილზე.

შარვალს აქვს მიგვირისტებული ქამარი ფრიალა წაწვეტებული (კონცხისებური) ბოლოებით. შარვლის ბოლო უმანჟეტოა გაფართოებული ფორმისა. შარვლის წინა ნახევარი გვერდის ჩანამატებით. გვერდითა ჯიბეები წინა ნახევარზე ჩაკერებულია ჩანამატებში. შარვლის უკანა ნახევრებს აქვს ოთხი ჩანაკერი წელის ჩაყოლებით (ორ-ორი ყოველ ნახევარზე).

შარვლის ქამარი იკვრება ორ ღილკილოზე და ორ ღილზე.

სარტყელზეა ექვსი საქამრე (გასაყრელი). ბანტი იკვრება სამ ღილკილოზე და სამ ღილზე 50 ზომამდე, ხოლო 50 ზომისა და მეტი — ოთხ ღილკილოსა და ოთხ ღილზე; ერთი ღილკილო და ერთი ღილი სარტყელზე. გვერდითა ჯიბის ხაზზე გაყოლებულია 0,6-0,8 სანტიმეტრი სიგანის გვირისტი.

3. კაცის ნახევრად წელში გამოყვანილი ფორმის პალტო.

სხვადასხვა ფერის კუბოკრული ქსოვილი. შალნარევი სარჩული ძირითადი ქსოვილის ფერთანაა შეხამებული. ღილები პლასტმასისაა. ფერი შეხამებულია ძირითადი ქსოვილის ფერთან.

პალტო ერთბორტიანია, კალთები იკვრება საყელომდე ხუთ ღილკილოზე და ხუთ ღილზე. კალთებს აქვს ფრიალა კოკეტები, მომრგვალებული კუთხეები და წინა გვერდითა ზესადები სარქვლიანი ჯიბეები. სარქველი იკვრება ჯიბეზე ერთი ღილკილოთი და ერთი ღილით. კოკეტი იკვრება კალთაზე ერთი ღილკილოთი და ერთი ღილით. მხრებზე დაკერებულია ძირითადი ქსოვილის მომრგვალებულბოლოებიანი სამხრეული, რომელიც მხრის ნაკერზე მიმაგრებულია ერთი ღილით. ხვეულებიანი კალთები მხრის ნაკერიდან გადადის ჯიბეებზე რელიეფურ ნაკერებად. საყელო გადაფენილია, ჩამოგრძელებული, ოდნავ მომრგვალებული კუთხეებით. სახელოები ორნაკერიანია, ჩაგვირისტებული.

ზურგი შუაზე ჩაკერილია, ბოლოვდება შლიცით. საყელო, ბორტები, პალტოს ბოლო, ჯიბეები, სარქველები, წინა ხვეულები, სამხრეულები, ზურგის ნაკერი და შლიცი, კალთების რელიეფური ნაკერები გაფორმებულია 1,2 სანტიმეტრი სიგანის ერთი გასაწყობი გვირისტით.

4. ქალის ნახევრად წელში გამოყვანილი ფორმის პალტო.

ძირითადი ქსოვილი შალისაა, კუბოკრული; სარჩული შალნარევი ქსოვილისაა, ღილების ფერი შეხამებულია ძირითადი ქსოვილის ფერთან. პალტო ერთბორტიანია, ბორტების გადანაკეციდან იკერება ოთხ ღილკილოზე და ოთხ ღილზე. კალთებს აქვს გვერდის ჩანამატები მხრის ნაკერებიდან ჯიბეებამდე. კალთებზეა გვერდითა ჩაჭრილი ჯიბეები სარქველებითურთ. ზურგი შუაზე ჩაკერილია, ქვემოთ აქვს შლიცი, მხრისა და წელის ხვეულები თითო ორივე მხრიდან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზურგზე, წელის დონეზე გვერდითა ნაკერებში ჩაგვირისტებულია საჭერი, რომელიც ორი ნაწილისაგან შედგება. საჭერის ბოლოები ერთმანეთს ედება და დამაგრებულია ერთი ღილით. საყელო გადაფენილია, მომრგვალებული ბოლოებით.

სახელოები ორნაკერიანია, ჩაგვირისტებული. ბორტები, საყელო, გვერდები, სარქველები, საჭერი გაფორმებულია 1,2 სანტიმეტრი სიგანის ერთი გასაწყობი მზა გვირისტით.

საყელო, სარქველები, საჭერი გამოჭრილია უჯრედოვანი ნახატის ირიბი მიმართულებით.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **რ. შანიძე**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1976 წლის 27 აგვისტოს № 609
დადგენილების დანართი № 2

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნ ო რ მ ე ბ ი

საქალაქო და სასოფლო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების მოსწავლეთათვის ფორმის ტანსაცმლის, ფეხსაცმლის, საცვლებისა და სპეცტანსაცმლის მიცემისა

	ერთი კომპლექტის ფასი		ნორმა სწავლების პირველ წელს		ნორმა სწავლების მეორე წელს		ნორმა სწავლების მესამე წელს	
	ჰაბუკებისათვის	ქალიშვილებისათვის	ჰაბუკებისათვის	ქალიშვილებისათვის	ჰაბუკებისათვის	ქალიშვილებისათვის	ჰაბუკებისათვის	ქალიშვილებისათვის
1. ფორმის პალტო	45—50	53—	1	1	—	—	—	—
2. შალის კოსტიუმი	43—	28—	1	1	—	—	—	—
3. ჯინსის კოსტიუმი	14—	—	1	—	1	—	1	—
4. ჩითის კაბა	—	5—	—	1	—	1	—	1
5. ბამბაზიის კაბა	—	8—	—	1	—	1	—	1
6. თეთრი სახელოებიანი პერანგი	7—	—	1	—	1	—	1	—
7. საყვინთელა	—	3—	—	1	—	1	—	1
8. ქრომის ფეხსაცმელი	11—	9—	1	1	1	1	1	1
9. ბერეტი	3—	3—	1	1	—	—	—	—
10. მაისური	1—35	—	2	—	2	—	2	—
11. ტრუსი	1—35	—	2	—	2	—	2	—
12. ქვედა პერანგი	—	2—20	—	2	—	2	—	2

ეროვნული ბიბლიოთეკა

	ერთი კომპლექტის ფასი		ნორმა სწავლების პირველ წელს		ნორმა სწავლების მეორე წელს		ნორმა სწავლების მესამე წელს	
	ბიჭებისათვის	ქალიშვილებისათვის	ბიჭებისათვის	ქალიშვილებისათვის	ბიჭებისათვის	ქალიშვილებისათვის	ბიჭებისათვის	ქალიშვილებისათვის
13. ტრიკო	—	1—75	—	2	—	2	—	2
14. უზომო წინდა	1—50	—	2	—	2	—	2	—
15. კაპრონის წინდა	—	1—75	—	2	—	—	—	2
16. სპეცტანსაცმელი (ნახევარკომბინეზონი და პერანგი, ხოლო ქალიშვილებისათვის — დამატებით ხილაბანდი)	11—50	12—	1	1	1	1	1	1
დამატებით სასოფლო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლებისათვის								
ქირზის ჩექმები	11—50	—	1	—	—	—	—	—
სამუშაო ყელიანი ფეხსაცმელი	—	9—	—	1	—	—	—	—
ხელთათმანი	1—	1—	1	1	1	1	1	1
სასოფლო	×	×	156—30	142—40	53—30	49—40	53—30	49—40
საქალაქო	×	×	143—80	132—40	52—30	48—40	48—40	

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **რ. შანიძე.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1976 წლის 27 აგვისტოს № 609
დადგენილების დანართი № 3

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის სასწავლებლებისათვის განკუთვნილი ლოგინ-ქვეშაგების ექსპლუატაციის ნორმები და ვადები

ნაწარმის დასახელება	რაოდენობა	საშუალო ფასი (მან. და კაპ.)	ექსპლუატაციის ვადა
1. ლეიბი	1	11—00	4 წელი
2. შალის საბანი	1	15—00	4 წელი
3. ბუმბულის ბალიში	1	6—50	10 წელი
4. ზეწარი	2	4—25	1 წელი
5. საბნის შალითა	2	7—90	1 წელი
6. ბალიშის პირი	2	1—50	1 წელი
7. პირსახოცი	2	0—85	1 წელი
ერთი კომპლექტის ღირებულება		61—50	
საშუალო ყოველწლიური ღირებულება		36—15	

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **რ. შანიძე.**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ინდექსი — 76187

საქართველოს სსრ მთავროგის დადგენილებათა კრებული

№ 4 за 1976 год.

გამომცემელი: საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტრო

ხელმოწერილია დასაბეჭდად 8/II-77 წ. ქაღალდის ფორმატი 70 × 108 1/16
საბეჭდი თაბახი 8,5 სააღრიცხვო თაბახი 8,5

წლიური ხელმოწერის ფასი 3 მან.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შეკვეთა № 1028 უე 03865 ტირაჟი 1950

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველობის სტამბა

6186/46

ეროვნული
ბიბლიოთეკა